

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აღ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული გორგოლოგიის
ინსტიტუტი

მ. კორძია, მ. ჭიჭინაძე

ემბრიოლოგიურ ტერმინთა მოკლე
განმარტებითი ლექსიკონი



„მეცნიერება“
თბილისი

1986

„ემბრიოლოგიურ ტერმინთა მოკლე განმარტებითი ლექსიკონის“ სიტყვანი შედგენილ ა ძირითადად ქ. ლენინგრადში 1970 წ. ანატომთა მე-9 საერთაშორისო კონგრესზე მიღებული „საერთაშორისო ემბრიოლოგიური ნომენკლატურის“ საფუძველზე. ლექსიკონი ორენოვანია, ლათინურ-ქართული. მოიცავს 1400-მდე ემბრიოლოგიურ და ტერატოლოგიურ ტერმინს, მათ ეტიმოლოგიას, ქართულ შესატყვისებს და განმარტებებს. იგი გათვალისწინებულია ბიოლოგიისა და მედიცინის, კერძოდ, ემბრიოლოგიისა და ტერატოლოგიის და მათ ზომიწნავე დარგებში მომუშავე სპეციალისტებისათვის, აგრეთვე შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისა და სამედიცინო სასწავლებლების მოსწავლეთათვის.

რედაქტორი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნ. დანსახ. მოღვაწე, პროფ. ნ. ჯავახიშვილი

რედაქტორისაბან

უმალესი საბუნებისმეტყველო, კერძოდ, ბიოლოგიური და სამედიცინო განათლება საქართველოში უკვე მრავალ ათეულ წელს ითვლის და ბევრ მორფოლოგიურ დისციპლინაში არსებობს სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე. ამჟამად შეიქმნა აუცილებლობა არსებული საერთაშორისო ტერმინების ხელახლა დაზუსტებისა. ეს განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სპეციალური ტერმინების ნომენკლატურები სხვადასხვა მორფოლოგიურ დისციპლინებში მხოლოდ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა ოფიციალურად. ემბრიოლოგიური ტერმინების საერთაშორისო ნომენკლატურა სხვა მორფოლოგიურ ნომენკლატურებს შორის ყველაზე ახალგაზრდაა. ეს თავის მხრივ ქმნის გარკვეულ სიძნელებებს მის ჩამოყალიბებაში, თარგმნასა და შესატყვისობის გამოწახვაში.

„ემბრიოლოგიურ ტერმინთა მოკლე განმარტებითი ლექსიკონის“ ავტორებს მ. კორძაიასა და მ. ჭიჭინაძეს სხვადასხვა მორფოლოგიური დარგის ტერმინთა ქართული შესატყვისების დადგენისა და თარგმნის დიდი გამოცდილება აქვთ. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ავტორები არ დაკმაყოფილდნენ მხოლოდ შესატყვისი ტერმინის მოძებნით და მას განმარტებებიც დაურთეს. ამიტომ დიდია ავტორების მიერ გაწეული ღვაწლი მორფოლოგიის დარგში მომუშავე ქართველი სპეციალისტებისათვის და, საერთოდ, მედიკოსებისა და ბიოლოგებისათვის, აგრეთვე ამ დარგების უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. მათ მიერ შესრულებული მუშაობა კი განსაკუთრებით მისასალმებელია და დასაფასებელი.

პროფ. ნ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი

მეცნ. დამსახ. მოღვაწე

ერთი და იგივე მნიშვნელობისაა, მოცემულია მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის განმარტება, მეორესთან კი მითითებულია: იხ. (მაგ. Fertilizatio იხ. Fecundatio). ტერმინის განმარტება-სტატია შედგენილია, ძირითადად, ემბრიოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით.

ავტორთა წინაშე, ემბრიოლოგიის სირთულითა და სპეციფიკით განპირობებული, საკმაოდ ძნელი და პასუხსაგები ამოცანა იდგა. ალბათ, ლექსიკონი არ იქნება მოკლებული ხარვეზებს, მით უმეტეს რომ მას მსგავსი წინამორბედი არ გააჩნია. ამიტომ სპეციალისტთა ყოველი საქმიანი შენიშვნა და მითითება მადლობით იქნება მიღებული.

უღრმეს მადლობას მოვახსენებთ წიგნის რედაქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფ. ნ. ჯავახიშვილს წიგნზე მუშაობის დროს გაწეული დახმარებისათვის.

მ. კორძია, მ. კიკინაძე

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

მამრ.—მამრობითი სქესი	იხ.	— იხილე
მდ. — მდედრობითი სქესი	ლათ.	— ლათინური
საშ. — საშუალო სქესი	ბერძნ.	— ბერძნული
კნინ. — კნინობითი სახელი	ძვ. ფრ.ნგ.	— ძველი ფრანგული

A

A, A n. ბერძნ. წინდებული — აღნიშნავს უარყოფას, არარსებობას, დაკარგვას, უუნარობას, უქონლობას.

Aberrans, antis, მდ. ლათ. (*aberrare* აცდენა, გადახრა) ა ბ ე რ ა ნ ტ უ ლ ი — ნორმიდან, ნორმალური ადგილიდან, ტიპიდან, მდგომარეობიდან გადახრილი.

Aberratio, onis, მდ. ლათ. ა ბ ე რ ა ც ი ა — ნორმიდან გადახრა სტრუქტურის, ფორმის, ფუნქციის ან ტოპოგრაფიის მიხედვით. ანომალიის სუსტი ხარისხი.

Aberratio chromosomal ქ რ ო მ ო ს ო მ უ ლ ი ა ბ ე რ ა ც ი ა — ქრომოსომების რიცხვის ან სტრუქტურის ნორმიდან გადახრა.

Ablepharia, ae, მდ. ბერძნ. (*a+blepharon* ქუთუთო) ა ბ ლ ე ფ ა რ ი ა — ქუთუთოსა და თვალის ნაპრალის უქონლობა; რიგ შემთხვევაში ნაწილობრივი, ხშირად შერწყმული თვალის კაკლის განუვითარებლობასთან.

Abortio, onis, მდ. ლათ. (*abortus* დაღუპვა) ა ბ ო რ ტ ი — ორსულობის შეწყვეტა პირველი 28 კვირის განმავლობაში.

Abbrachia, ae, მდ. ბერძნ. (*a+brachion* ხელი) ა ბ რ ა ქ ი ა — ზემო კიდურების უქონლობა. თანდაყოლილი სიმახინჯე.

Absentia, ae, მდ. ლათ. (*abesse* უქონლობა, არყოფნა) ა ბ ს ე ნ ც ი ა — რაიმე ნივთიერების, ორგანოს ან ფუნქციის უქონლობა.

Acardia, ae, მდ. ბერძნ. (*a+kardia* გული) ა კ ა რ დ ი ა — გულის თანდაყოლილი უქონლობა. განვითარების მანკი.

Accessorius, a, um, ლათ. (*accedere* დამატებული) ა ქ ც ე ს ო რ უ ლ ი — დამატებითი ორგანო ან სტრუქტურა, რომელიც ძირითად სტრუქტურასთან ან ორგანოსთან ერთად არსებობს დანამატის სახით.

Acephalia, ae, მდ. ბერძნ. (*a+kephale* თავი) ა ც ე ფ ა ლ ი ა — თავის უქონლობა; თანდაყოლილი სიმახინჯე, ხშირად კომბინირებული სხვა სიმახინჯეებთან.

Acheilia, ae, მდ. ბერძ. (a+cheilos ტუჩი) ა ქ ე ი ლ ი ა — ერთი ან ორივე ტუჩის უქონლობა. თანდაყოლილი სიმახინჯე.

Acheiria, ae, მდ. ბერძ. (a+cheir ხელის მტევანი) ა ქ ე ი რ ი ა — ორივე ან ერთი ხელის მტევნის უქონლობა. თანდაყოლილი სიმახინჯე.

Achondroplasia, ae, მდ. ბერძ. (a+chondros ხრტილი+plasis წარმოქმნა) ა ქ ო ნ დ რ ო პ ლ ა ზ ი ა — კიდურების ჩონჩხის მემკვიდრეობითი დაავადება, გრძელი ძვლების ბოლოების ქონდრიფიკაციისა და გაძვლების პროცესის მოშლით. ძვლის ეპიფიზი და ღიაფიზი თითქმის გაერთიანებულია, ზრდა შეჩერებულია, რაც განაპირობებს ინდივიდის ჯუჯა სიმაღლეს.

Acrania, ae, მდ. ბერძ. (a+kranion ქალა) ა კ რ ა ნ ი ა — ქალას ნაწილობრივი ან სრული უქონლობა. თანდაყოლილი სიმახინჯე.

Acro, ბერძ. (acros ბოლო, კიდური, ყველაზე დაშორებული, მაღალი) რთულ სიტყვებში მიუთითებს: კიდურებზე, სხეულის ან ორგანოების დისტალურ ნაწილზე.

Acroblastus, i, მამრ. ბერძ. (acro + blastos) ა კ რ ო ბ ლ ა ს ტ ი — სპერმატიდის ციტოპლაზმაში ფირფიტოვანი კომპლექსისაგან განვითარებული ფიალისებრი წარმონაქმნი.

Acrocephalia, ae, მდ. ბერძ. (acro+kephale თავი) ა კ რ ო ც ე ფ ა ლ ი ა — ქალას თანდაყოლილი დეფორმაცია, ბრტყელ ძვლებს შორის ნაკერების ადრეული გაძვლების გამო, იგი მეტ-ნაკლებად გაწვეტიანებულია და ქონგურისებრი ფორმა აქვს. ხშირად თან ერთვის ტვინის დეფექტიც.

Acrosoma, atis, საშ. ბერძ. (acro+soma სხეული) ა კ რ ო ს ო მ ა — სპერმატოზოიდის თავის წინა ნაწილში აკრობლასტისგან განვითარებული რთული წარმონაქმნი, რომელიც განაყოფიერების პროცესში კვერცხუჯრედის გარსის გახვრეტაში მონაწილეობს.

Adactilia, ae, მდ. ბერძ. (a+dactylos თითი) ა დ ა ქ ტ ი ლ ი ა — ხელის ან ფეხის თითების თანდაყოლილი უქონლობა.

Adecidua, us, მდ. ლათ. (a+deciduous მოსაყარდნი, ჩამოცვენილი) ა დ ე ც ი დ უ ა ტ ა — პლაცენტური ძუძუმწოვრები, რომელთაც არ უვითარდებათ ორსულობის მოსაყარდნი გარსი. კავშირი ქორიონის ხაფებსა და ენდომეტრიუმს შორის არამკიდროა, რის გამოც მშობიარობის დროს საშვილოსნოს ლორწოვანი გარსი თითქმის არ ზიანდება.

Adenohypophysis, is, მდ. ბერძ. (adeno ჯირკვალი+hypophysis ჰიპოფიზი) ა დ ე ნ ო ჰ ი პ ო ფ ი ზ ი — ჰიპოფიზის წინა,

ჯირკვლოვანი წილი. ვითარდება პირველადი პირის ღრუს—სტომოდუ-
უმის ექტოდერმიდან.

Aganglionosis, is, მდ. ბერძნ. (a+ganglion+osis მდგო-
მარეობა) ა გ ა ნ გ ლ ი ო ნ ო ზ ი —კოლინჯისა და სწორი ნაწლავის
კედელში ნერვული კვანძების უქონლობა. განვითარების მანკი.

Agnesia, ae, მდ. ბერძნ. (a+genesis) ა გ ე ნ ე ზ ი ა —
ორგანოს ან მისი ნაწილის თანდაყოლილი სრული ან ნაწილობრივი უქონ-
ლობა, განუვითარებლობა.

Aglossia, ae, მდ. ბერძნ. (a+glossa ენა) ა გ ლ ო ს ი ა —
ენის თანდაყოლილი უქონლობა.

Agnathia, ae, მდ. ბერძნ. (a+gnathos ყბა) ა გ ნ ა თ ი ა —
ზედა ან ქვედა ყბის სრული უქონლობა. განვითარების მანკი.

Agyria, ae, მდ. ბერძნ. (a+gyros წრე, რგოლი) ა გ ი რ ი ა —
თავის ტვინის ხეულებების თანდაყოლილი უქონლობა.

Albinismus, i, საშ. ლათ. (albus თეთრი) ა ლ ბ ი ნ ი ზ -
მ ი —კანში, თმასა და თვალის ფერად გარსში პიგმენტის სრული ან ნაწი-
ლობრივი თანდაყოლილი უქონლობა.

Allantochorion, ii, საშ. ბერძნ. (allas ძეხვი+chori-
on) ა ლ ა ნ ტ ო ქ ო რ ი ო ნ ი —ზოგიერთი ძუძუმწოვრისა და ფრინვე-
ლის ერთიანი ვასკულარიზებული პროვიზორული გარსი. ყალიბდება
ალანტოისის მეზოდერმის ვისცერული ფურცლისა და პირველადი ქო-
რიონის მეზოდერმის პარიეტული ფურცლების შეერთებით, უზრუნ-
ველყოფს ჩანასახის მომარაგებას ჟანგბადით.

Allantois, idis, მდ. ბერძნ. (allas ძეხვი+oidos მსგავსი)
ა ლ ა ნ ტ ო ი ს ი —ნახევარმთვარისებრი ჩანასახგარე პროვიზორული
ღრუ ორგანო. ვითარდება უკანა ნაწლავის წინა კედლიდან. შიგნიდან ამო-
ფენილია ენდოდერმული ეპითელიუმით, გარედან კი დაფარულია ვის-
ცერული მეზოდერმის ფურცლით. ალანტოისი უზედადაა მომარაგებული
აორტის კაუდალური ბოლოდან გამოსული სისხლძარღვებით. ყვით-
რის სისხლის მიმოქცევის უკუგანვითარების შემდეგ მისი საშუალებით
ხორციელდება ნივთიერებათა ცვლა ნაყოფსა და დედის ორგანიზმს შო-
რის.

Allosomia, ae, მდ. ბერძნ. (alos სხვა + soma სხეული)
ა ლ ო ს ო მ ი ა —სქესობრივი ქრომოსომების რაოდენობრივი აბერა-
ცია.

Alopecia, ae, მდ. ბერძნ. (alopex მელია) ა ლ ო პ ე ც ი ა —
თმის ნაწილობრივი ან მთლიანი უქონლობა, შესაძლებელია იყოს თან-
დაყოლილი ან შეძენილი.

A mastia, ae, მდ. ბერძნ. (a+mastos ძუძუ) ა მ ა ს ტ ი ა—ერთი ან ორივე ძუძუს თანდაყოლილი უქონლობა.

Amelia, ae, მდ. ბერძნ. (a+melos კიდური) ა მ ე ლ ი ა—ზემო და ქვემო კიდურების თანდაყოლილი უქონლობა. იშვიათი ანომალია.

Ameloblastus, i, საშ. (ძვ. ფრანგ. amel მინანქარი+ბერძნ. blastos) ა მ ე ლ ო ბ ლ ა ს ტ ი—კბილის მინანქრის წარმოქმნელი, ექტოდერმული წარმოშობის, მაღალი ცილინდრული უჯრედი.

A menorrea, ae, მდ. ბერძნ. (a+men თვე+rheia დინება) ა მ ე ნ ო რ ე ა—მენსტრუაციის უქონლობა იმ ასაკში და ვადებში, როდესაც იგი ნორმალურად უნდა არსებობდეს.

A metastasis, is, მდ. ბერძნ. (a+meta შორის+stasis დგომა) ა მ ე ტ ა ს ტ ა ზ ი—დისტალურ კოლინჯსა და სწორ ნაწლავში ლორწვევა, პარასიმპათიკური ნერვული წნულის უქონლობა (იხ. Megacolon).

Amniogenesis, is, ბერძნ. (amnos კრავი+genesis) ა მ ნ ი ო გ ე ნ ე ზ ი—ამნიონის წარმოქმნისა და ფორმირების პროცესი.

Amnion, ii, საშ. ბერძნ. ა მ ნ ი ო ნ ი—ჩანასახის პროვიზორული ორგანო, თხელი გამჭვირვალე ორშრიანი გარსი. წარმოიქმნება ჩანასახის თავის ნაწილთან განივი ნაოკის სახით, ექტოდერმის და მეზოდერმის პარიეტული ფურცლის ნაკეცების შეზრდის შედეგად. ამნიონის ნაოკის გვერდითი ნაწილების ჩანასახის ირგვლივ შემოზრდით ყალიბდება სითხით ამოვსებული ღრუ (იხ. Cavum amnioticum), რომელშიაც ჩანასახი თავისუფლად შეწონილი.

Amplexus, us, მამრ. ლათ. (amplexus შემოხვევა, მოხვევა) ა მ პ ლ ე ქ ს უ ს ი—მამრის შემოხვევა მდედრზე იმ დროის განმავლობაში, ვიდრე გრძელდება კვერცხის და სპერმის გამოყოფა. კერძოდ, სქესობრივი შემოხვევა უკულო ამფიბიებში, რომლებსაც გარეგანი განაყოფიერება ახასიათებთ.

Amyelia, ae, მდ. ბერძნ. (a+myelos ტვინი) ა მ ი ე ლ ი ა—ზურგის ტვინის თანდაყოლილი უქონლობა, ხშირად კომბინირებული ანენცეფალიასა და აკრანიასთან.

Amytonia, ae, მდ. ბერძნ. (a+mys კუნთი+tonos დაჭიმვა) ა მ ი ო ტ ო ნ ი ა—კუნთოვანი ტონუსის დაქვეითება ან სრული უქონლობა.

Anabolia, ae, მდ. ბერძნ. (anabole ამაღლება) ა ნ ა ბ ო ლ ი ა—ფილოემბრიოგენეზის ერთ-ერთი სახე, მკვეთრი ცვლილებები ემბრიონული განვითარების ბოლო სტადიაზე, რომლებიც განაპირობებენ ახალი ნიშანთვისებების ჩამოყალიბებას და შთამომავლობისა-

თვის მათ გადაცემას. ანაბოლია შესაძლებელია გამოიხატოს ემბრიონულ-
ლი განვითარების ბოლო სტადიების საერთოდ ამოვარდნაში.

An aplasia, ae, მდ. ბერძ. (ana კვლავ + plasein წარმო-
ქმნა) ან ა პ ლ ა ზ ი ა—ავთვისებთან სიმსივნეებში უჭრედთა ბიოლო-
გიური და მორფოლოგიური თვისებების შეცვლა, გამრავლების უნარის
მატებასთან ერთად.

Ancylo, ბერძ. (ankylos მრუდე, მოხრილი, გაღუნული)—რთულ
სიტყვებში მიუთითებს მოხრილ, კაუქისებრ ფორმაზე, ნაწილების შეზრ-
დაზე, მოძრაობის შეზღუდვაზე.

Ancyloblepharia, ae, მდ. ბერძ. (ancylo + ble-
pharon ქუთუთო) ან კ ი ლ ო ბ ლ ე ფ ა რ ი ა—ზემო და ქვემო ქუ-
თუთოთა წამწამოვანი კიდეების ნაწილობრივი ან სრული შეზრდა.

Ancylocheilia, ae, მდ. ბერძ. (ancylo + cheilos ტუ-
ჩი) ან კ ი ლ ო ქ ე ი ლ ი ა—ტუჩების შეზრდა. თანდაყოლილი ანომა-
ლია.

Ancylodactylia, ae, მდ. ბერძ. (ancylo + dac-
tylos თითი) ან კ ი ლ ო დ ა ქ ტ ი ლ ი ა—ფეხის ან ხელის ორი ან რამ-
დენიმე თითის შეზრდა.

Ancyloglossia, ae, მდ. ბერძ. (ancylo + glossa ენა)
ან კ ი ლ ო გ ლ ო ს ი ა—ენის ლაგამის არანორმალური დამოკლება.
თანდაყოლილი დეფექტი.

Ancylotia, ae, მდ. ბერძ. (ancylo + otus ყური) ან კ ი-
ლ ო ტ ი ა—გარეთა სასმენი მილის დახშვა მისი კედლების ურთიერთ-
შეზრდის გამო. თანდაყოლილი დეფექტი.

Andr, Andro, ბერძ. (ambros მამაკაცი)—რთულ სიტყვებ-
ში მიუთითებს მამრობით სქესზე, მამაკაცზე.

Androgenesis, is, მდ. ბერძ. (andro + genesis) ან-
დ რ ო გ ე ნ ე ზ ი—ინდივიდის განვითარება ისეთი კვერცხუჭრედიდან,
რომელშიც მხოლოდ მამისეული ქრომოსომებია, დედისეული პრონუ-
კლეუსის დესტრუქციის გამო. განვითარებული ინდივიდი ხასიათდება
მხოლოდ მამისეული ნიშნებით.

Anencephalia, ae, მდ. ბერძ. (an + enkephalos თავის
ტვინი) ან ე ნ ც ე ფ ა ლ ი ა—თავის ტვინის თანდაყოლილი უქონლობა,
კომბინირებული ქალას თალის არარსებობასთან.

Anestrus, i, მამრ. ბერძ. (an + estrus) ან ე ს ტ რ უ ს ი—
სქესობრივი აღგზნების პერიოდებს შორის არსებული ინტერვალი მდე-
დრობითი სქესის ძუძუმწოვრებში.

Aneuploidia, is, მდ. ბერძ. (an + euploidia) ან ე უ-
პ ლ ო ი დ ი ა—ქრომოსომული რიცხოვრების აბერაციის სახე, როდესაც

ქრომოსომა რიცხვი არ არის ჯერადი ძირითადი რიცხვისა. კერძოდ, ქრომოსომა ნორმალურ კომპლექტში შეინიშნება ქრომოსომების რიცხვის გაზრდა ან შემცირება, განპირობებული მიტოზის ან მეიოზის დროს ჰომოლოგიურ ქრომოსომათა არასწორი დათიშვით.

Aneurysma, atis, საშ. ბერძნ. (aneuryno გაფართოება) ან ე ე რ ი ზ მ ა—განვითარების დეფექტით ან პათოლოგიური პროცესით გამოწვეული, სისხლძარღვების სანათურის ან გულის ღრუს გარკვეული მონაკვეთის პარკისებრი გაფართოება.

Anhydrosis, is, მდ. ბერძნ. (an+hydros ოფლი+osis მდგომარეობა) ან ჰ ი დ რ ო ზ ი—ოფლის სეკრეციის უნარის უქონლობა, ან დაქვეითება. თანდაყოლილი დეფექტი.

Aniridia, ae, მდ. ბერძნ. (an+iris ფერადი გარსი) ან ი რ ი დ ი ა—თვალის ფერადი გარსის ნაწილობრივი ან სრული თანდაყოლილი უქონლობა.

Anodontia, ae, მდ. ბერძნ. (an+odus კბილი) ან ო დ ო ნ ტ ი ა—კბილების სრული თანდაყოლილი უქონლობა.

Anodynia, ae, მდ. ბერძნ. (an+odyne ტკივილი) ან ო დ ი ნ ი ა—ტკივილის შეგრძნების უქონლობა.

Anomalia, ae, მდ. ბერძნ. (an+omalos თანაბარი, რეგულარული) ან ო მ ა ლ ი ა—უსწორობა. ნორმიდან, ზოგადი კანონზომიერებიდან გადახრა. ორგანოს ან მისი რომელიმე ნაწილის ფორმის, სტრუქტურის ან მდებარეობის შეცვლა. ანომალიას განეკუთვნება განვითარების მანკები და სიმახინჯეები.

Anonychia, ae, მდ. ბერძნ. (an+onyx ფრჩხილი) ან ო ნ ი ქ ი ა—ხელის და ფეხის ფრჩხილების სრული ან ნაწილობრივი თანდაყოლილი უქონლობა.

Anophthalmia, ae, მდ. ბერძნ. (an+ophthalmus თვალი) ან ო ფ თ ა ლ მ ი ა—ერთი ან ორივე თვალის უქონლობა.

Anorchismus, i, მამრ. ბერძნ. (an+orchis სათესლე) ან ო რ ქ ი ზ მ ი—სათესლეების თანდაყოლილი უქონლობა.

Anosmia, ae, მდ. ბერძნ. (an+osme ყნოსვა, სუნნი) ან ო ს მ ი ა—ყნადვის უქონლობა.

Anotia, ae, მდ. ბერძნ. (an+otus ყური) ან ო ტ ი ა—ყურის ნიჟარების თანდაყოლილი უქონლობა.

Anovovarium, i, მამრ. ლათ. (an+ovarium) ან ო ვ ა რ ი ზ მ ი—საკვერცხეების თანდაყოლილი უქონლობა.

Ansa bulboventricularis ბ ო ლ ჭ ე - პ ა რ კ უ ქ ი ს მ ა რ ყ უ ე —ემბრიონული ლულოვანი გულის ნადრეკი, პარკუქის გულის ბოლქვში გადასვლის დონეზე.

Ant, Anti, ბერძ. წინდებული—აღნიშნავს საწინააღმდეგო მდგომარეობას, მოქმედებას, თვისებას.

Antifertilizinum, i, საშ. ლათ. (anti+fertilis მატარებელი) ანტიფერტილიზინი—სპერმატოზოიდის ციტოპლაზმის ზედაპირულ შრეში არსებული ნივთიერება, რომელიც ფერტილიზინთან ერთად (იხ. Fertilizinum) განაპირობებს, განაყოფიერების პროცესში, სპერმატოზოიდის მიმაგრებას კვერცხუჯრედზე.

Anulus umbilicalis ჭიპის რგოლი—ყალიბდება ემბრიონული განვითარების ადრეულ სტადიაზე, ემბრიონის სხეულის ვენტრალური ხვრელის კიდეების შევიწროების შედეგად: მასში გაივლის ჭიპის სისხლძარღვები.

Anus, i, საშ. ლათ. ყითა—უკანა გასაეალი, ანალური ხვრელი, ვითარდება კლოაკის დორსალური ნაწილიდან, ურორექტალური ნაოჭის განვითარების შემდეგ. ყითას საშუალებით სწორი ნაწლავი უშუალოდ უკავშირდება გარე გარემოს.

Anus imperforatus შეზრდილი - უხვრელო ყითა—შედარებით იშვიათი ანომალია, რომლის დროსაც არ ხდება კლოაკის მემბრანის გარღვევა და ანალური არხის ენდოდერმულ და ექტოდერმულ ნაწილებს შორის რჩება ტიხარი.

Aorta, ae, მდ. ბერძნ. (aeiroin აწევა) აორტა—სისხლის მიმოქცევის დიდი წრის ძირითადი ძარღვი, დასაბამს იღებს არტერიული ღეროდან (იხ. Truncus arteriosus).

Aorta dorsalis დორსალური აორტა—თავდაპირველად წყვილი ინტრაემბრიონული სისხლძარღვი; წარმოადგენს მარჯვენა და მარცხენა ვენტრალური აორტის უშუალო გაგრძელებას, მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი შემობრუნდება კაუდალური მიმართულებით, ხანის ნაწლავის ირგვლივ, წყვილ დორსალურ აორტას გამოეყოფიან სეგმენტთაშორისი, საყვითრე და ჭიპის არტერიების ტოტემბისაბოლოოდ დორსალური აორტა კენტ სისხლძარღვად ყალიბდება.

Aorta ventralis ვენტრალური აორტა—პირველი ინტრაემბრიონული სისხლძარღვი. დასაბამს იღებს არტერიული ღეროდან (იხ. Truncus arteriosus), იყოფა მარჯვენა და მარცხენა ტოტებად.

Aphacia, ae მდ. ბერძნ. (a+phakos ბროლი) აფაკია—ბროლის სრული ან ნაწილობრივი უქონლობა.

Aplocalia, ae, მდ. ლათ. (a+placenta) უპლაცენტოები—ცოცხლადმშობიარე ძუძუმწოვრები, რომელთაც ჭეშმარიტი პლაცენტა არ გააჩნიათ; აქვთ გლუვი ქორიონი, რომელიც უშუალოდ ეხება საშვილოსნოს ლორწოვან გარსს.

Aplasia, ae, მდ. ბერძნ. (a+plasis წარმოქმნა, ფორმირება) ა პ ლ ა ზ ი ა—ზოგადი სახელწოდება განვითარების ანომალიისა, რომლის დროსაც ადგილი აქვს სხეულის ნაწილის ან რომელიმე ქსოვილის განუვითარებლობას, უქონლობას.

Apodia, ae, მდ. ბერძნ. (a+podos ფეხი) ა პ ო დ ი ა—ორივე ქვედა კიდურის თანდაყოლილი უქონლობა.

Appendix, icis, მდ. ლათ. (ad კენ+pendere კიდება) ა პ ე ნ დ ი ქ ს ი—დანამატი, დანართი.

Appendix epididymidis—ს ა თ ე ს ლ ე დ ა ნ ა მ ა ტ ი ს დ ა ნ ა რ თ ი—მეზონეფროსის სადინარის კრანიალური ბოლოს ნარჩენი; არამუდმივი წარმონაქმნი.

Appendix testis ს ა თ ე ს ლ ი ს დ ა ნ ა რ თ ი—პარამეზონეფრული სადინარის კრანიალური ბოლოს ნარჩენი სათესლე ჯირკვლის ზედა ნაწილზე. რუდიმენტული წარმონაქმნი.

Appendix vermiformis ქ ი ა ნ ა წ ლ ა ვ ი—ყალიბდება ადამიანის ემბრიონული განვითარების დაახლოებით მე-3 თვეზე ბრმა ნაწლავის დისტალური ბოლოდან. მოზრდილებში შენარჩუნებულია რუდიმენტული ორგანოს სახით.

Appendix vesicularis ბ უ შ ტ უ კ ო ვ ა ნ ი დ ა ნ ა მ ა ტ ი—მეზონეფროსის მილაკის კრანიალური ნაწილის! ნარჩენი, ლოკალიზებული კვერცხსავალის ჯორჯლის დისტალურ ბოლოსთან.

Aprosopia, ae, მდ. ბერძნ. (a+prosopon სახე) ა პ რ ო ს ო პ ი ა—სახის ან მისი რომელიმე ნაწილის თანდაყოლილი უქონლობა.

Aqueductus cerebri ტ ვ ი ნ ი ს წ ყ ა ლ ს ა დ ე ნ ი—შუა ტვინის ღრუს რედუცირების შედეგად წარმოქმნილი მე-3 და მე-4 პარაკუქების დამაკავშირებელი ვიწრო არხი.

Arachnodactylia, ae, მდ. ბერძნ. (arachne ობობა+dactylos თითი) ა რ ა ქ ნ ო დ ა ქ ტ ი ლ ი ა—ობობასებრი თითები, ხელის ან ფეხის ნორმაზე გრძელი თითები. შედარებით იშვიათი ანომალია, რომელსაც შეიძლება თან ახლდეს იოგთა შესუსტება და კუნთების დისტროფია. გვხვდება ზოგიერთი მემკვიდრული დაავადების დროს (მარფანის სინდრომი).

Arachnoidea craniospinalis კ რ ა ნ ი ო ს პ ი ნ ა ლ უ რ ი ქ ს ე ლ ი ს ე ბ რ ი გ ა რ ს ი—ყალიბდება ტვინის შიგნითა გარსიდან (იხ. Endomeninx), მოსაზღვრავს თავის და ზურგის ტვინის რბილი გარსის გარეთა ზედაპირს; არ შეიცავს სისხლის ძარღვებს.

Arch, Archaeo, Arche, Archi, ბერძნ. (arche დასაწყისი, ფუძე)—რთულ სიტყვებში მიუთითებს მთავარზე, პირველზე, დასაწყისზე.

Archalaxis, is, მამრ. ბერძნ. (arch+alaxis შეცვლა) ა რ ქ ა ლ ა ქ ს ი ს —ფილოემბრიოგენეზის სახეცვლილებები ორგანოთა ემბრიონული განვითარების ადრეულ სტადიებზე, როდესაც შთამომავლობაში თავიდანვე არ ხდება წინაპართა ამავე ორგანოების განვითარების გზის ასახვა, ანუ რეკაპიტულაცია.

Archenteron, i, საშ. ბერძნ. (arche+enteron ნაწლავი) ა რ ქ ე ნ ტ ე რ ო ნ —ემბრიონული პირველადი ნაწლავი, გასტრულის შიგა შრე. მოიცავს ენდოდერმას, მეზოდერმისა და ქორდის ნერგს. ჩანასახის ირგვლივ გარემოს უკავშირდება ბლასტოპორის საშუალებით.

Arcus, us, მამრ. ლათ. რ კ ა ლ ი

Arcus arteriosi seu aortarum I-VI ა ო რ ტ ი ს რ კ ა ლ ე ბ ი I—VI—თანმიმდევრობით ყალიბდებიან ემბრიონული განვითარების დაახლოებით მე-4 კვირის ბოლოდან ვენტრალური აორტის წყველი ტოტების სახით, დორსალურ და ვენტრალურ აორტებს შორის. პირველი ორი რკალის რედუცირების შემდეგ ვითარდებიან დანარჩენები. მე-5 რკალი ძუძუმწოვართა ემბრიონებში დროებითია და ჩნდება რუდიმენტული სისხლძარღვის სახით. ადამიანის მსხვილი სისხლძარღვების ფორმირებაში მონაწილეობენ ძირითადად აორტის მე-3-4-6 რკალები.

Arcus aorticus I ა ო რ ტ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი რ კ ა ლ ი—შედის ქვედაყბის რკალის შემადგენლობაში და დასაბამს აძლევს ქვედაყბის რკალის არტერიას. მისი უმცირესი ნაწილი კი ქმნის ზედაყბის არტერიას. პირველი რკალი რედუცირდება მაშინ, როდესაც მე-3 რკალი უკვე კარგადაა განვითარებული.

Arcus aorticus II ა ო რ ტ ი ს მ ე ო რ ე რ კ ა ლ ი—ძირითადად რედუცირდება მცირე ტოტების გარდა, რომლებიც დასაბამს აძლევს ენისქვეშა და უზანგის არტერიებს.

Arcus aorticus III ა ო რ ტ ი ს მ ე ს ა მ ე რ კ ა ლ ი—დასაბამს აძლევს საერთო საძილე არტერიას, შიგნითა საძილე არტერიის საწყის ნაწილს (მისი დანარჩენი ნაწილი დორსალური აორტის კრანიალური მიდამოებიდან ყალიბდება) და გარეთა საძილე არტერიას (პირველი და მეორე რკალების ნარჩენ ნაწილებთან ერთად.)

Arcus aorticus IV ა ო რ ტ ი ს მ ე ო თ ხ ე რ კ ა ლ ი—მარცხენა მხარეს კარგად ვითარდება და საბოლოოდ ყალიბდება აორტის სისტემურ რკალად, მარჯვენა მხარეს კი დასაბამს აძლევს ლავიწქვეშა არტერიის პროქსიმალურ ნაწილს.

Arcus aorticus V აორტის მეხუთე რკალი—
ძუძუმწოვრებში დროებითა და ჩნდება რუდიმენტული სისხლძარღვის
სახით. მისი არსებობა საკამათოა.

Arcus aorticus VI აორტის მეექვსე რკალი—
განვითარების ადრეულ სტადიაზე მას ორივე მხარეს გამოეყოფა
ტოტები, რომლებიც მიემართებიან ფილტვის ნერვისაკენ და დასაბამს
აძლევენ ფილტვის არტერიას. ამ არტერიის ჩამოყალიბების შემდეგ მე-
ნ რკალი მარჯვენა მხარეს კარგავს კავშირს დორსალურ არტერიასთან
და ქრება, მარცხენა მხარეს კი მონაკვეთი ფილტვის არტერიასა და დორ-
სალურ აორტას შორის არტერიულ სადინარს ქმნის (იხ. Ductus arte-
riosus).

Arcus branchialis I—V სალაცუჩე რკალები
I—V—ყალიბდებიან ხერხემლიანთა განვითარების დაახლოებით მე-10
სომიტის სტადიაზე, ხახის მიდამოში, სტომოდუმის უკან, ვისცერული
მეზოდერმიდან. შემოსაზღვრავენ ხახას ლატერალურად და ვენტრალუ-
რად. თითოეული სალაცუჩე რკალი გარედან დაფარულია ექტოდერმით,
შიგნიდან კი ენდოდერმით.

Arcus branchialis I პირველი სალაცუჩე
რკალი—მდებარეობს უშუალოდ პირველადი პირის ხერხელის უკან.
მონაწილეობს ქვედაყბის წარმოქმნაში, ამიტომ მას ქვედაყბის რკალ-
საც უწოდებენ.

Arcus branchialis II მეორე სალაცუჩე
რკალი—მდებარეობს უშუალოდ პირველი რკალის ქვეშ და იწოდე-
ბა ენისქვეშა რკალად.

Arcus branchialis III—IV—V მესამე, მეოთ-
ხე და მეხუთე სალაცუჩე რკალები—პოსტორალური
რკალებია, მათგან V რუდიმენტულია. განვითარების პროცესში III და
IV რკალები ნაკლებად შესამჩნევი ხდებიან. მათი ღრმად მდებარე ქსო-
ვილები დასაბამს აძლევენ ენისქვეშა ძვლებსა და ფარისებრ ხრტილს.

Arcus hemalis ჰემალური რკალი—ზოგიერთ
ხერხემლიანში (თევზები, კუდიანი ამფიბიები, რეპტილიები) წარმოიქ-
მნება კულის მალის ქვედა რკალების დისტალური ბოლოების შეზრდის
შედეგად. ჰემალური რკალების ერთობლიობა წარმოქმნის არხს, რომე-
ლშიც კულის არტერია და ვენა გაივლის. ადამიანში ჰემალური რკალი
შეიძლება შეესაბამებოდეს სანეკნე მორჩებს.

Arcus neuralis ნერვეული რკალი—ტიპიური
მალის ზედა რკალი, ვითარდება სკლეროტომული მეზენქიმიდან, ნერვეუ-
ლი ლულის ორივე მხარეს, მეტამერული რკალების სახით. მათი ერთო-

ზლიობა წარმოქმნის ნერვულ არხს, რომელშიც ზურგის ტვინი მდებარეობს.

Area, ae, მდ. ლათ. მოედანი, ანატ.—ა რ ე, ვ ე ლ ი.

Area opaca მ უ ქ ი ა რ ე—ჩანასახოვანი დისკოს (იხ. *Discus embryonicus*) პერიფერული ნაწილი, ნათელი არის უშუალო გაგარძელება. მისი უჯრედები განლაგებული არიან უშუალოდ ყვითრზე და განაპირობებენ ემბრიონის კვებას.

Area optica მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ი ს ვ ე ლ ი—ყალიბდება განვითარების ადრეულ სტადიაზე წინა სატვინე ბუშტუქის შიგა ზედაპირზე. იგი შემდგომში დასაბამს აძლევს მხედველობის ორმოს (იხ. *Recessus opticus*).

Area pellucida ნ ა თ ე ლ ი ა რ ე—ჩანასახოვანი დისკოსირგვლივი გამჭვირვალე ნაწილი, რომელიც უშუალოდ სუბგერმინატივულ ღრუზე მდებარეობს. მონაწილეობს ემბრიონის სხეულის ფორმირებაში.

Arrinia, ae, მდ. ბერძნ. (a+rhis ცხვირი) ა რ ი ნ ი ა—ცხვირის თანდაყოლილი უქონლობა.

Arteria, ae, მდ. ბერძნ. (aer ჰაერი + tereo შევიცავ) ა რ ტ ე რ ი ა—გულიდან სისხლის გამომტანი ძარღვი.

Arteria allantoica seu umbilicalis ა ლ ა ნ ტ ო ი ს ი ს ა ნ უ ქ ი პ ი ს ა რ ტ ე რ ი ა—ყალიბდება დორსალური აორტის კაუდალური ბოლოდან ვენტრალური წყვილი ტოტის სახით. გასდევს ალანტოისს და სხეულის ღერაკის გავლით შედის ქორიონის სისხლძარღვოვანი წნულის შემადგენლობაში. პლაცენტარული სისხლის მიმოქცევის შეწყვეტის შემდეგ კიპის არტერიები რედუცირდებიან. რჩება მხოლოდ მათგან განვითარებული რიგი სისხლძარღვები, კერძოდ ჯორჯლის ზემო და ქვემო და თქმოს არტერიები.

Arteria hyaloidea მ ი ნ ი ს ე ბ რ ი ა რ ტ ე რ ი ა—ემბრიონის ბადურის ცენტრალური არტერიის ტოტი. მინისებრი სხეულის გავლით ტოტიანდება ბროლის უკანა ზედაპირზე. მისი რედუცირების შემდეგ მინისებრი სხეულის სისქეში რჩება სითხით ამოვსებული არხი.

Arteriae axiales membri inferioris et superioris ზ ე მ ო დ ა ქ ვ ე მ ო კ ი დ უ რ ე ბ ი ს ღ ე რ ძ უ ლ ი ა რ ტ ე რ ი ე ბ ი—ზემო და ქვემო კიდურების კვირტების არტერიები ყალიბდებიან დორსალური აორტის სეგმენტთაშორისი არტერიებიდან. კერძოდ: ზემო კიდურისა კისრის 7-ე, ქვემო კიდურისა კიწელის 5-ე სეგმენტთაშორისი არტერიებიდან.

Arteriae intersegmentales dorsales დორსალური სეგმენტთა შორისი არტერიები — დასაბამს იღებენ დორსალური აორტიდან, მიემართებიან მეზობელ სომიტებს შორის ნერვული მილის ორივე მხარეს.

Arteriae segmentales laterales ლატერალური სეგმენტური არტერიები — გამოდიან დორსალური აორტიდან ლატერალური მიმართულებით. მათგან ყალიბდებიან შუასაძგიდის, თირკმლის, თირკმელზედა ჯირკვლის, სათესლის ან საკვერცხის არტერიები.

Arteriae segmentales ventrales ვენტრალური სეგმენტური არტერიები — დორსალური აორტის ტოტებია. წარმოიქმნებიან განვითარების ადრეულ სტადიაზე, როდესაც აორტა ჯერ კიდევ წყვილია. მიემართებიან ლატერალურად პირველადი ნაწლავის დორსალურ კედელზე, აქედან კი ყვითრის პარკის პერიფერიაზე. შეადგენენ ემბრიონის ყვითრ-ჯორჯლის სისხლის მიმოქცევის წრის არტერიულ ნაწილს. მოგვიანებით სტადიაზე აღნიშნული არტერიების მარჯვენა და მარცხენა ტოტები შეეზრდებიან ურთიერთს და წარმოქმნიან ჯორჯლის არტერიებს.

Arteriae vitelline საყვითრე არტერიები — დორსალური აორტის წყვილი ვენტრალური ტოტები. მიემართებიან ყვითრის პარკისაკენ და იშლებიან მასზე კაპილარულ წნულად. ყვითრის პარკის რედუქციების შემდეგ ერთდებიან და დასაბამს აძლევენ კენტ-ჯორჯლის ზემო არტერიას.

Astomia, ae, მდ. ბერძნ. (a+stoma პირი) ასტომია — პირის ნაპრალის თანდაყოლილი უქონლობა.

Asyntaxia dorsalis დორსალური ასინტაქსია — ნერვული ლულის დაზოზობის დეფექტი.

Atavismus, i, მამრ. ლათ. (atavus წინაპარი, პაპის პაპა+ismus) ატავიზმი — შორეული წინაპრიდან მემკვიდრეობით მიღებული ნიშანი, რომელიც ახლო შუალედურ თაობებში არ შეინიშნებოდა.

Athelia, ae, მდ. ბერძნ. (a+thele დვრილი) ათელია — ძუძუს დვრილის განუვითარებლობა, უქონლობა.

Athixia, ae, მდ. ბერძნ. (tactillis შეგრძნება) ათიქსია — შეხების გრძნობის უქონლობა.

Atresia, ae, მდ. ბერძნ. (a + tresis გახვრეტა, ხვრელი) ატრეზია — სხეულში ამა თუ იმ ბუნებრივი ხვრელის ან არხის თანდაყოლილი უქონლობა. იშვიათად შეიძლება იყოს შეძენილი, გამოწვეული შეზრდით ან ობლიტერაციით.

Atrichia, ae, მდ. ბერძნ. (a+trix, trichos თმა) ა ტ რ ი ქ ი ა—თმის ზრდის თანდაყოლილი ან შექმნილი მოშლა. თმის არარსებობას თან ერთვის დეფექტი კბილებისა და ფრჩხილების აგებულებაშიც.

Atrium, ii, საშ. ლათ. ატრიუმში, ოთახი, დარბაზი, ანატ. კ ა რ ი ბ ჰ ე, წ ი ნ ა გ უ ლ ი.

Atrium primitivum პ ი რ ვ ე ლ ა დ ი წ ი ნ ა გ უ ლ ი—კენტი საკანი ვენურ სინუსსა და პირველად პარკუქს შორის ჩანასახის ლულოვანი გულის სტადიაზე. წინაგულთაშორისი ძვიდის განვითარების შემდეგ იყოფა მარჯვენა და მარცხენა წინაგულებად.

Auris, is, მდ. ლათ. ყ უ რ ი—სმენის ორგანო. შედგება შიგნითა, შუა და გარეთა ყურისაგან, თითოეული მათგანი შესაბამისად სხვადასხვა ნერგებიდან ვითარდება.

Auris externa გ ა რ ე თ ა ყ უ რ ი—შედგება სასმენი ნიჟარისა და გარეთა სასმენი მილისაგან, რომლებიც ყურის ბორცვებიდან (იხ. *Colliculi aurales*) ვითარდებიან.

Auris interna შ ი გ ნ ი თ ა ყ უ რ ი—ექტოდერმული წარმოშობისაა. მისი პირველი ნერგი ისახება ემბრიონული განვითარების დაახლოებით მე-4 კვირის დასაწყისში, I-სალაყუჩე ღარის ღორსალურად მდებარე ყურის პლაკოდიდან (იხ. *Placoda otica*).

Auris media შ უ ა ყ უ რ ი—დასაბამს იღებს I და ნაწილობრივ II შიგა სალაყუჩე ღარებიდან.

Auto, Aut, Autos ბერძნ. რთულ სიტყვებში მიუთითებს თავისთავზე.

Autogamia, ae, მდ. ბერძნ. (autos+games) ა უ ტ ო გ ა მ ი ა—თვითგანაყოფიერება. ერთიდაიგივე ინდივიდის გამეტათა ურთიერთშერწყმა.

Autosomia, ae, მდ. ბერძნ. (autos + soma სხეული) ა უ ტ ო ს ო მ ი ა—კარิโอტიპის შეცვლა, აუტოსომათა რიცხობრივი ცვლა.

B

Bi, Bis, ლათ. რთულ სიტყვებში აღნიშნავს ორმაგს, ორჯერადს.

Bivalent, is, ლათ. (bis+valere ძლიერი) ბ ი ვ ა ლ ე ნ ტ ი—ერთმანეთთან მჭიდროდ განლაგებული წყვილი ჰომოლოგიური ქრომოსომები, პირველი მეიოზური გაყოფის პროფაზის პაქინემის სტადიაზე. თითოეული ბივალენტი 4 ქრომატიდისგან შედგება.

Blastos, Blasto, Blast, ბერძნ. (კვირტი, ჩანასახი) —
რთულ სიტყვებში მიუთითებს ჩანასახზე, ჩანასახოვან უჯრედებზე ან
აღრეულ ემბრიონულ სტადიაზე.

Blastema, atis, საშ. ბერძნ. (შთამომავალი, ჩანასახი)
ბ ლ ა ს ტ ე მ ა — ჩანასახოვანი უჯრედული მატრიქსი, რომელიც დასა-
ბამს აძლევს ორგანოს ან მის რომელიმე ნაწილს, ნორმალური განვი-
თარების ან რეგენერაციის დროს.

Blastocoelia, es, მდ. ბერძნ. (blastos+koilia) ბ ლ ა
ს ტ ო ც ე ლ ი — ბლასტულის ცენტრალური ღრუ.

Blastocystis, ae, მდ. ბერძნ. (blastos+kystis) ბ ლ ა ს-
ტ ო ც ი ს ტ ი — ძუძუმწოვართა ჩანასახოვანი ანუ ბლასტოდერმული
სფეროსებრი ბუშტუკი — (იხ. Blastula) მის კედელს ტროფობლას-
ტი შეადგენს, რომლის ერთ პოლუსთან კონცენტრირებულია შიგა
უჯრედული მასა — ემბრიობლასტი. განარჩევენ ერთ, ორ და სამშრიან
ბლასტოცისტს.

Blastocystis bilaminaris ო რ შ რ ი ა ნ ი ბ ლ ა ს-
ტ ო ც ი ს ტ ი — ბლასტოცისტი, რომლის კედელი შედგება ტროფობლას-
ტისა და მის ქვეშ მდებარე ჩანასახგარე ენდოდერმისაგან.

Blastocystis trilaminaris სამ შ რ ი ა ნ ი ბ ლ ა ს ტ ო-
ც ი ს ტ ი — ბლასტოცისტი, რომლის კედელში ტროფობლასტსა და ჩანა-
სახგარე ენდოდერმას შორის განლაგებულია ჩანასახგარე მეზოდერმა.

Blastoderma, atis, საშ. ბერძნ. (blastos+derma) ბ ლ ა ს-
ტ ო დ ე რ მ ა — ბლასტულის კედელი. წარმოდგენილია ერთიანი უჯრე-
დული ფენით, რომელშიც უჯრედები ერთ ან რამდენიმე შრედაა განლა-
გებული.

Blastogenesis, is, მდ. ბერძნ. (blasto+genesis) ბ ლ ა
ს ტ ო გ ე ნ ე ზ ი — ადამიანსა და ხერხემლიან ცხოველებში ემბრიონ-
ული განვითარების პერიოდი — სომიტების წარმოქმნამდე. მრავალუჯრე-
დიან ცხოველებში, უსქესო გამრავლების დროს, ახალი ორგანიზმის
წარმოქმნა სომატური უჯრედებიდან.

Blastoma, atis, საშ. ბერძნ. (blastos+oma სიმსიენე)
ბ ლ ა ს ტ ო მ ა — ახალი წარმონაქმნი (იხ. Tumor).

Blastomerus, i, მამრ. ბერძნ. (blastos+meros ნაწილი)
ბ ლ ა ს ტ ო მ ე რ ი — ზიგოტის დანაწევრების პროცესში წარმოქმნი-
ლი უჯრედი. განარჩევენ შედარებით დიდი ზომის — მაკრომერს, საშუ-
ალო — მეზომერს და მცირე ზომის — მიკრომერს.

Blastoporus, i, საშ. ბერძნ. (blastos+poros გასავალი,
ფორა) ბ ლ ა ს ტ ო პ ო რ ი — ანუ პირველადი პირი. ხერელი, რომლის
საშუალებით ჩანასახის პირველადი ნაწლავის ანუ არქენტერონის ღრუ

უკავშირდება გარე გარემოს. განარჩევენ ბლასტოპორის რამდენიმე ბაგეს (იხ. *Labia blastopori*).

Blastula, ae, მდ. ბერძნ. ბლასტულა—ზიგოტის დანაწევრების საბოლოო სტადია. ბუშტუკისებრი ფორმის წარმონაქმნი, რომლის კედელი—ბლასტოდერმა წარმოდგენილია უჯრედების—ბლასტომერების ერთი ან რამდენიმე შრით. განარჩევენ ბლასტულის რამდენიმე ტიპს (*Discoblastula*, *Coeloblastula*, *Sterroblastula* იხ.).

Brachy, ბერძნ. (*Brachys*-მოკლე)—რომელ სიტყვებში აღნიშნავს სიმოკლეს, სიგრძის სიმცირეს.

Brachycephalia, ae, მდ. ბერძნ. (*brachy*+*kephale* თავი) ბრ ა ქ ი ც ე ფ ა ლ ი ა—ნორმაზე დიდი განივი დიამეტრის მქონე მოკლე სფეროსებრი თავი.

Brachycheilia, ae, მდ. ბერძნ. (*brachy*+*cheilos* ტუჩი) ბრ ა ქ ი ქ ე ი ლ ი ა—ზედა ტუჩის შუა ნაწილის დამოკლება, რის გამოც იგი ვერ ფარავს ზედა კბილებს. განვითარების ანომალია.

Brachydactilia, ae, მდ. ბერძნ. (*brachy*+*dactylos* თითი) ბრ ა ქ ი დ ა ქ ტ ი ლ ი ა—ხელის ან ფეხის ნორმაზე მოკლე თითები. თანდაყოლილი ანომალია.

Brachyfalangia, ae, მდ. ბერძნ. (*brachy*+*falangs* ფალანგა) ბრ ა ქ ი ფ ა ლ ა ნ გ ი ა—თითების ნორმალურზე მოკლე ფალანგები.

Branchiomerus, i, მამრ. ბერძნ. (*branchia* ლაყუჩი+*meros* ნაწილი) ბრ ა ნ ქ ი ო მ ე რ ი—ვენტრალური მეზოდერმის სეგმენტი, რომლისგანაც სალაყუჩე ანუ ვისცერული რკალები ვითარდება.

Bulbus, i, მამრ. ბერძნ. (*bolbos* ხახვის თავი) ბ ო ლ ქ ე ი.

Bulbus sinovaginales ს ა შ ო - ს ი ნ უ ს ი ს ბ ო ლ ქ ე ე ბ ი—შარდსასქესო სინუსის დორსალური გამონადრეკი, რომლისგანაც საშოს ქვემო მეხუთედი ყალიბდება.

Bulbus cordis გ უ ლ ი ს ბ ო ლ ქ ე ი—ყალიბდება პირველადი საგულე ლულის მარჯუთის აღმავალი ნაწილიდან. კრანიალურად იგი აორტის ფესვებში გრძელდება. დაახლოებით 4—5 მმ სიგრძის ემბრიონებში გულის ბოლქვი 3 ნაწილად იყოფა: პროქსიმალური (დასაბამს აძლევს მარჯვენა პარკუჭის ტრაბეკულურ ნაწილს), შუა (აყალიბებს გულის კონუსს) და დისტალური (ქმნის არტერიულ ღეროს).

Bulbus olfactorius ყ ნ ო ს ე ი ს ბ ო ლ ქ ე ი—ყალიბდება ემბრიონული განვითარების ადრეულ სტადიაზე, ბოლო ტვინის ვენტრალური ზედაპირის წყვილი კოლბისებრი შემსხვილების სახით. ყნოსვის ბოლქვი შედის ყნოსვის ტვინის შემადგენლობაში.

Bursa, ae, მდ. ბერძნ.—ჯ ი ბ ე, ჩ ა ნ თ ა, ა ბ გ ა.

Bursa infracardiaca გულისქვეშა აბგა—მცირე ზომის დახშული მეზოთელური ღრუ. ყალიბდება დორსალური ჯორჯლის მარჯვენა ზედაპირზე არსებული ტომრისმაგვარი გამობერილობიდან, ემბრიონული განვითარების მე-4 კვირის ბოლოს. კრანიალურად შექრილია საყლაპავი მილისა და მარჯვენა ფილტვის ნერგს შორის.

Bursa omentalis ბადექონის აბგა—მცირე ზომის პერიტონეალური პარკი, ფორმირდება კუჭის დორსალურად, მეზოგასტრიუმის ლატერალურ მიდამოში. საქმლის მომწელებელი მილის შემობრუნების შემდეგ წარმოქმნის ღრუს, რომელიც ბადექონის ხვრელით იხსნება პერიტონეუმის ღრუში.

C

Canalis, is, მამრ. ლათ. არხი

Canalis analis ყითას არხი—მისი ზემო ენდოდერმული ნაწილი ყალიბდება სწორი ნაწლავის უკიდურესი კაუდალური ბოლოდან, ქვემო ექტოდერმული კი პროქტოდეუმიდან. ყითას არხი იხსნება დეფინიტური ყითას ხვრელით.

Canalis atrioventricularis ატრიოვენტრიკულური არხი—კენტი არხი ადრეული ემბრიონული გულის წინაგულსა და პარკუჭს შორის, რომელიც 5—6 კვირის ემბრიონებში, ენდოკარდული ბალიშების საშუალებით, მარცხენა და მარჯვენა არხებად იყოფა.

Canalis centralis ცენტრალური არხი—ზურგის ტვინის ცენტრალური არხი, დასაბამს იღებს ნერვული ლულის სპინალური ნაწილის ღრუდან. არხში ცირკულირებს ზურგის ტვინის სითხე. ზურგის ტვინის გასქელების გამო იგი თანდათანობით ვიწროვდება.

Canalis craniopharyngealis ქალა-ხახის არხი—ჩანასახოვანი არხი სოლისებრ ძვალში, ყალიბდება რატკეს ჯიბის ირგვლივ ძვლის ზრდის შედეგად.

Canalis hyaloidea მინისებრი არხი—მინისებრი სხეულის სისქეში მინისებრი არტერიის უკუგანვითარების შედეგად დარჩენილი მცირე ზომის არხი.

Canalis neuroentericus ნერვულ-ნაწლავის ეული არხი—ნევროცელის და პირველადი ნაწლავის ღრუს დამაკავშირებელი ვიწრო არხი, რომელიც ემბრიონული განვითარების ადრეულ სტადიაზე ქრება.

Canalis notochordalis ნოტოქორდული არხი—ყალიბდება ემბრიონის თავისმიერ მორჩში პირველადი ღარის

გაგრძელების შედეგად. ხერეცს ენდოდერმას და იხსნება ყვითრის პარკში. წარმოქმნის დროებით კავშირს ამნიონსა და ყვითრის პარკს შორის.

Canalis pleuralis პ ლ ე ვ რ ი ს ა რ ხ ი — ცელომის ღრუს ვიწრო წყვილი მიდამო შუასაყარის ორივე მხარეს, ღვიძლის დოქსალურად. პლევრის ღრუს ნერვი.

Canalis semicircularis ნ ა ხ ე ვ ა რ კ ა ლ ო ვ ა ნ ი ა რ ხ ე ბ ი — ყალიბდებიან ემბრიონული განვითარების დაახლოებით მე-6 კვირის ბოლოს, ყურის ბუშტუკის კარიბჭის ნაწილიდან, ურთიერთდამოუკიდებელი ზედა, უკანა და ლატერალური გამონაზარდების სახით. თითოეული მათგანი იხსნება ტიკში. არხების ბოლოებზე აღინიშნება გაფართოებები — ამპულები. სადაც განლაგებულია ნეიროეპითელური უჯრედებით წარმოდგენილი სპეციალიზებული რეცეპტორები, რომლებიც ქალას მე-8 წყვილი ნერვის კარიბჭის ტოტით ინერვირდებიან. არხები განლაგებულია ურთიერთპერპენდიკულარულ სიბრტყეებში.

Canalis vesicourethralis ბ უ შ ტ-შ ა რ დ ს ა დ ე ნ ი ს ა რ ხ ი — მეზონეფროსის სადინარების კრანიალური ნაწილი, რომლიდანაც შემდგომში შარდის ბუშტი და პირველადი შარდსადენი ვითარდებიან.

Capacitatio, as. atis, მდ. ლათ. (*capax* უნარიანი, ტევადი) კ ა პ ა ც ი ტ ა ც ი ა — სპერმატოზოიდში, ძირითადად აკროსომაში, მიმდინარე ფიზიოლოგიური ცვლილებები, ვიდრე სპერმატოზოიდი კვერცხუჯრედის გამჭვირვალე გარსში შეაღწევდეს. კერძოდ, აკროსომის გამოყოფის პროცესი, რაც თავის მხრივ განაპირობებს სპერმატოზოიდსა და კვერცხუჯრედის გამჭვირვალე გარსს შორის კონტაქტის დამყარებას.

Capsula, ae, მდ. ლათ. (*capse* ყუთი, კოლოფი) — კ ა ფ ს უ ლ ი, ჩ ა ნ თ ა, პ ა რ კ ი.

Capsula lentis ბ რ ო ლ ი ს კ ა ფ ს უ ლ ი — ბროლის ირგვლივ მდებარე უსტრუქტურო კაფსული. ბროლის ბუშტუკის უჯრედების ცხოველმოქმედების პროდუქტი.

Capsula nasalis ც ხ ვ ი რ ი ს კ ა ფ ს უ ლ ი — ხრტილოვანი, ნაწილობრივ გაძვალებული გარსი ხერხემლიანი ცხოველების ემბრიონების ყნოსვის ორგანოს რეცეპტორთა ირგვლივ.

Capsula otica ყ უ რ ი ს კ ა ფ ს უ ლ ი — აპკოვანი ლაბირინთის ირგვლივ მდებარე მეზენქიმიდან დიფერენცირებული ხრტილოვანი ბლასტემა. მისი შიგა შრე დიფერენცირდება მეზენქიმის მსგავს

ფაშარ ქსოვილად, გარე კი წარმოქმნის მომავალი კლდოვანი ძვლის პერიქონდრიუმს (რომელიც ამ სტადიაზე ჯერ კიდევ ხრტილოვანია).

Caput, itis, საშ. ლათ.—თ ა ვ ი.

Caput spermatozoon სპერმატოზოიდის თავი—ძირითადად წარმოდგენილია ბირთვით, რომლის ირგვლივ ციტოპლაზმის მხოლოდ ვიწრო ზოლია. თავის წინა ნაწილში მდებარეობს აკროსომა (იხ. Acrosoma). სპერმატოზოიდის თავი, ისევე როგორც მთელი მისი სხეული, გარედან დაფარულია პლაზმური მემბრანით.

Caruncula, ae, მდ. ლათ. (კნინ. caro ხორცი) კარუნკულა—საშვილოსნოს ლორწოვანი გარსის (მაგ. მცოხნავეებში) შესქელებული, სისხლძარღვებით მდიდარი მიდამო, შეიცავს სხვადასხვა ზომის ღრუებს, რომლებშიაც ქორიონის ხაოთა კონები—კოტილედონები (იხ. Cotiledo) განლაგებული. კარუნკულების ერთობლიობა წარმოქმნის ღედის ანუ საშვილოსნოს პლაცენტას (Placenta materna).

Catamenia, orum, საშ. ბერძნ. (kata თანახმად + men თვე) კატამენია (იხ. Menses).

Cauda spermatozoon სპერმატოზოიდის კუდი—სპერმატოზოიდის აქსიალური ძაფის უშუალო გაგრძელება. მის ფუძესთან კონცენტრირებულია მიტოქონდრიები.

Caulis, is, მამრ. ბერძნ.—ღერაკი, ყუნწი.

Caulis alantioicus ალანტოისის ღერაკი—ალანტოისის შევიწროებული პროქსიმალური ბოლო, რომლის საშუალებითაც იგი დაკავშირებული რჩება უკანა ნაწლავთან.

Caulis opticus მხედველობის ყუნწი—მხედველობის ბუშტუკის შუამდებარე ტვინთან დამაკავშირებელი ვიწრო ღერაკი.

Caulis vitellinus საყვითრე ღერაკი—პირველადი შუა ნაწლავისა და ყვითრის პარკის ღრუების დამაკავშირებელი ღერო, რომელშიაც ყვითრის სადინარი გადის.

Cavum, i, საშ. ლათ. ღრუ.

Cavum amnioticum ამნიონის ღრუ—წარმოიქმნება ვიწრო ნაპრალის სახით ამნიონის ნაოკების ჩანასახის ირგვლივ შემოზრდის შედეგად. შემდგომში, სითხის დაგროვების გამო, ნაპრალი ფართოვდება და გარდაიქმნება ღრუდ, რომელიც შემოსაზღვრულია ორშრიანი—შიგა-ექტოდერმული და გარე-მეზოდერმული გარსით.

Cavum cupulae opticum მხედველობის თასის ღრუ—წარმოიქმნება მხედველობის ბუშტუკის დისტალური კედლის ინვაგინაციის შედეგად. საბოლოოდ დიფერენცირდება თვალის უკანა საკნად, რომელშიც მინისებური სხეულია განლაგებული.

Cavum pleurale პლევრის ღრუ—წყვილი დახშული, სეროზული სითხის შემცველი ნაპრალისებრი სივრცე, კედლის ამჟღად და ფილტვის პლევრას შორის. დასაბამს იღებს პლევრის არხიდან.

Cavum tympanicum და ფის ღრუ—ვითარდება პირველი სალაყურე ღარის დისტალური ნაწილებიდან. შემდგომში მასში ლაგდება I და II სალაყურე რკალების ხრტილოვანი ნერვის დორსალური ბოლოდან განვითარებული 3 სასმენი ძვალი.

Cavum vitellinum საყვითრე ღრუ—ყვითრის პარკის ღრუ, ამოვსებული ცილოვანი ნივთიერებების შემცველი სითხით.

Cebocephalus, i, მამრ. ბერძნ. (*kebos* მაიმუნი + *kephale* თავი) კებოცეფალ—მახინჯი მაიმუნის მსგავსი თავით, ახლომდებარე თვალებით და რუდიმენტული ცხვირით.

Cecum, i, საშ. ლათ. ბრძანაწლავი—ყალიბდება პირველადი ნაწლავის მცირე გამობერილობის სახით იმ მიდამოში, სადაც ნაწლავს ყვითრის ღერაკი უკავშირდება. ამ გამობერილობის წინ მდებარე ნაწლავი დიფერენცირდება წვრილ ნაწლავად, უკან მდებარე კი მსხვილ ნაწლავად.

Cellula, ae, მდ. ლათ. (კნინ. *cella* ოთახი, საკანი) უჯრედი.

Cellulae chromaffinae ქრომაფინური უჯრედები—თირკმელზედა ჯირკვლის უჯრედები, ვითარდებიან ნერვული ქედიდან (იხ. *Crista neuralis*).

Cellulae deciduales დეციდუალური, მოსავარდნი უჯრედები—ორსული საშვილოსნოს მოსავარდნი ღორწოვანი გარსის დიდი მრგვალი შემაერთებელქსოვილოვანი უჯრედები. რომლებიც განაპირობებენ ენდომეტრიუმის ჰიპერტროფიას.

Cellulae ependimales ეპენდიმური უჯრედები—თავის ტვინის პარაკუჭებისა და ზურგის ტვინის ცენტრალური არხის ამომფენი ეპითელიური უჯრედები. დასაბამს იღებენ ნერვული ლულის ეპითელიუმიდან.

Cellulae spongioblasticae სპონგიობლასტური უჯრედები—თითისტარისებრი ფორმის პირველადი გლიური უჯრედები დიფერენცირდებიან ნერვული ლულის პალიალური ზონის უჯრედებიდან. შემდგომში დასაბამს აძლევენ ტვინის გლიურ კარკასს.

Cellulae sustentaculares საყრდენი უჯრედები—სპერმატოგენური ეპითელიუმის შემადგენლობაში შემავალი კვებისა და საყრდენი ფუნქციის მქონე მაღალი პრიზმული უჯრე-

დები. ვითარდებიან სათესლე მილაკების ინდიფერენტული ეპითელური უჯრედებიდან.

Celosomia, ae, მდ. ბერძნ. (kele თიაქარი + soma სხეული) ც ე ლ ო ს ო მ ი ა—სხეულის თანდაყოლილი ნაპრალი ევენტრაციით, კომბინირებული შარდსასქესო აპარატის, საკმლის მომწელებელი მილის, კიდურებისა და თითქმის მთელი სხეულის რიგ ანომალიებთან.

Cementum, i, საშ. ლათ. (caementum დაუმუშავებელი ქვა) ც ე მ ე ნ ტ ი, დ უ ლ ა ბ ი—კბილის ფესვის ძვლოვანი გარსი. ვითარდება კბილის პარკის მეზენქიმური უჯრედებიდან.

Centriola, ae, მდ. (ბერძნ. kenton ცენტრი) ც ე ნ ტ რ ი ო ლ ი.

Centriolus distalis დ ი ს ტ ა ლ უ რ ი ც ე ნ ტ რ ი ო ლ ი—სპერმატოზოიდის ყელის მიდამოში, პროქსიმალური ცენტრიოლის უკან მდებარე ცენტრიოლი. მონაწილეობს სპერმატოზოიდის კუდის აქსიალური ძაფის ფორმირებაში.

Centriolus proximalis პ რ ო ქ ს ი მ ა ლ უ რ ი ც ე ნ ტ რ ი ო ლ ი—სპერმატოზოიდის ყელის მიდამოში, ბირთვის უკანა ზედაპირის ჩაღრმავებაში განლაგებული ცენტრიოლი, მისი ღერძი სპერმატოზოიდის აქსიალური ძაფის ღერძის პერპენდიკულარულია.

Cerebellum, i, საშ. ლათ. (კინ. cerebrum დიდი ტვინი) ნ ა თ ხ ე მ ი—ნათხემის წერტილი წყვილი სტრუქტურაა. დასაბამს იღებს უკანა ტვინის დორსალური ნაწილიდან, კერძოდ, რომბული ბაგეების განსაზღვრულ მიდამოდან, რომელთა მედიალური ნაწილების შეზრდის შედეგად თავდაპირველად წარმოიქმნება ნათხემის ქია (Vermis cerebelli) შემდგომში მის ორივე მხარეს ყალიბდება ნათხემის ნახევარსფეროები. განვითარების დაახლოებით მე-4 და მე-5 თვეზე ნათხემის თავისუფალ ზედაპირზე დიფერენცირდება ქერქი (Cortex cerebelli).

Cervix spermatozoon ს პ ე რ მ ა ტ ო ზ ო ი დ ის ყ ე ლ ი—სპერმატოზოიდის თავსა და კუდს შორის მდებარე ჰომოგენური ნივთიერებით წარმოდგენილი მოკლე ვიწრო მონაკვეთი, რომლის ზემო საზღვარს ქმნის პროქსიმალური, ქვემოს კი დისტალური ცენტრიოლი.

Chiasma, atis, საშ. ბერძნ. (chiazin ჯვრით აღნიშვნა) ქ ი ა ზ მ ა—სასქესო უჯრედების მომწიფების პირველი მეიოზური გაყოფის პროფაზაში—დიპლონემის სტადიაზე, x-ის მაგვარი გადაჯვარედინება, ყოველი ბივალენტის ჰომოლოგიური ქრომოსომების ნებისმიერ მონაკვეთში, სადაც ხდება დედისეულ და მამისეულ ქრომოსომებს შორის ფრაგმენტების გაცვლა.

Choana primitiva პ ი რ ვ ე ლ ა დ ი ქ ო ა ნ ა—ემბრიონული ხვრელი ყნოსვის პარკსა და სტომოდუუმს შორის.

Chondrocranium, ii, საშ. ბერძნ. (chondros ხრტილი + kranion ქალა) ქონდროკრანიუმი — ემბრიონული ხრტილოვანი ქალა. დასაბამს იღებს დესმოკრანიუმიდან. მისი ენდოქონდრალური გაძვალეების შედეგად ყალიბდება ქალას ფუძე.

Chorda, ae, მდ. ლათ. (ბერძნ. chorde თასმა, ჭიმი, სიმი) ქორდა — სიმისმაგვარი წარმონაქმნი, ზურგის სიმი, დორსალური ქორდა, ნოტოქორდა (იხ. Notochorda).

Chordamesoderma, atis, საშ. ბერძნ. (chorde + meso შუა + derma) ქორდამეზოდერმა — ბლასტულის სტადიაზე ბლასტოპორის დორსალური ტუჩის უკრედთა ინდიფერენტული მასა, რომლისგანაც შემდგომში ნოტოქორდა და თავის მეზოდერმის ნაწილი ვითარდება.

Chordoma, atis, საშ. ბერძნ. (chorda + oma სიმსივნე) ქორდომა — ნოტოქორდის ნაშთისაგან განვითარებული ინვაზიური სიმსივნე, რომელიც შეიძლება მდებარეობდეს გავა-კუდუსუნის მიდამოში, ტენის ფუძესთან, ზოგჯერ თურქულ კეხშიც, უფრო იშვიათად კი ხერხემლის არხის კისრის მიდამოში.

Chorion, ii, საშ. ბერძნ. (კანი, გარსი) ქორიონი — ჩანასახის გარსი, ყალიბდება ტროფობლასტისაგან და ჩანასახგარე მეზოდერმიდან. თავდაპირველად ხაოებითაა დაფარული ქორიონის მთელი თავისუფალი ზედაპირი, შემდგომში კი მხოლოდ ის მიდამო, საიდანაც პლაცენტის ნაყოფისეული ნაწილი ვითარდება. ხაოებით დაფარული ნაწილი დატოტეილი ქორიონია (Chorion frondosum), ხაოების გარეშე დარჩენილი კი გლუვი (Chorion laeve).

Choristema, atis, საშ. ბერძნ. (choristos მოცილებული) ქორისტემა — ქსოვილთა განვითარების მანკი, რომელიმე ორგანოს ნორმალური უკრედების გადაადგილება ან ჩართვა მეზობელი ორგანოს ქსოვილის შემადგენლობაში.

Cisterna chyli წრბოლის ცისტერნა — ვითარდება ემბრიონის წელის მიდამოში პერიტონეუმის უკან მდებარე დიდი შუა ლიმფური პარკიდან, მასში ჯორჯლის და თეძო-საზარდულის ლიმფური ძარღვები იხსნებიან.

Climacter, ii, საშ. ბერძნ. (klimacter საფეხური) კლიმაქსი — აღამიანებში გარდამავალი, კრიტიკული პერიოდი, ენდოკრინული, სომატური და ფსიქიური გარდაქმნების ერთობლიობა, დაკავშირებული გენერაციული ფუნქციის დაქვეითებასთან.

Clitoris, idis, მდ. ბერძნ. (cleitoris ხიცინი) კლიტორი, სავენებო — ქალის გარეთა სასქესო ორგანოს ნაწილი. შეესაბა-

შება მამაკაცის ასოს მღვიმოვან სხეულს. ვითარდება სასქესო ბორცვიდან.

Cloaca, ae, მდ. ლათ. კ ლ ა კ ა —ადამიანისა და ზოგიერთი ხერხემლიანი ცხოველის ემბრიონული განვითარების ადრეულ სტადიაზე, ენდოდერმული პირველადი უკანა ნაწლავის კაუდალური გაგანიერებული ბოლო, რომელშიც ალანტოისის და პირველადი თირკმლის სადინარები იხსნება. კლოაკა პროქტოდეუმისაგან გამოყოფილია თხელი მემბრანით, რომლის გარღვევის შემდეგ კლოაკის ხერხელი ვითარდება. კლოაკის ღრუ კი ურორექტალური ნაოჭით იყოფა ორ ურთიერთდამოუკიდებელ დორსალურ—რექტალურ და ვენტრალურ—უროგენიტალურ ნაწილებად.

Cloaca endodermalis ე ნ დ ო დ ე რ მ უ ლ ი კ ლ ო ა კ ა —კლოაკის ის ნაწილი, რომელიც კლოაკის მემბრანის შიგნით მდებარეობს. პირველადი უკანა ნაწლავის კაუდალური ბოლო.

Cloaca ectodermalis ე ქ ტ ო დ ე რ მ უ ლ ი კ ლ ო ა კ ა —კლოაკის ის ნაწილი, რომელიც კლოაკის მემბრანის გარეთ მდებარეობს. ვითარდება პროქტოდეუმისაგან.

Cloaca persistens პ ე რ ს ი ს ტ ე ნ ტ უ ლ ი —ნ ა რ ჩ ე ნ ი, თ ა ნ დ ა ყ ო ლ ი ლ ი კ ლ ო ა კ ა —განვითარების მანკი, არ ხდება კლოაკის მემბრანის გარღვევა და ანალური ხერხელის განვითარება, რის გამოც სწორი ნაწლავი იხსნება შარდსასქესო ტრაქტში.

Cochlea, ae, მდ. ბერძნ. (*kochlos* ლოკოკინა) ლ ო კ ო კ ი ნ ა —შიგნითა ყურის ძვლოვანი ლაბირინთის წინა ნაწილი, ვითარდება და საბოლოოდ ყალიბდება ლოკოკინას სადინარიდან. მის სიღრმეში ყურის სპირალური ორგანო მდებარეობს. ლოკოკინა აპკოვანი ლაბირინთის კარიბჭისეულ ნაწილს შემაერთებული სადინარით უკავშირდება.

Coel, Coeli, Coelie, Coele, ბერძნ. (*koilia* ღრუ) რთულ სიტყვებში მიუთითებს სხეულის ღრუზე.

Coelom, atis, საშ. ბერძნ. (*koilia*) ც ე ლ ო მ ი —ემბრიონის სხეულის ორივე მხარეს, ლატერალური მეზოდერმის განშრევეების შედეგად, სპლანქნოტომურ და სომატურ მეზოდერმას შორის განვითარებული ჭერ ჩანასახგარე (*Coeloma extraembryonicum*), შემდეგ კი შიგა ემბრიონული ღრუ (*Coeloma intraembryonicum*). თავდაპირველად ეს ორი ღრუ დაკავშირებულია ურთიერთთან, შემდგომში კი ხდება მათი სრული გამოცალკეება. საბოლოოდ, ჩანასახგარე ღრუ, ამნიონის ზრდასთან ერთად, განიცდის ობლიტერაციას, შიგა ემბრიონული ღრუ კი დასაბამს აძლევს პერიტონეუმის, პლევრისა და პერიკარდიუმის ღრუებს.

Coeloblastula, ae, მდ. ბერძნ. (*koilia+blastos*) ც ე ლ ო ბ ლ ა ს ტ უ ლ ა —ბლასტულა კარგად გამოხატული დიდი ბლასტო-

ცელით. განარჩევენ თანაბარ ცელობლასტულას, რომელიც ხასიათდება ბლასტოცელის ცენტრალური მდებარეობით და ერთგვაროვანი უჯრედებისაგან შემდგარი ერთშირიანი კედლით, და არათანაბარ ცელობლასტულას, რომლის ბლასტოცელი ექსცენტრულად მდებარეობს, კედელი კი წარმოდგენილია ერთი ან რამდენიმე შრედ განლაგებული არათანაბარი ზომის უჯრედებით.

Coitus, is, მამრ. ლათ. (*coire* შეერთება, შერწყმა) კოიტუსი—სქესობრივი აქტი, სექსუალური კავშირი, შერწყმა, კოპულაცია, დაწყვილება.

Colliculi aurales ყურის ბორცვები—I და II სალახუჩე რკალების მეზენქიმის შემსხვილებები, შემოსაზღვრავენ გარეთა სალახუჩე ღარს. ვითარდება ნ ბორცვი, რომლებიც შემდგომში დასაბამს აძლევენ გარეთა ყურს.

Coloboma, atis, საშ. ბერძნ. (*kolobom* დამახინჯება) კოლობომა—თვალის, ძირითადად ფერადი გარსის, თანდაყოლილი დეფექტი.

Colon, i, საშ. ბერძნ. (*kolon* მსხვილი ნაწლავი) კოლინჯი—მსხვილი ნაწლავის მონაკვეთი ბრმა ნაწლავსა და სწორ ნაწლავს შორის. ვითარდება პირველადი შუა და უკანა ნაწლავის განსაზღვრული მიდამოებიდან.

Colon ascendens ასწვრივი კოლინჯი—მსხვილი ნაწლავის მონაკვეთი ბრმა ნაწლავსა და განივ კოლინჯს შორის. ვითარდება პირველადი შუა ნაწლავის მარჯუეთის კაუდალური ბოლოდან.

Colon descendens დასწვრივი კოლინჯი—მსხვილი ნაწლავის მონაკვეთი განივ კოლინჯსა და სიგმოიდურ კოლინჯს შორის. ვითარდება პირველადი უკანა ნაწლავიდან.

Colon sigmoideum სიგმოიდური კოლინჯი—მსხვილი ნაწლავის მონაკვეთი დასწვრივ კოლინჯსა და სწორ ნაწლავს შორის. ვითარდება პირველადი უკანა ნაწლავიდან.

Colon transversum განივი კოლინჯი—მონაკვეთი ასწვრივ და დასწვრივ კოლინჯს შორის. მისი მარჯვენა პროქსიმალური ორი მესამედი ვითარდება შუა ნაწლავის მარჯუეთის კაუდალური ბოლოდან, მარცხენა ერთი მესამედი კი პირველადი უკანა ნაწლავიდან.

Colostrum, i, საშ. ლათ. ხსენი—სარძევე ჯირკვლების სეკრეტი. გამომუშავდება ორსულობის მეორე ნახევარში და მშობიარობიდან 2—3 დღის განმავლობაში. მოყვითალო ფერის სითხე, შეიცავს ნაკლები რაოდენობით კაზეინს, მეტი რაოდენობით ალბუმინებსა და სხვა

პროტეინებს, ვიდრე ქალის რძე. აქვს გამხსნელი და ნაწლავების გამაღი-
ზიანებელი თვისებები, რაც ხელს უწყობს ახალშობილის ნაწლავების
განთავისუფლებას მეკონიუმისაგან.

Colostrum gravidarum ო რ ს უ ლ ი ს ხ ს ე ნ ი—
ხსენი გამომუშავებული მშობიარობამდე.

Colostrum puerperarum მ ე ლ ო გ ი ნ ი ს ხ ს ე -
ნ ი—მშობიარობის შემდეგ გამომუშავებული ხსენი.

Commisura, ae, მდ. ლათ. შ ე ს ა რ თ ა ე ი.

Commisura anterior წ ი ნ ა შ ე ს ა რ თ ა ე ი—ყნოს-
ვის ცენტრების დამაკავშირებელი ნერვულ ბოჭკოთა კონა ბოლო
ტვინის ტერმინალური ფირფიტის დორსალურ ნაწილში. ყალიბდება
ემბრიონული განვითარების ადრეულ სტადიაზე.

Commisura hippocampale ჰ ი პ ო კ ა მ პ ი ს შ ე -
ს ა რ თ ა ე ი—ვითარდება ემბრიონული განვითარების დაახლოებით
მე-3 თვეზე, მესამე პარაკუტის თხელ წინა კედელზე—წინა შესართავის
დორსალურად. მარჯვენა და მარცხენა ჰიპოკამპს აკავშირებს ურთი-
ერთთან. საბოლოოდ ლოკალიზდება კორძიანი სხეულის კაუდალური
ნაწილის ქვეშ.

Commisura neopallialis ნ ე ო პ ა ლ ი უ მ ი ს
შ ე ს ა რ თ ა ე ი—ნერვულ ბოჭკოთა მასიური კონა ნახევარსფეროების
მეორადი შეერთების მიდამოში. ქერქის არაყნოსვით ნაწილებს აკავში-
რებს ურთიერთთან. აღამიანის თავის ტვინში ყველაზე კარგად განვითა-
რებული შესართავია, სადაც ნეოპალიუმი განვითარების მაქსიმუმს აღ-
წევს.

Conceptio, onis, მდ. ლათ. (concinere ჩაესახავ, შეეთ-
ხზავ) ჩ ა ს ა ხ ე ა—მოიცავს კვერცხუჯრედის განაყოფიერებისა და მი-
სი იმპლანტაციის პროცესს.

Conceptus, i, მამრ. ლათ. ნ ა ყ ო ფ ი—ემბრიონი თავისი
გარსებით, ჩასახვის პროდუქტი.

Conjunctiva, ae, მდ. ლათ. (conjunctivus შეერთება)
კ ო ნ ი უ ნ ქ ტ ი ე ა—თვალის ექტოდერმულ-მეზენქიმური წარმოშო-
ბის გარსი. ფარავს ქუთუთოების შიგა ზედაპირს და თვალის კაკლის წი-
ნა ნაწილს, რქოვანას გამოკლებით.

Conjunctiva bulbaris თ ვ ა ლ ი ს კ ა კ ლ ი ს კ ო -
ნ ი უ ნ ქ ტ ი ე ა—ფარავს თვალის კაკლის თეთრი გარსის წინა მესა-
მელს, კონიუნქტივას გარდამავალი ნაკეციდან რქოვანას კიდემდე.

Conjunctiva palpebralis ქ უ თ უ თ ო ს კ ო -
ნ ი უ ნ ქ ტ ი ე ა—ქუთუთოების შიგა ლორწოვანი ზედაპირი, წარმო-
დგენილი ექტოდერმული წარმოშობის მრავალშრიანი პრიზმული ეპი-

თელიუმითა და მეზენქიმური წარმოშობის შემაერთებელქსოვილოვანა შრით.

Conus arteriosus არტერიული კონუსი — გულის მარჯვენა პარკუჭის კონუსისმაგვარი შემადღება ფილტვის ღეროს დასაწყისთან. დასაბამს იღებს გულის ბოლქვის პროქსიმალური ნაწილიდან.

Conus medularis ზურგის ტვინის კონუსი — ზურგის ტვინის კონუსისმაგვარი დაბოლოება, დაახლოებით წელის პირველი მალის ღონეზე, ზურგის ტვინის ძირითად ნაწილსა და მის ტერმინალურ ძაფს შორის (იხ. *Fillum terminale*)

Copula, ae, მდ. ლათ. კოპულა — ენის ბორცვი. კენტი ბორცვის მედიალურად მდებარე ენდოდერმული ეპითელიუმისა და მეზოდერმის შემსხვილება, განვითარებული მე-2—3 და, ნაწილობრივ მე-4 სალახუჩე რკალებიდან. მონაწილეობს ენის ძირის წარმოქმნაში.

Copulatio, onis, მდ. ლათ. (*copulare* მჭიდროდ შეკვრა, შეერთება) კოპულაცი — 1. ორი ინდივიდის შერწყმა სქესობრივი აქტის დროს. 2. სქესობრივი პროცესის ფორმა უმდაბლესებში, როდესაც გამეტების შერწყმის შედეგად ხდება ზიგოტის წარმოქმნა.

Cor, dis, საშ. ლათ. გული — ვითარდება ემბრიონული განვითარების დაახლოებით მე-3 კვირას, ჩანასახის კისრის მიდამოში, მეზენქიმური უჯრედებიდან წყვილი ენდოკარდული ლულის სახით, რომლის ირგვლივ მდებარე ვისცერული მეზოდერმიდან ვითარდება მიოეპიკარდიალური ფირფიტა — მიოკარდიუმისა და ეპიკარდიუმის ნერგი. შემდგომში გულის წყვილი ნერგი შეერწყმის ურთიერთს და დასაბამს აძლევს პირველად ლულოვან გულს (*Cor tubulare simplex*), რომლის კაუდალური ბოლო დიფერენცირდება ვენურ სინუსად (იხ. *Sinus venosus*), კრანიალური კი — არტერიულ ღეროდ (იხ. *Truncus arteriosus*). ემბრიონის სხეულის ზრდასთან ერთად პირველადი ლულოვანი გული აკეთებს რამდენიმე მარყუქს, რის გამოც ვენური ნაწილი გადაინაცვლებს კრანიალურად და მოსაზღვრავს არტერიულ კონუსს, რომელიც წინაგულეების ნერგია, არტერიული ნაწილი კი კაუდალურად გადაინაცვლებს და დასაბამს აძლევს პარკუჭებს. განვითარების პროცესში გული იცვლის მდებარეობას და საბოლოოდ თავსდება გულმკერდის მიდამოში.

Cor biloculare ორკამერიანი გული — ადამიანებში განვითარების მანკი, როდესაც მხოლოდ ერთი პარკუჭი და ერთი წინაგულია.

Cor triloculare სამკამერიანი გული — ადამიანებში განვითარების მანკი, როდესაც ორი წინაგული და მხოლოდ ერთი პარკუჭია.

Cornea, ae, მდ. ლათ. (*corneus* რქოვანი) რქოვანა — თვალის გამკვირვალე გარსი, ვითარდება ორი სხვადასხვა წყაროდან, ზედაპირული თხელი ეპითელური შრე — ექტოდერმიდან, შიგა სქელი, მკვრივი ბოქოვანი შრე კი მეზენქიმიდან.

Corpus, oris საშ. ლათ. სხეული.

Corpus branchi ultimi ულტიმოზანქიული სხეული — მცირე ზომის ეპითელური კვანძი ხახის რუდიმენტული მე-5 ჯიბის ორივე მხარეს. დასაბამს იღებს ხახის მე-3 და მე-4 წყვილი ჯიბეებიდან და ნერვული ქედიდან. განვითარების პროცესში შედის ფარისებრი ჯირკელის შემადგენლობაში.

Corpus callosum კორძიანი სხეული — ვითარდება ბოლო ტვინის ტერმინალური ფირფიტის საფარველი ნაწილიდან. წარმოადგენს ტვინის ყველაზე დიდ შესართავს.

Corpus striatum ზოლიანი სხეული — იწვევება ბოლო ტვინის ფუძეზე, პარაკუქთაშორისი ხერხლის დონეზე, წყვილი შემსხვილებების სახით. შეიცავს კუდიან და ოსპისებრ ბირთვებს, გამოცალკავებულს ურთიერთისაგან თეთრი ნივთიერების თხელი შრით.

Corpus vitreum მინისებრი სხეული — თვალის ღრუს ამომსგები ლაბისებრი კონსისტენციის სხეული, ვითარდება მხედველობის თასის შიგა ფირფიტიდან. ძირითადად იგი ექტოდერმული წარმოშობისაა, თუმცა მის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს მეზოდერმული წარმოშობის ელემენტებიც.

Cortex, icis, მდ. ლათ. ქერქი, ქერქული ნივთიერება.

Cortex cerebri დიდი ტვინის ქერქი — ვითარდება პალიუმშიდან, იყოფა ორ მიდამოდ — პალეოპალიუმად და ნეოპალიუმად.

Cortex neopallialis ნეოპალიური ქერქი — ვითარდება ნახევარსფეროების კედლის საქერქე ფირფიტიდან. ფილოგენეზურად შედარებით ახალი წარმონაქმნია. მოიცავს ნახევარსფეროების დორსალურ და ლატერალურ ზედაპირებს, ვრცელდება მედიალურ და ვენტრალურ ზედაპირებზეც.

Cortex paleopallialis პალეოპალიური ქერქი — ფილოგენეზურად ადრეული წარმონაქმნი, ვითარდება ნახევარსფეროების კედლის არამკვეთრად გამოკერძობული საქერქე ფირფიტიდან. მოიცავს ნახევარსფეროების სუპრასტრიატულ ნაწილს, ყნოსვითი მიდამოს გარდა.

Cortex piriformis მსხლისებრი ქერქი—პიპოკამპის ხვეულის დეზის ქერქი, რომელიც ნერვულ ბოჭკოებს იღებს ყნოსვის ლატერალური ტრაქტიდან.

Cotyledo, onis, მდ. ბერძნ. (kotyledon პოლიპის მისაწოვარი) კოტილედონი—ქორიონის თავისუფალ ზედაპირზე ურთიერთისაგან გამოცალკავებულ ხაოთა ჯგუფი, რომელთა საშუალებით ქორიონი ფაშარად უკავშირდება საშვილოსნოს ლორწოვანი გარსის კარუნკლებს (იხ. *Caruncula*). კოტილედონების ერთობლიობა წარმოქმნის ნაყოფის პლაცენტას (*Placenta fetalis*)

Cranioschisis, is, მდ. ბერძნ. (kranion ქალა + schisis ნაპრალი) კრანოსქიზისი—ქალას თანდაყოლილი ნაპრალი, განპირობებული ნერვული ლულის წინა ნაწილის დორსალური მხრიდან დაუხშველობით.

Craniosynostosis, is, მდ. ბერძნ. (kranion ქალა + synostosis ძვალთა შეერთება) კრანოსინოსტოზი—ქალას ძვლების ნაკერების ადრეული დახურვა, გაძვალება.

Crista neuralis ნერვული ქედი—ნერვულ ლულასა და ექტოდერმას შორის, ნერვული ნაოქიდან გამოსახლებულ უჯრედთა გროვა, რომლებიც შემდგომში დასაბამს აძლევენ: ავტონომიურ და სპინალურ კვანძებს, თირკმელზედა ჯირკვლის ქრომაფინულ, კანის პიგმენტურ და ვისცერული ჩონჩხის რიგ უჯრედებს. მონაწილეობენ თვალის მამოძრავებელი კუნთების წარმოქმნაშიც.

Cryptophthalmia, ae, მდ. ბერძნ. (kryptos დახურული, ფარული + ophthalmos თვალი) კრიპტოფთალმია—თვალის კაკლის თანდაყოლილი განუვითარებლობა, ქუთუთოებისა და ქუთუთოთაშორისი ნაპრალის არარსებობასთან ერთად.

Cryptorchismus, is, მამრ. ბერძნ. (kryptos დახურული + orchis სათესლე) კრიპტორქიზმი—განვითარების მანკი, რომლის დროსაც არ ხდება სათესლეების ჩაშვება სათესლე პარკში და ორივე რჩება მუცლის ღრუში ან საზარდულის არხში.

Cupula optica მხედველობის თასი—ყალიბდება მხედველობის ბუშტუკის დისტალური კედლის ინვაგინაციის შედეგად. ინვაგინირებული შიგა კედელი ქმნის მხედველობის თასის შიგა ფირფიტას (იხ. *Lamina interna cupulae*), გარე კედელი კი თასის გარე ფირფიტას (იხ. *Lamina externa cupulae*).

Cuticula dentalis კბილის კუტიკული—ამელობლასტების თხელი შრე მზარდი კბილების თავისუფალ ზედაპირზე. კბილის საბოლოოდ ამოჭრის შედეგად იგი განიცდის რეგრესს და ჩამოიფცქვნება.

Cutis, is, მდ.ლათ. კანი—ვითარდება ორი სხვადასხვა ემბრიონული ნერგიდან ეპიდერმისი—ექტოდერმიდან, დერმა—მეზენქიმიდან.

Cycl, Cyclo, ბერძნ. (kyklos წრე) რთულ სიტყვებში მიუთითებს ციკლზე.

Cycli genitales feminini et masculini მ დ ე რ ო ბ ი თ ი და მ ა მ რ ო ბ ი თ ი გ ე ნ ი ტ ა ლ უ რ ი ც ი კ ლ ე ბ ი—მდედრობითი და მამრობითი სქესის ინდივიდების გენიტალურ ორგანოებში გამრავლებასთან დაკავშირებული მორფოფუნქციური ციკლური პერიოდული ცვლილებები.

Cyclopia, ae, მდ. ბერძნ. (cuclo + ophthalmos თვალი) ც ი კ ლ ო პ ი ა—განვითარების ანომალია, რომლის დროსაც ინდივიდის სახის შუა ხაზზე მხოლოდ ერთი თვალბუდეა, მის ზემოთ კი ცხვირის რუდიმენტი ხორთუმის სახით.

Cyclus, i, მამრ. ბერძნ. ც ი კ ლ ი—ურთიერთდაკავშირებული პროცესების ან მოვლენების დასრულებულ სერიათა ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრული ინტერვალით მეორდება.

Cyclus anovulatorius ა ნ ო ვ უ ლ ა ტ ო რ უ ლ ი ც ი კ ლ ი—მენსტრუალური ციკლის ისეთი სახე, როდესაც არ მიმდინარეობს ოვულაცია. ყვითელი სხეულის ჩამოყალიბება და სათანადო ცვლილებები ენდომეტრიუმში.

Cyclus estrosus ე ს ტ რ უ ლ ი ც ი კ ლ ი—მდედრობითი სქესის ინდივიდის გენიტალურ ორგანოებში, გამრავლების პროცესთან დაკავშირებული, პერიოდულად მიმდინარე ცვლილებათა სერიები ესტრუსიდან ესტრუსამდე.

Cyclus follicularis ფ ო ლ ი კ უ ლ უ რ ი ც ი კ ლ ი—საკვერცხეებში, ბუშტუკისებრი ფოლიკულისა და კვერცხუჯრედის განვითარებასა და ზრდასთან დაკავშირებული ცვლილებები, რომლებიც ოვულაციით და ყვითელი სხეულის განვითარებით მთავრდება.

Cyclus mammarius ს ა რ ძ ე ვ ე ჯ ი რ კ ვ ლ ი ს ც ი კ ლ ი—ორსულობისა და ლაქტაციის პროცესებთან დაკავშირებული ცვლილებების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს პროლიფერაციის, ლაქტაციის, ინვოლუციისა და სვენების ფაზებს.

Cyclus menstrualis მ ე ნ ს ტ რ უ ა ლ უ რ ი ც ი კ ლ ი—მდედრის სასქესო ორგანოებში, კერძოდ, საშვილოსნოსა და საკვერცხეებში მენსტრუაციებს შორის პერიოდთან დაკავშირებული ციკლური ცვლილებები, რომელიც 4 ფაზას მოიცავს—პროლიფერაციის, პრემენსტრუალურს, მენსტრუალურსა და პოსტმენსტრუალურს.

Cyclus oogeneticus ო ო გ ე ნ ე ტ ი კ უ რ ი ც ი კ ლ ი—საკვერცხეებში კვერცხუჯრედის განვითარებასთან დაკავშირებული პერიოდული ცვლილებები.

Cyclus ovarianus საკვერცხის ციკლი—საკვერცხეებში მიმდინარე პერიოდული ცვლილებები, განპირობებული ფოლიკულების მომწიფებით, ოვულაციით, ყვითელი სხეულის განვითარებითა და უეუგანვითარებით.

Cyclus ovulatorius ოვულატორული ციკლი—მენსტრუალური ციკლი ოვულაციით.

Cyclus vaginalis საშოს ციკლი—საშოს ლორწოვანი გარსის ციკლური ცვლილებები, დაკავშირებული გენიტალურ ციკლთან. გამოიხატება ოვალუციის წინ საშოს ეპითელიუმის ჩამოფცქენაში, თვით ოვულაციის პროცესში კი მის გარქოვანებაში.

Cysta, ae, მდ. ბერძნ. (*kysta* ბუშტუკი) კისტა—ბუშტუკი, მკვეთრად გამოხატული კედლით და თხევადი ან ნახევრად თხევადი შიგთავსით.

Cysta cervicalis ცერვიკალური კისტა—დახურული ეპითელიური პარკი, ცერვიკალური სინუსის ნარჩენი, ლოკალიზებული კისრის ლატერალურ ნაწილში მკერდ-ლავიწ-დვრილისებრი კუნთის მედიალურ კიდეთან.

Cysta dermoidea დერმოიდული კისტა—ყველზე უფრო გავრცელებული ტერატომა. შეიცავს მეზოდერმული და ექტოდერმული წარმოშობის ქსოვილებს: კანს, თმას, ქონის ჭირკვლებს, ფრჩხილებს, ზოგჯერ ხრტილს და ძვალს. ხშირად გვხვდება გონადებში.

Cysta pilonidalis პილონიდალური კისტა—მრავალშრიანი ეპითელიუმით ამოფენილი თანდაყოლილი კისტოზური გაგანიერება გაეა-კუდუსუნის მიდამოში. შეიძლება შეიცავდეს თმას და ბაქტერიული ცხოველმოქმედების პროდუქტებს.

Cysta thyroglossa ფარენის კისტა—ფარენის სადინრის ნარჩენი, განლაგებული კისრის შუა ხაზზე.

Cysta urachalis შარდსავალის კისტა—ურახუსის სანათურის ნარჩენი.

Cytogenesis, is, მდ. ბერძნ. (*kytos* უჯრედი + *genesis*) ციტოგენეზი—უჯრედთა წარმოშობისა და დიფერენცირების პროცესი.

Cytotrophoblastus, i, მამრ. ბერძნ. (*kytos* უჯრედი + *trophe* კვება + *blastos*) ციტოტროფობლასტი—ტროფობლასტის შიგა უჯრედული შრე, მონაწილეობს ქორიონის ხაოების ფორმირებაში.

Dacriostenosis, is, მდ. ბერძნ. (dacrion ცრემლი + stenosis შევიწროება) დაკრიოსტენოზი —საცრემლე არხის ან ცხვირ-საცრემლე სადინარის თანდაყოლილი ან შექმნილი შევიწროება.

De, ლათ. წინდებული, აღნიშნავს შეწყვეტას, გამოცალკავებას, უარყოფას.

Decidua, ae, მდ. ლათ. (decidere მოვარდნა) დეციდუა, მოსავარდნი გარსი —საშვილოსნოს ლორწოვანი გარსი ჩანასახის ინპლანტაციის შემდეგ. განიცდის ცვლილებებს ორსულობის პერიოდში და მშობიარობის შემდეგ მოვარდება. განარჩევენ ძირითად, კაფსულარულ და კედლისეულ მოსავარდნი გარსს.

Decidua basalis ძირითადი მოსავარდნი გარსი —ორსული საშვილოსნოს ლორწოვანი გარსის ის მონაკვეთი, სადაც განაყოფიერებული კვერცხი უმაგრდება. ძირითადი მოსავარდნი გარსი მონაწილეობს პლაცენტის დედისეული ნაწილის წარმოქმნაში.

Decidua capsularis კაფსულარული მოსავარდნი გარსი —საშვილოსნოს ლორწოვანი გარსის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ფარავს ჩანასახს და შეზრდილია გლუვ ქორიონთან.

Decidua parietalis კედლისეული მოსავარდნი გარსი —საშვილოსნოს ლორწოვანი გარსის ნაწილი, რომელიც ჩანასახის მიერ არ არის დაკავებული.

Deciduata, us, მდ. ლათ. დეციდატა —პლაცენტარული ძუძუმწოვრები, რომელთაც ორსულობის მოსავარდნი გარსი უვითარდებათ.

Dedifferentiatio, onis, მდ. ლათ. (de + differentia განსხვავება) დედიფერენციაცია —უჭრედთა მიერ სპეციფიური თვისებების დაკარგვა. უფრო პრიმიტიული აგებულებისა და ფუნქციისაკენ დაბრუნება.

Deformatio, onis, მდ. ლათ. (de + formare ფორმირება) დეფორმაცია —სხეულის, ორგანოს ან მისი ნაწილის ბუნებრივი ფორმის შეცვლა, გამრუდება, დამახინჯება.

Delaminatio, onis, მდ. ლათ. (de + lamina ფირფიტა) დელამინაცია —გასტრულაციის შედარებით იშვიათი ხერხი, ხორციელდება ერთშირიანი ბლასტულის კედლის უჭრედების უშუალოდ ორად განშრევების გზით.

Deletio, onis, მდ. ლათ. დელეცია —ქრომოსომული აბერაცია, ქრომოსომის ტერმინალური ან ინტერსტიციური სეგმენტის

ამოვარდნა, განპირობებული ქრომოსომის ერთჯერადი ან ორჯერადი განივი გახლეჩით. დელეციის შედეგად მიიღება დამოკლებული ქრომოსომა.

Dens, tis, მამრ. ლათ. კ ბ ი ლ ი—კანის წარმონაქმნი, ვითარდება ორი სხვადასხვა წყაროდან; მინანქარი—ეპიდერმული ეპითელიუმიდან, დენტინი—მეზენქიმიდან.

Dentinum, i, საშ. ლათ. (dens) დ ე ნ ტ ი ნ ი—ვითარდება ოდონტობლასტებიდან. ლაგდება კბილის მწვერვალთან ფუძემდე.

Derma, atis, საშ. ბერძნ. დ ე რ მ ა—საკუთრივ კანი, ვითარდება ემბრიონული განვითარების მე-2 თვეს. დერმატომიდან და პარიეტული მეზობლასტიდან გამოსახლებული მეზენქიმური უჯრედებიდან.

Dermatomi, um, საშ. ბერძნ. (derma+tomom მოკვეთა) დ ე რ მ ა ტ ო მ ი—მეზოდერმული სომიტის დორსო-ლატერალური ნაწილი, კანის შემაერთებელქსოვილოვანი შრის, დერმის, ნერგი.

Dermatomyomi, us, მამრ. ბერძნ. (derma+myos კუნთი +tomos მოკვეთა) დ ე რ მ ო მ ი ო ტ ო მ ი—მეზოდერმული სომიტის ის ნაწილი, რომელიც დასაბამს აძლევს დერმატომს და მიოტომს.

Desmos, ბერძნ. კ ა ვ შ ი რ ი—რთულ სიტყვებში აღნიშნავს კავშირს, იოგს და შემაერთებელ ქსოვილს.

Desmocranium, ii, საშ. ბერძნ. (desmos+kranion ქალა) დ ე ს მ ო კ რ ა ნ ი უ მ ი—მეზენქიმისა და ნაზი შემაერთებელ ქსოვილოვანი ბოჭკოებისაგან ფორმირებული აპკოვანი ქალა, რომლისგანაც შემდგომ ხრტილოვანი ქალა, ქონდროკრანიუმი, ვითარდება.

Desmoplasia, ae, მდ. ბერძნ. (desmos+plasis წარმოქმნა) დ ე ს მ ო პ ლ ა ზ ი ა—მეზენქიმური წარმოშობის ქსოვილთა განვითარების ანომალიის ზოგადი სახელწოდება.

Deuteroplasma, atis, საშ. ბერძნ. (deuteros მეორე +plasma პლაზმა) დ ე უ ტ ე რ ო პ ლ ა ზ მ ა—ოპლაზმის ცენტრალური ნაწილი, სადაც კონცენტრირებულია საკვები ნივთიერება—ყვითრი (იხ. Vitellus).

Deviation, onis მდ. ლათ. (deviare გადახრა, გადახვევა) დ ე ვ ი ა ც ი ა—ფილოემბრიოგენეზის ისეთი სახე, როდესაც ცვლილებები ხდება ემბრიონული განვითარების შუალედურ სტადიებზე. შემდგომი სტადიები უკვე აღარ იმეორებენ წინაპართა აგებულებას.

Dextrocardia, ae, მდ. ლათ. (dexter მარჯვენა + ბერძ. kardia გული) დ ე ქ ს ტ რ ო კ ა რ დ ი ა—გულმკერდის ღრუში გულის მარჯვენამხრივი მდებარეობა, განვითარების ანომალია.

Dia, ბერძნ. წინდებული, აღნიშნავს შორის, ირიბად, ცალკე.

Diakinesis, is, მდ. ბერძნ. (dia+kinesis მოძრაობა) დ ი ა კ ი ნ ე ზ —პირველი მეიოზური გაყოფის პროფაზის საბოლოო სტადია, ხასიათდება ბივალენტების სპირალიზაციით და დამოკლებით, ქიაზმათა რაოდენობის შემცირებით, ბირთვის გარსისა და ბირთვაციის გაქრობით.

Diaphragma, atis, საშ. ბერძნ. (dia+phragma ტიხარი) დ ი ა ფ რ ა გ მ ა —ყუნთოვან-მყესოვანი ძვირე გულმკერდისა და მუცლის ღრუს შორის, ყალიბდება განივი ძვირიდან და პლევროპერიტონეალური მემბრანიდან.

Diastema, atis, საშ. ბერძნ. (dia+stema შუალედი) დ ი ა ს ტ ე მ ა —ზედაყბის საკრელ კბილებს შორის ზედმეტად ფართე შუალედი. განვითარების დეფექტი.

Diastematocrania, ae, მდ. ბერძნ. (dia+stema შუალედი+kranion ქალა) დ ი ა ს ტ ე მ ა ტ ო კ რ ა ნ ი ა —თანდაყოლილი ნაპრალი ქალას შუა ხაზის გასწვრივ.

Diastematomyelia, ae, მდ. ბერძნ. (dia+stema შუალედი+myelos ტვინი) დ ი ა ს ტ ე მ ა ტ ო მ ი ე ლ ი ა —ზურგის ტვინის გაორება მთელ სიგრძეზე ან მის რომელიმე ნაწილში. განვითარების მანკი.

Diastematopyelia, ae, მდ. ბერძნ. (dia+stema შუალედი+pyelos მენჯი) დ ი ა ს ტ ე მ ა ტ ო პ ი ე ლ ი ა —თანდაყოლილი ნაპრალი მენჯის შუა ხაზის მთელ სიგრძეზე.

Di, Dis, ბერძნ. წინდებული, აღნიშნავს ორმაგს, ორჯერადს.

Dicephalus, i, მამრ. ბერძნ. (di+kephale თავი) დ ი ც ე ფ ა ლ ი —მახინჯი ორი თავით. განვითარების მანკი.

Dichiria, ae, მდ. ბერძნ. (di+cheir ხელის მტევანი) დ ი ქ ი რ ი ა —ხელის მტევნის ნაწილობრივი ან სრული გაორება. განვითარების მანკი.

Diencephalon, i, საშ. ბერძნ. (dia+enkephalos თავის ტვინი) შ უ ა მ დ ე ბ ა რ ე ტ ვ ი ნ ი —ვითარდება წინა სატვინე ბუშტუკის უკანა ნაწილიდან. მისი ღრუ დიფერენცირდება მე-3 პარაკუქად.

Diēstrus, i, მამრ. ბერძნ. (dia+estrus) დ ი ე ს ტ რ უ ს ი —პოლიესტრულ ცხოველებში სასქესო ციკლის მოსვენების პერიოდი, როდესაც საშვილოსნოს ლორწოვანი გარსი მზადაა განაყოფიერებული კვერცხის მისაღებად.

Diglossia, ae, მდ. ბერძნ. (di+glossa ენა) დ ი გ ლ ო ს ი ა —ენა სიგრძივი ნაპრალით ორადაა შუაზე გაყოფილი. განვითარების მანკი.

Dignathia, ae, მდ. ბერძნ. (di+gnathos ყბა) დ ი გ ნ ა თ ი ა —გაორებული ქვედა ყბა. განვითარების მანკი.

Dilatatio, onis, მდ. ლათ. (*dilatare* გაფართოება) დ ი ლ ა ტ ა ც ი ა—ორგანოს ღრუს მოცულობის გადიდება, გაფართოება.

Dimelia, ae, მდ. ბერძნ. (*di+melos* კიდური) დ ი მ ე ლ ი ა—განვითარების ანომალია. ხასიათდება კიდურების გაორებით.

Diococele, es, მდ. ბერძნ. (*di+koilia* ღრუ) შ უ ა მ დ ე ბ ა რ ე ტ ვ ი ნ ი ს ღ რ უ—საიდანაც საბოლოოდ მე-3 პარკუჭის ღრუს ნაწილი ვითარდება.

Diphalia, ae, მდ. ბერძნ. (*di+phalos* ფალუსი) დ ი ფ ა ლ ი ა—საენემოს ან მამაკაცის ასოს სრული ან ნაწილობრივი გაორება. განვითარების მანკი.

Dipl, Diplo, ბერძნ. (*diplos* ორმაგი) რთულ სიტყვაში მიუთითებს ორმაგზე.

Diplocardia, ae, მდ. ბერძნ. (*diplo+kardia* გული) დ ი პ ლ ო კ ა რ დ ი ა—მდგომარეობა, როდესაც გული სიგრძივი ნაპრალით გაყოფილია ორ განცალკევებულ ნახევრად. განვითარების ანომალია.

Diploidia, ae, მდ. ბერძნ. (*di+ploidia*) დ ი პ ლ ო ი დ ი ა—ქრომოსომა ორმაგი კომპლექტი, სადაც ყოველი ქრომოსომა წყვილია.

Diplomyelia, ae, მდ. ბერძნ. (*diplo+myelos* ტვინი) დ ი პ ლ ო მ ი ე ლ ი ა—ზურგის ტვინის გაორება სიგრძივი ნაპრალის არსებობის გამო. თანდაყოლილი ანომალია (იხ. *Diastematomyelia*).

Diplonema, atis, საშ. ბერძნ. (*diplo+nema* ძაფი) დ ი პ ლ ო ნ ე მ ა—პირველი მეიოზური გაყოფის პროფაზის სტადია, თითოეული ბივალენტი შედგება ოთხი ძაფისებრი ქრომატიდისაგან, ჰომოლოგიურ ქრომოსომებს შორის წარმოიქმნებიან ქიაზმები.

Diprosopia, us, მამრ. ბერძნ. (*di+prosopon* სახე) დ ი პ რ ო ს ო პ ი ა, ო რ პ ი რ ს ა ხ ე ო ბ ა—მთლიანად სახის ან მისი რომელიმე ნაწილის გაორება. განვითარების მანკი.

Dirhinia, ae, მამრ. ბერძნ. (*di+rhinos* ცხვირი) დ ი რ ი ნ ი ა—ცხვირის ნაწილობრივი ან სრული გაორება, დისპროპორციის სუსტი ხარისხი.

Discoblastula, ae, მდ. ბერძნ. (*diskos* დისკო + *blastos* კვირტი) დ ი ს კ ო ბ ლ ა ს ტ უ ლ ა—ბლასტულის ერთ-ერთი სახე, ვითარდება კვერცხუჯრედის დისკოიდური დანაწევრების შედეგად (იხ. *Fissio discoidalis*). დისკობლასტულის სახურავს წარმოადგენს ბლასტოდისკო, რომელიც ქუდივით ფარავს ქვეშმდებარე დაუნაწევრებელ ყვიტრს.

Discus, i, მამრ. ბერძნ. დისკო—წარმონაქმნი ბრტყელი მომრგვალებული ზედაპირით, მრგვალი ფირფიტა.

Discus embryonicus ემბრიონული ანუ ჩანასახოვანი დისკო—ემბრიობლასტიდან განვითარებულ უჩრედთა გროვა, ბლასტულის ანიმალურ! პოლუსთან, შედგება ექტო და ენდობლასტისაგან. მისგან საბოლოოდ საკუთრივ ჩანასახი ვითარდება.

Discus lentis ბროლის დისკო, პლაკოდა—ზედაპირული ექტოდერმის მონაკვეთი, რომელიც მხედველობის ბუშტუკს ეხება. წარმოადგენს ბროლის ნერგს.

Dispermia, ae, მდ. ბერძნ. (di+sperma თესლი) დისპერმია—ერთ კვერცხუჯრედში ორი სპერმატოზოიდის შექრა.

Diverticulum, i, საშ. ლათ. (di+verto მობრუნება) დივერტიკული—ღრუ ან ლულოვანი ორგანოს კედლის გამობერილობა, ჯიბე.

Diverticulum endolymphaticum ენდოლიმფური ჯიბე, დივერტიკული—ყურის ენდოლიმფური სადინ.რის ბოლო გაგანიერებული ნაწილი.

Diverticulum hepaticum ღვიძლის დივერტიკული—ემბრიონული წინა ნაწლავის ვენტრალური კედლის ენდოდერმული გამობერილობა, ღვიძლის და ნაღვლის ბუშტის ნერგი.

Diverticulum metanephricum მეტანეფროსის დივერტიკული—მეტანეფროსის სადინარის მცირე კვირტისმაგვარი გამონაზარდი, უშუალოდ იმ ადგილას, სადაც იგი კლოაკას ერთვის. დივერტიკულის ზემო ბრმა ბოლო დასაბამს აძლევს თირკმლის მენჯს, ფიალებს და შემკრებ მილაკებს, მეზონეფროსის სადინართან ახლო მდებარე ნაწილი კი შარდსაწვეთს.

Diverticulum thyroideum ფარისებრი ჯირკვლის დივერტიკული—პირველ და მეორე ვისცერულ რკალებს შორის ხახის ძირის ვენტრალური კედლის გამობერილობა, ფარისებრი ჯირკვლის ნერგი. საბოლოოდ დივერტიკული კარგავს კავშირს ხახის ძირთან და ინვაგინირებს კრანიალური მიმართულებით. თვით ხახის კედელზე დივერტიკულის წარმოქმნის ადგილას რჩება ბრმა ხერეული (იხ. Foramen cecum).

Dolicho ბერძნ. (dolichos გრძელი). რთულ სიტყვებში მიუთითებს სიგრძეზე.

Dolichostenomelia, ae, მდ. ბერძნ. (dolicho + stenos ვიწრო + melos კიდური) დოლიქოსტენომელია—ობობისებრი თითები (იხ. Arachnodactilia).

Ductulus, i, საშ. ლათ. (ლათ. ductus) მილაკი—პატარა სადინარი, სავალი.

Ductuli abberantes inferior et superior სათესლის ქვემო და ზემო ცთომილი მილაკებია—ვითარდებიან მეზონეროსის კაუდალურ მიდამოში არსებული პირველი ორი ეპიგენიტალური მილაკიდან.

Ductuli efferentis testis სათესლის გამომტანი მილაკებია—ვითარდებიან მეზონეროსის კაუდალურ მიდამოში განლაგებული ეპიგენიტალური მილაკებიდან, რომელთა რაოდენობა დაახლოებით 5—12-ია. სათესლის გამომტანი მილაკების წარმოქმნაში მონაწილეობს ყველა, პირველი ორი მილაკის გარდა.

Ductus, us, მამრ. ლათ. (ducere წაყვანა) სადინარი.

Ductus allantoicus ალანტოისის სადინარი—ენდოდერმული ეპითელიუმით ამოფენილი არხი, რომელიც უკანა ნაწლავის ღრუს აკავშირებს ალანტოისის ღრუსთან. ქიპის ბაგირაკის გავლით იხსნება კლოაკაში. ადამიანის ჩანასახში ეს სადინარი რედუცირებულია.

Ductus arteriosus არტერიული სადინარი—მარცხენა მე-6 არტერიული რკალის ნაწილი, მონაკვეთი დორსალურ აორტასა და ფილტვის არტერიას შორის. ძუძუმწოვრებს იგი მხოლოდ ემბრიონულ პერიოდში გააჩნით. მისი საშუალებით სისხლი მარჯვენა პარკუჭიდან აორტაში გადადის. დაბადების შემდეგ კი ეს სადინარი რედუცირდება. მის ადგილას რჩება იოგი. არტერიული სადინარი წინაპართა ნიშანთვისების უბრალო განმეორება არ არის. იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან ემბრიონულ ადაპტაციას, არეგულირებს სისხლის მიმოქცევას.

Ductus caroticus საძილე სადინარი—ემბრიონული დორსალური აორტის მონაკვეთი აორტის მე-3 და მე-4 რკალებს შორის. განვითარების ადრეულ სტადიაზე ქრება.

Ductus choledochus ნაღვლის საერთო სადინარი—ყალიბდება ღვიძლის საერთო და ნაღვლის ბუშტის სადინარების შეერთებით.

Ductus cochlearis ლოკოკინას სადინარი—ვითარდება სასმენი ბუშტუკის ცენტრალურ-პარკუჭისებული ნაწილიდან, ჯიბისმაგვარი გემონაზარდის სახით. იგი თანდათანობით გრძელდება, იჭრება მეზენქიმის სისქეში, ეხვევა სპირალურად და დასაბამს აძლევს ლოკოკინას.

Ductus cysticus ნაღვლის ბუშტის სა-

დინარი—ვითარდება ღვიძლის დივერტიკულის კაუდალური ნაწილიდან. მისი და ღვიძლის სადინარის შეერთების შედეგად ყალიბდება ნაღვლის საერთო სადინარი.

Ductus deferens თესლის გამომტანი სადინარი—თხელი კუნთოვანი გარსით დაფარული, მეზონეფროსის სადინარის მონაკვეთი ეპიდიდიმისის კაუდალურად.

Ductus ejaculatorius მშხეპავი სადინარი—მეზონეფროსის სადინარის დისტალური მონაკვეთი—სათესლე ბუშტუკებსა და შარდსადენს შორის.

Ductus endolymphaticus ენდოლიმფური სადინარი—ბრმა ლულისებრი გამონაზარდი, ყურის ბუშტუკის დორსალური—ტიკისეული ნაწილის მედიალურ ზედაპირზე. იგი საბოლოოდ ტიკ-პარკუჭის სადინარს უკავშირდება.

Ductus epididymidis სათესლის დანამატის სადინარი—ვითარდება მეზონეფროსის სადინარის ზემო ნაწილიდან. ჩვეულებრივ იგი გადაგვარებას განიცდის.

Ductus et saccus nasolacrimalis ცხვირ-ცრემლის სადინარი და პარკი—მათი ნერგია ეპითელური ღარი, განლაგებული ცხვირისახლო ღარის ფსკერზე, ზედაყბის მორჩებს შორის. ეპითელური ღარიდან თავდაპირველად ყალიბდება ცხვირ-ცრემლის სადინარი, რომლის ზემო გაგანიერებული ნაწილი წარმოქმნის პარკს.

Ductus genitales სასქესო სადინარები—განარჩევენ მეზონეფროსის, ანუ ვოლფის და პარამეზონეფროსის, ანუ მიულერის სადინარებს (იხ. Ductus paramesonephricus; Ductus mesonephricus).

Ductus hepaticus communis ღვიძლის საერთო სადინარი—ყალიბდება ღვიძლის მარჯვენა და მარცხენა სადინარების შეერთებით.

Ductus lacrimalis საცრემლე სადინარი—ცხვირ-ცრემლის სადინარის კრანიალური ბოლოდან განვითარებული წყვილი სადინარი, რომელიც მეორადად უერთდება ზემო და ქვემო ქუთუთოს კიდეს და საბოლოოდ იხსნება საცრემლე პარკში.

Ductus mesonephricus მეზონეფროსის (ვოლფის) სადინარი—ვითარდება პრონეფროსის სადინარიდან. მისი კაუდალური ბოლო კლოაკაში იხსნება, კრანიალური კი უკავშირდება მეზონეფროსის მილაკებს; მონაწილეობს შარდ-სასქესო სისტემის რიგ სტრუქტურათა ფორმირებაში.

Ductus paramesonephricus პ ა რ ა მ ე ზ ო ნ ე ფ რ ო ს ი ს (მიულერის) ს ა დ ი ნ ა რ ი—ვითარდება ემბრიონული განვითარების მე-2 თვის ბოლოს, მეზონეფროსის სადინარების გვერდით, ცელომური ეპითელიუმის სიგრძივი ინვაგინაციის შედეგად. მდებარეობითი სქესის ინდივიდებში წარმოადგენს პრიმორდიალურ სტრუქტურას, საიდანაც საშვილოსნო, საშვილოსნოს ლულა და საშო ვითარდება, მამრობითი სქესის ინდივიდებში ძირითადად განიცდის დეგენერაციას, მხოლოდ მისი კრანიალური და კაუდალური ბოლოები მონაწილეობენ სათესლის დანამატისა და წინამდებარეს საშვილოსნოს წარმოქმნაში.

Ductus pronephricus პ რ ო ნ ე ფ რ ო ს ი ს ს ა დ ი ნ ა რ ი—ყალიბდება პრონეფროსის მილაკების კაუდალური მიმართულებით ზრდის შედეგად, რომელიც გრძელდება მანამდე, ვიდრე თითოეული მილაკი არ შეუერთდება მის ქვეშ მდებარე მილაკს. იხსნება კლოაკაში. ადამიანის ემბრიონებში პრონეფროსის მილაკები არ ფუნქციონირებენ და საბოლოოდ გადაგვარდებიან, თვით სადინარი კი დასაბამს აძლევს მეზონეფროსის სადინარს.

Ductus reuniens შ ე მ ა ე რ თ ე ბ ე ლ ი ს ა დ ი ნ ა რ ი—ლოკოინასა და აპკოვანი ლაბირინთის, კარიბჭისეული ნაწილის დამაკავშირებელი სადინარი. რჩება მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

Ductus thoracicus გ უ ლ მ კ ე რ დ ი ს ს ა დ ი ნ ა რ ი—გრძელი ლიმფური ძარღვი, დასაბამს იღებს ემბრიონის დორსალური კედლის გასწვრივ მდებარე პირველადი ლიმფური პარკიდან. მისი კრანიალური ბოლო იხსნება საულღე ლიმფურ კვანძში, კაუდალური კი წრბოლის ცისტერნაში.

Ductus thireoglossalis ფ ა რ ე ნ ი ს ს ა დ ი ნ ა რ ი—ფარისებრი ჭირკვლის დივერტიკულის გამონაზარდი, რომლის საშუალებითაც იგი ხახის ნაწლავის ძირს უკავშირდება კოპულასა და ენის კენტ ბორცვს შორის. საბოლოოდ სადინარი ატროფირდება. რჩება მხოლოდ მისი ხახისეული ბოლო ბრმა ხვრელის სახით. რიგ შემთხვევაში ფარ-ენის ნარჩენი სადინარიდან შეიძლება განვითარდეს ფარისებრი ჭირკვლის დამატებითი წილი, იშვიათად კი კისტა.

Ductus venosus ვ ე ნ უ რ ი ს ა დ ი ნ ა რ ი—ჭიპის ვენის ნაწილი, ღვიძლის მარცხენა ნაკვევიდან ქვემო ღრუ ვენამდე. მდებარეობს ღვიძლის მარცხენა გასწვრივ ღარში. მისი საშუალებით ღვიძლის პარენქიმაში მოხვედრილი სისხლი ქვემო ღრუ ვენაში ჩაედინება. დაბადების შემდეგ განიცდის ობლიტერაციას და წარმოქმნის ვენურ იოგს.

Ductus vitellinus ს ა ყ ე ი თ რ ე ს ა დ ი ნ ა რ ი—საყვითრე ყუნწში, ენდოდერმული ეპითელიუმით ამოფენილი ვიწრო

მილი. აკავშირებს ემბრიონის შუა ნაწლავის ღრუს საყვიტრე პარკთან. ჩვეულებრივ განიცდის გადაგვარებას, იშვიათად შესაძლებელია შემორჩეს ე. წ. თედოს ნაწლავის (მეკელის) დივერტიკულის სახით.

D u o d e n u m, i. საშ. ლათ. (duodeni თორმეტი) თორმეტგოჯა ნაწლავი—ყალიბდება ემბრიონული წინა ნაწლავის კუდალური და შუა ნაწლავის კრანიალური ნაწილებიდან. კუჭის შემობრუნების შემდეგ იგი იღებს U-ს მაგვარ ფორმას, გადაადგილდება მარჯვნივ და განლაგდება რეტროპერიტონეალურად. განვითარების მე-2 თვეზე მისი სანათური დროებით იხშობა. თორმეტგოჯა ნაწლავის ვენტრალურ კედელზე ვითარდება დვიძლის დივერტიკული, დორსალურზე კი დორსალური პანკრეასის.

D u p l i c a t i o, o n i s, მდ. ლათ. (duplicare გაორება, გაორმაგება) დუპლიკაცია—ქრომოსომული აბერაცია, ქრომოსომებში ერთი და იგივე სეგმენტის ორჯეო ან მეტჯერ გამეორება. გაორებული სეგმენტი შეიძლება იყოს ან ცალკე დამატებითი ქრომოსომის სახით, ან დაკავშირებული რომელიმე ქრომოსომასთან.

D u r a m a t e r c r a n i o s p i n a l i s კრანიალური მარჯარი გარსი—მეზენქიმური წარმოშობის შემავრთებელ-ქსოვილოვანი გარსი. გარს აკრავს თავისა და ზურგის ტვინს.

D y p l o m y e l i a, a e, მდ. ბერძნ. (diplo+myelos ტვინი) დიპლომიელია—ზურგის ტვინის გაორება, სივრცევი ნაპრალის არსებობის გამო. თანდაყოლილი ანომალია.

D y s, ბერძნ. წინდებული. აღნიშნავს ნაკლს, არასრულყოფას, გაძნელებას. მდგომარეობას, ან ფუნქციას, რომელიც არც თვისობრივად და არც რაოდენობრივად არ შეესაბამება ნორმას.

D y s g e n e s i s, i s, მდ. ბერძნ. (dys+genesis) დისგენეზისი—ემბრიონული განვითარების მოშლა.

D y s o n t o g e n e s i s, i s, მდ. ბერძნ. (dys+onto არსება + genesis) დისონტოგენეზი—ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარების მოშლა.

D y s o s t o s i s, i s, მდ. ბერძნ. (dys+osteon ძვალი + osis მდგომარეობა) დისოსტოზი—ჩონჩხის ძვლების განვითარების ანომალიის ზოგადი დასახელება, ანომალიებისა, რომლებიც საფუძვლად უდევს ძვლოვანი სისტემის მემკვიდრულ დაავადებებს.

D y s o s t o s i s c l e i d o c r a n i a l i s ლავიწ-ქალას-დისოსტოზი—ხასიათდება ბრაქიციფალიით, ყიფლიბანდების დაუზველობით, სახის ძვლების პიპოპლაზიით, ძირითადად ზედა ყბის, ლავიწის ძვლების სრული ან ნაწილობრივი განუვითარებლობით.

D y s o s t o s i s c r a n i o f a c i a l i s ქალას-სახის

დ ი ს ო ს ტ ო ზ ი — ხასიათდება ქალას ძვლების განუვითარებლობით, ძვალთაშორისი ნაკერების ადრეული დახშობით, ჰიპერტელორიზმით, ეგზოფთალმიით, სიელმით, კაუქისმაგვარი ცხვირის ე. წ. თუთიყუშის-ნისკარტის განვითარებით.

Dysplasia, ae, მდ. ბერძნ. (dys+plassein ფორმირება) დ ი ს პ ლ ა ზ ი ა — ემბრიონულ ან პოსტნატალურ პერიოდში ქსოვილების ან ორგანოების არასწორი, არანორმალური განვითარება.

Dyspraxia, ae, მდ. ბერძნ. (dys + praxis ქცევა) დ ი ს პ რ ა ქ ს ი ა — კოორდინირებული მოძრაობის უნარის მოშლა.

Dysraphia, ae, მდ. ბერძნ. (dys + rhapsie ნაკერი) დ ი ს რ ა ფ ი ა — თანდაყოლილ ანომალიათა ერთობლიობა, განპირობებული ანატომიურ სტრუქტურათა შეუზრდელობით შუა ხაზზე.

Dystrophia, ae, მდ. ბერძნ. (dys+ trophe კვება) დ ი ს ტ რ ო ფ ი ა — მთელი ორგანიზმის, ორგანოს ან ქსოვილის კვების მოშლა. უფრო ვიწრო გაგებით ნივთიერებათა ცვლის მოშლა ქსოვილებში.

E

Ectasia, ae, მდ. ბერძნ. (ektasis გაჭიმვა) ე ქ ტ ა ზ ი ა — არხის ან ლულოვანი ორგანოს ბუნებრივი ან ხელოვნური გაფართოება, გაგანიერება.

Ect, Ecto, ბერძნ. (ektos გარეთ), წინდებული, რთულ სიტყვებში მიუთითებს გარეთ, გარედან. განზე.

Ectocardia, ae, მდ. ბერძნ. (ecto + kardia გული) ე ქ ტ ო კ ა რ დ ი ა — გულის თანდაყოლილი არანორმალური მდებარეობა. ექტოპიის ერთ-ერთი სახე.

Ectoderma, atis, საშ. ბერძნ. (ecto + derma) ე ქ ტ ო დ ე რ მ ა — გარეთა ჩანასახოვანი ფურცელი, საიდანაც ვითარდება სხეულის მფარავი ეპითელიუმი ყველა მისი დერივატით, გრძნობათა ორგანოები, ზოგიერთ ცხოველში წინა და უკანა ნაწლავის ამომფენი ეპითელიუმი. ექტოდერმის ცენტრალური ნაწილი დასაბამს აძლევს ნეიროექტოდერმას (იხ. Neuroectoderma).

Ectomeninx, gis, მდ. ბერძნ. (ecto + meninx ტენის გარსი) ე ქ ტ ო მ ე ნ ი ნ ქ ს ი — ტენის გარეთა გარსი, განვითარებადი ტენის პირველადი გარსის გარე შემაერთებელქსოვილოვანი შრე, რომლისგანაც ყალიბდება ქონდროკრანიუმისა და ოსტეოკრანიუმის ზედაპირული მემბრანა და კრანიოსპინალური მაგარი გარსი.

Ectomesenchima, ae, საშ. ბერძნ. (ecto + mesos შუა+enchima ჩასხმა) ე ქ ტ ო მ ე ზ ე ნ ქ ი მ ა — ვისცერული ჩონჩ-

ის მუხენქიმა, განვითარებული განგლიონური ფირფიტიდან, ნერველი მილიდან და ნაწილობრივ პრექტორდული ფირფიტიდან.

Ectopia, ae, მდ. ბერძნ. (ect + topos ადგილი) ექტოპია—არასწორი განვითარების შედეგად ორგანოს ან მისი ნაწილის გადაადგილება მისთვის უჩვეულო ადგილას.

Ectro, ბერძნ. (ektrosis ამოგლეჯა, გამოდევნა) წინდებული, რთულ სიტყვებში მიუთითებს თანდაყოლილ ნაკლზე, უქონლობაზე.

Ectrodactilia, ae, მდ. ბერძნ (ectro+dactilos თითი) ექტროდაქტილია—ხელის ან ფეხის ერთი ან რამდენიმე თითის თანდაყოლილი უქონლობა.

Ectromelia, ae, მდ. ბერძნ. (ectro + melos კიდური) ექტრომელია—ერთი ან რამდენიმე კიდურის თანდაყოლილი უქონლობა.

Ejaculatio, onis, მდ. ლათ. (ejaculari ძალით ამონთხევა) ეიაკულაციია—თესლის ამონთხევა, სათესლე სითხის გამოყოფა.

Embolia, ae, i, us, მდ. ბერძნ. (embolos საცობი) ემბოლია—სისხლის ან ლიმფური ძარღვის დახშობა ემბოლით.

Embolus, i, მამრ. ბერძნ. ემბოლია—ნაწილაკი, რომელიც იწვევს ემბოლიას. ეს შეიძლება იყოს ცხიმის წვეთი, სიმსივნის ნაწილი, ჰაერის ან სხვა გაზის ბუშტუკი, ბაქტერიული მასა, სისხლის კოაგული, უჯრედების გროვა.

Embolus vitellinus ყვითრისსაცობი—ემბოლი, ყვითრის უჯრედების გროვა, რომელიც საცობისმაგვარად ხურავს ბლასტოპორის ხვრელს.

Embryo, onis, მამრ. ბერძნ. (en + bryo გაზრდა, აყვავება) ემბრიონი—ემბრიოლოგიაში—განვითარებადი ორგანიზმი ჩასახვიდან დაბადებამდე. მუანობაში—ადამიანის ჩანასახი ორსულობის პირველი 8 კვირის განმავლობაში.

Embryoblastus, i, მამრ. ბერძნ. (embryo + blastos) ემბრიობლასტი—მორულის განსაზღვრულ პოლუსზე კონცენტრირებული შიგა უჯრედული მასა, ჩანასახის სხეულის, ამნიონის და ყვითრის პარკის საწყისი მასალა. ბლასტულის სტადიაზე მისგან ჩანასახოვანი დისკო ყალიბდება.

Embryogenesis, is, მდ. ბერძნ. (embryo + genesis) ემბრიოგენეზი—ორგანიზმის განვითარება ჩასახვიდან დაბადებამდე.

Embryologia, ae, მდ. ბერძნ. (embryo + logos სიტყვა, სწავლება) ემბრიოლოგია—მოძღვრება ჩანასახის განვითარ-

ების, უფრო ფართო გაგებით ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარების შესახებ. იგი შეისწავლის აგრეთვე ჩანასახოვამდელ პერიოდს, სასქესო უჯრედების ფორმირებას, უსქესო გამრავლებას, რეგენერაციის და არანორმალური ემბრიონული განვითარების გამომწვევ პათოლოგიურ პროცესებს.

Embrioma, atis, საშ. ბერძნ. (embryo + oma სიმსივნე) ე მ ბ რ ი ო მ ა—შერეული ხასიათის ემბრიონული სიმსივნე, წარმოდგენილი სამი ჩანასახოვანი ფურცლის ელემენტებისაგან შემდგარი არანორმალურად განვითარებული ორგანოებით ან ორგანოთა ნაწილებით.

Eminentia, მდ. ლათ. (eminere გამოშვერა) შ ე მ ა ლ ლ ე ბ ა—ორგანოს შემადღებული ნაწილი, გამოშვერილობა.

Eminentia hypobranchialis ჰ ი პ ო ბ რ ა ნ - ქ ი უ ლ ი, ლ ა ყ უ ჩ ქ ე ე შ ა შ ე მ ა ლ ლ ე ბ ა—სალაყუჩე მიდამოში ემბრიონის პირველადი ნაწლავის ვენტრალური კედლის შემადღება, ხორხსარქველის ნერგი.

Enameli, um, საშ. ძვ. ფრანგ. (amel მინანქარი) მ ი ნ ა ნ ქ ა რ ი—კბილის დენტინის მფარავი ექტოდერმული წარმოშობის კალციფიცირებული შრე. (იხ. Organum adamantinum)

Enameloma, atis, საშ. (ძვ. ფრანგ. amel მინანქარი + ბერძნ. oma სიმსივნე). ე ნ ა მ ე ლ ო მ ა—მინანქრის მარგალიტი, კეთილთვისებიანი სიმსივნე, ლოკალიზებული ძირითადად კბილის ფესვთან, მინანქრის მცირე კვანძის სახით.

Encephalocoele, es, მდ. ბერძნ. (enkephalos თავის ტვინი + kele თიაქარი) ე ნ ც ე ფ ა ლ ო ც ე ლ ე —თავის ტვინის თიაქარი; ქალას ძვლების თანდაყოლილი დეფექტიდან ტვინის ან მხოლოდ მისი გარსების გამობერვა.

Encephalon, i, საშ. ბერძნ. (enkephalos თავის ტვინი) თ ა ვ ი ს ტ ვ ი ნ ი—ვითარდება ნერვული ლულის წინა გაფართოებული, ცერებრალური, ნაწილიდან. განვითარების პროცესში გაივლის სამ და ხუთ ბუშტუკოვან სტადიას.

Endo, Ento, ბერძნ. წინდებული, რთულ სიტყვაში აღნიშნავს 'შიგნით, შიგა'.

Endoblastus, i, მამრ. ბერძნ. (endo + blastos) ე ნ დ ო ბ ლ ა ს ტ ი—პირველადი ლარიდან გამოსახლებულ უჯრედთა გროვა, რომელიც დასაბამს აძლევს თავისეულ (წინა) ნაწლავს.

Endocardium, ii, საშ. ბერძნ. (endo + kardia გული) ე ნ დ ო კ ა რ დ ი უ მ ი—გულის შიგნითა გარსი, ყალიბდება ემბრიონული განვითარების ადრეულ სტადიაზე, ვისცერულ მეზოდერმასა და ენდოდერმას შორის, მეზენქიმური უჯრედების გროვების სახით. შემდგ.

გომში უჭრედული გროვის ცენტრში ჩნდება ღრუ და ყალიბდება ენდოდერმული მილი-პირველადი გულის ნერგი.

Endoderma, atis, საშ. ბერძნ. (endo + derma) ენდოდერმა — შიგა ჩანასახოვანი ფურცელი, რომლისგანაც ვითარდება შუა ნაწლავის ამომფენი ეპითელიუმი, საკმლის მომწელებელი ჭირკვლები, სასუნთქი სისტემის და შარდის ბუშტის ეპითელიუმი.

Endomeninx, gis, მდ. ბერძნ. (endo + meninx ტვინის გარსი) ტვინის შიგნითა გარსი. ენდომენინქსი — განვითარებადი ტვინის პირველადი გარსის, მეზენქიმური წარმოშობის შიგა ნაზობკოვანი შრე; იგი ნერვული ლულის უჭრედებთან ერთად აყალიბებს კრანოსპინალური რბილი და მაგარი გარსების საერთო ნერგს (იხ. Pia mater craniospinalis; Arachnoidea craniospinalis).

Endomesenchima, ae, საშ. ბერძნ. (endo + mesenchima) ენდომეზენქიმა — სომიტებიდან განვითარებული სკლეროტომული მეზენქიმა, რომლისგანაც ხერხემალი და ღერძული ჩონჩხის სხვა ნაწილები ვითარდება.

Endothelium, ii, საშ. ბერძნ. (endo + thele დერილი) ენდოთელიუმი — მეზოდერმული წარმოშობის ერთ შრედ განლაგებულ ეპითელურ უჭრედთა უწყვეტი ფენა, რომელიც ფარავს გულის კამერებს, ლიმფური და სისხლის ძარღვების სანათურს.

Entypy, ia, მდ. ბერძნ. (entype მოდელი) ენტიპია — ჩანასახოვანი ფურცლების ინვერსია, მდგომარეობა, როდესაც ბლასტოციტის სტადიაზე ტროფობლასტით დაფარული შიდა უჭრედული შრე ინვაგინირებს ყვითრის პარკში.

Ep, Epi, ბერძნ. წინდებული, მიუთითებს: ზე, შემდეგ, ახლოს.

Epi blastus, i, მამრ. ბერძნ. (epi + blastos) ეპიბლასტი — ორშირანი ჩანასახის გარეთა ფურცელი-პირველადი ექტოდერმა. უმაღლეს ძუძუმწოვრებში გარდა მომავალი ექტოდერმული უჭრედებისა შეიცავს უჭრედებს, რომლებიც დასაბამს აძლევენ მეზოდერმულ ჩანასახოვან ფურცელს და ქორდას.

Epibolia, y, მდ. ბერძნ. (epibole გადასროლა) ეპიბოლია — გასტრულაციის ტიპი, დამახასიათებელი ტელოლეცითალური კვერცხის მქონე ცხოველებისათვის. ხორციელდება ბლასტულის ანიმალური პოლუსის უჭრედთა, მიკრომერების, თანდათანობითი შემოზრდით ვეგეტაციურ პოლუსზე მდებარე უჭრედების, მაკრომერების, ირგვლივ.

Epicardium, ii, საშ. ბერძნ. (epi + kardia გული) ეპიკარდიუმი — პერიკარდიუმის ვისცერული ფურცელი, ყალიბდება

განვითარებადი გულის, ენდოკარდული ლულის ირგვლივ მდებარე ვი-სცერული მეზოდერმიდან.

Epidermis, idis, მდ. ბერძნ. (epi + derma) ეპიდერ-მისი — ექტოდერმული წარმოშობის, კანის ზედაპირული ეპითელიუ-რი შრე. თავდაპირველად ემბრიონებში წარმოდგენილია ერთშირიანი კუ-ბური ეპითელიუმით, შემდგომში იწყება მისი განშრეგება.

Epiglottis, idis, მდ. ბერძნ. (epi + glottis მბგერაეი ნაპრალი), ხორხსარქველ — ვითარდება მე-4 სალაცუჩე რკალის მიდამოში პირველადი ნაწლავის ვენტრალური კედლის შემალღებდან.

Epiphysis cerebri ეპიფიზი — ქალღუზისებრი სხეული (იხ. *Gemma pinealis*).

Epispadia, ae. მდ. ბერძნ. (epi + span დამოკლება) ეპის-პადია — განვითარების მანკი, შედარებით იშვიათი ანომალია, რო-დესაც შარდსადენი იხსნება ან ასოს თავის დორსალურ ზედაპირზე, ნორმალური ხერეღის უკან, ან საენებოს ზემოთ. ეპისპადია ხშირად კომბინირებულია მეორე ანომალიასთან, ე. წ. გაშიშვლებულ შარ-დის ბუშტთან.

Epithelium, ii, საშ. ბერძნ. (epi + thele დვრილი) ეპითელიუმი — უჯრედთა უწყვეტი ფენა, რომელიც ფარავს სხე-ულის თავისუფალ ზედაპირს, ამოფენს საქმლის მომნეღებელ მიღს, სი-სხღის და ლიმფური ძარღვების სანათურს, ღრუების და ღრუ ორგანო-ების შიგა ზედაპირს, წარმოშობის მიხედვით განარჩევენ ენდოდერმულ, ექტოდერმულ და მეზოდერმულ ეპითელიუმს.

Epithelium adamantinum externum მინანქრის გარეთა ეპითელიუმი — მინანქრის ორგანოს გარეთა ზედაპირის მფარავი ექტოდერმული წარმოშობის უჯრედები, დასაბამს აძღევენ გარეთა ამეღობლასტებს.

Epithelium adamantinum internum მინანქრის შიგნითა ეპითელიუმი — მინანქრის ორგანოს შიგა ზედაპირის მფარავი ექტოდერმული წარმოშობის ციღინდრული უჯრედები, რომღებიც დასაბამს აძღევენ შიგა ამეღობლასტებს.

Epithelium conjunctivale კონიუნქტივის ეპითელიუმი — ქუთუთოს შიგა ზედაპირის მფარავი ექტოდერმ-ული წარმოშობის მრავალშირიანი პრიზმული ეპითელიუმი.

Epithelium lentis profundum ბროღის ღრმა ეპითელიუმი — ბროღის ბუშტუკის უკანა კედღის, ექ-ტოდერმული წარმოშობის ციღინდრული ფორმის ეპითელიური უჯრე-ღები, საბოღოღ ბროღის ბოჭკოებად ტრანსფორმირღებიან.

Epithelium lentis superficiale ბროლის ზედაპირული ეპითელიუმი — ბროლის ბუმბუტუკის წინა კედლის, ექტოდერმული წარმოშობის კუბური ფორმის ეპითელიური უჯრედები, რომლებთანაც კონტაქტს ამყარებენ ბროლის ბოჭკოები.

Epithelium olfactorium ყნოსვის ეპითელიუმი — ცხვირის ღრუს ზედა ყნოსვითი ნაწილის ამომფენი, ექტოდერმული წარმოშობის მრავალრიგოვანი პრიზმული ეპითელიუმი, რომლის შემადგენლობაში შემავალი უჯრედები დიფერენცირდებიან საყრდენ უჯრედებად და ყნოსვით რეცეპტორებად. ეს უკანასკნელი კონტაქტს ამყარებენ ყნოსვითი ბოლქვის მიტრალურ უჯრედებთან.

Epithelium pigmentum retinae ბადურის პიგმენტური ეპითელიუმი — ვითარდება მხედველობის თასის გარეთა ფირფიტიდან. მასში ჩაფლულია ბადურის რეცეპტორული ელემენტები. პიგმენტური ეპითელიუმი იცავს რეცეპტორულ ელემენტებს და სინათლის სხივებს არ ატარებს თვალის კაკლის კედლებს გარეთ.

Epithelium respiratorium სასუნთქი ეპითელიუმი — ენდოდერმული წარმოშობის მრავალრიგოვანი მოციმციმე ეპითელიუმი, რომლითაც ამოფენილია სასუნთქი გზები.

Epithelium tubi neuralis ნერვული ლულის ეპითელიუმი — ნერვული ლულის სანათურის ამომფენი, ექტოდერმული წარმოშობის უჯრედები, რომლებიც დასაბამს აძლევენ ნერვულ და ნეიროგლიურ უჯრედებს.

Eponychium, ii, საშ. ბერძნ. (epi + onyx ფრჩხილი) ეპონიქიუმი — ფრჩხილზედა ფირფიტა; განვითარების ადრეულ სტადიაზე ემბრიონის ფრჩხილის თავისუფალი ზედაპირის მფარავი, გარკვევანებული უჯრედების თხელი შრე, რომელიც თითქმის ქრება, რჩება მხოლოდ მისი გვერდითი ნაწილები, დაკავშირებული ფრჩხილის ფირფიტასთან.

Epoophoron, i, საშ. ბერძნ. (epi + oiphoros კვერცხის მატარებელი) ეპოოფორონი — საკვერცხის დანამატი, ვითარდება მეზონეფროსის ნარჩენი პარაგენიტალური მილაკებიდან და მეზონეფროსის სადინარის გაფართოებული კრანიალური ბოლოდან.

Erythroblastosis, is, მდ. ბერძნ. (erythro წითელი + blastos + osis მდგომარეობა) ერითრობლასტოზი — დაავადება ხასიათდება ერითრობლასტების შემცველობით სისხლში და სისხლის ფორმიანი ელემენტების ინტენსიური დაშლით. მისი ძირითადი გამომწვევი მიზეზი რეზუს ფაქტორია, კერძოდ, თუ დედა არის Rh-უარყოფითი. მ. კორძაია, მ. კიკინაძე

ფითი, მამა კი Rh-დადებითი. გვხვდება განსაკუთრებით ხშირად ჩანასახოვან პერიოდში და ახალშობილებში, იშვიათად ბავშვებში.

Erythroblastosis fetalis ნ ა ყ ო ფ ი ს ე რ ი თ რ ო ბ ლ ა ს ტ ო ზ ი—კემოლიზური ანემია, რომლის დროსაც ნაყოფის სისხლში ერითრობლასტების დიდი რაოდენობაა. გარდა ამისა, ამ დაავადების დროს შეინიშნება გადიდებული და შეშუპებული პლაცენტა, სპლენომეგალია, დიფუზური ციროზი, აქტიური ძვლის ტვინი. ნაყოფის ერითრობლასტოზის დროს ნაყოფი შეიძლება დაიღუპოს ადრე და მოხდეს მისი მაცერაცია საშვილოსნოში ან დაბადების შემდეგ იცოცხლოს მხოლოდ რამდენიმე დღე, საათი და დაიღუპოს ღვიძლის უკმარისობით.

Estrus, i, მამრ. ბერძნ. (*oistros* კრაზანა) ე ს ტ რ უ ს ი მ ძ უ ნ ა ო ბ ა—ძუძუმწოვრებში მოკლე პერიოდი გამრავლებისათვის სრული მზადყოფნისა, რომელსაც თან ახლავს სქესობრივი ალტკინება და ცვლილებები სასქესო ორგანოებში—საკვერცხეების ფოლიკულების სწრაფი ზრდა, საშვილოსნოს გადიდება და შეშუპება, საშოს ლორწოვანი გარსის—ეპითელიუმის გარქოვანება.

Etas fecundationis გან ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ი ს ა ს ა კ ი—ჩანასახის ან ნაყოფის არსებობის ხანგრძლივობა განაყოფიერების მომენტიდან. განისაზღვრება საათობით, დღეებით, კვირეებით ან თვეებით.

Etas fetalis ნ ა ყ ო ფ ი ს ა ს ა კ ი—ჩანასახის ან ნაყოფის არსებობის ხანგრძლიობა ოვულაციის მომენტიდან, განისაზღვრება დღეებით, კვირეებით ან სამთვარეო თვეებით.

Euploidia, ae, მდ. ბერძნ. (*eu* წყარო + *ploidia* წარმოქმნა) ე უ პ ლ ო ი დ ი ა—უჯრედში ქრომოსომათა ჰაპლოიდური ან მისი ჭერადი რიცხვის შემცველობა.

Ex, ლათ. წინდებული, აღნიშნავს გარეთ არსებობას.

Ex crescentia, ae, მდ. ლათ. (*excrescere* გარეთ ზრდა, გამოზრდა) ე ქ ს კ რ ე ს ც ე ნ ც ი ა—სხეულზე არანორმალური წანაზარდის არსებობა.

Exencephalia, ae, მდ. ბერძნ. (ლათ. *ex* + ბერძნ. *enkephalos* თავის ტვინი) ე გ ზ ე ნ ც ე ფ ა ლ ი ა—ქალას თანდაყოლილი დეფექტი, ნაწილობრივი ანენცეფალია კომბინირებული ენცეფალოცელესთან ან ჰიდრენცეფალოცელესთან.

Exomphalus, i, მამრ. ბერძნ. (*ex* + *omphalos* ჭიპი) ე გ ზ ო მ ფ ა ლ უ ს ი—ჭიპის თანდაყოლილი თიაქარი, ჭიპის გამოდრეკა ჭიპის რგოლში.

Exostosis, is, მდ. ბერძნ. (ex + osteon ძვალი + osis მდგომარეობა) ე გ ზ ო ს ტ ო ზ ი — წანაზარდი ლულოვანი, უფრო იშვიათად კი ბრტყელი ძვლების ზედაპირზე (ძვლის სიმსივნის საწყისი ფორმა), ვითარდება პერიოსტეუმიდან ძვლის ხრტილოვანი მეტაპლაზიის შედეგად.

Exstrophia, ae, მდ. ბერძნ. (ex + trefein გადმობრუნება) ე ქ ს ტ რ ო ფ ი ა — გადმობრუნება, ღრუ ორგანოს გადმობრუნება გარეთ.

Exstrophia vesicae urinariae შ ა რ დ ის ბ უ შ ტ ის ე ქ ს ტ რ ო ფ ი ა — თანდაყოლილი ანომალია, როდესაც გაშიშვლებული შარდის ბუშტი გადმობრუნებულია გარეთ, მუცლის წინა კედლის ქვემო ნახევარში მეზოდერმის არასრული განვითარების გამო წარმოქმნილ ხვრელში.

F

Fecundatio, onis მდ. ლათ. (fecundare განაყოფიერება) ფ ე კ უ ნ დ ა ც ი ა, გ ა ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა — მდედრობითი და მამრობითი სასქესო უჯრედების — გამეტების შერწყმა.

Fertilizatio, onis, მდ. ლათ. (fertilis ნაყოფიერი) გ ა ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა (იხ. Fecundatio).

Fertilizinium, i, საშ. ლათ. (fertilis ნაყოფიერი) ფ ე რ ტ ი ლ ი ზ ი ნ ი — მომწიფებული კვერცხუჯრედის გარსების შემადგენლობაში არსებული სპეციფიკური კოლოიდური ნივთიერება, რომლის გარეშე შეუძლებელია განაყოფიერება, იგი ახდენს „მიმზიდველ“ გავლენას სპერმატოზოიდზე, განაპირობებს მის აგლუტინაციას. სისტემა ფერტილიზინი-ანტიფერტილიზინი (იხ. Antifertilizinium) განიხილება ისევე, როგორც სისტემა ანტიგენი-ანტისხეული.

Fetus, us, მამრ. ლათ. (ძვ. ლათ. feo დაბადება, შექმნა) ნ ა ყ ო ფ ი — დაბიანის ემბრიონი ორსულობის მე-8 კვირიდან დაბადებამდე.

Fetus amorphicus ა მ ო რ ფ უ ლ ი ნ ა ყ ო ფ ი — ნაყოფი წარმოდგენილი ამორფული მასის სახით, სხეულის ნორმალური დანაწევრების, თავის და კიდურების გარეშე. ერთ ან ორკვერცხიანი ტყუპის შემთხვევაში ტყუპი — პარაზიტი.

Fetus calcificatus კ ა ლ ც ი ფ ი ც ი რ ე ბ უ ლ ი, გ ა კ ი რ უ ლ ი ნ ა ყ ო ფ ი — „ქვის ბავშვი“, მკვდარი ნაყოფი, რომელმაც კალციფიკაცია განიცადა.

Fetus compressus კომპრესირებული ნაყოფი—ტყუპის ცალი, რომელიც გაჭყლეთილია მეორე მზარდი ცხალი ტყუპის მიერ.

Fibrā, ae, მდ. ლათ. ბოჭკო.

Fibrae lentis ბროლის ბოჭკოები—ყალიბდება ბროლის ბუშტუკის უკანა კედლის ცილინდრული ფორმის ეპითელური უჯრედებიდან. ეს უჯრედები კარგავენ ბირთვის, გრძელდებიან, ხდებიან გამჭვირვალე, უკავშირდებიან ბროლის ბუშტუკის წინა კედლის ეპითელურ უჯრედებს და საბოლოოდ ტრანსფორმირდებიან ბროლის პირველად ბოჭკოებად. მეორად ბოჭკოთა წარმოქმნა ხდება ბროლის ეკვატორულ ზონაში.

Fibroblastus, i, მამრ. (ლათ. fibra + ბერძნ. blastos)
ფიბრობლასტი—მეზოდერმული წარმოშობის თითისტარისმავარი ან ვარსკვლავისებრი ფორმის დიდ ბირთვიანი შემაერთებელ ქსოვილოვანი უჯრედი.

Filamentum, i, მამრ. ლათ. ფილამენტი, ძაფი, ბოჭკო.

Filamentum acrosomatis აკროსომული ფილამენტი—რიცხოველთა აკროსომაში განაყოფიერების პროცესში არსებული ფილამენტი, მონაწილეობს კვერცხუჯრედის გარსის გახვრეტაში.

Filum, i, საშ. ლათ. ძაფი, ბოჭკო.

Filum terminale ტერმინალური ძაფი—ზრდასრული ორგანიზმის ზურგის ტვინის კაუდალური ნაწილი, რომელიც ნერვულ უჯრედებსა და ბოჭკოებს არ შეიცავს და წარმოადგენს ვიწრო ეპითელურ ზონარს.

Fissio, onis, მდ. ლათ. (findere დანაწევრება, გაყოფა)
დაყოფა, დანაწევრება—ორგანიზმის ემბრიონულ განვითარების პირველი ე. წ. დაყოფის ეტაპი; ზიგოტის მიტოზურად გაყოფის თანმიმდევრული რიგი 2—4—16 და ა. შ. უჯრედებად—ბლასტომერებად, რომლის დროსაც არ ხდება მიღებული ბლასტომერების ზრდა მოცულობაში. ადამიანში ზიგოტის დაყოფა მთავრდება მორულის წარმოქმნით.

Fissio bilateralis ბილატერალური ანუ ორმხრივის მიეტრიული დაყოფა—დაყოფის ეს ფორმა ხასიათდება უკვე ორი ბლასტომერის სტადიაზე სიმეტრიული სიბრტყის წარმოქმნით, რომლის მიმართ კვერცხის ორივე მხარის ბლასტომერები სიმეტრიულად ლაგდებიან. შესაბამისად, ჩანასახის მარჯვენა ნახევრის თითოეულ ბლასტომერს შეესატყვისება მარცხენა ნახევრის განსაზღვრუ-

ლი ბლასტომერი. დაყოფის ეს ფორმა ახასიათებს მრგვალ კიებსა და ასცილიას.

Fissio discoidalis დისკოიდური დაყოფა—
ნაწილობრივი დანაწევრების ერთ-ერთი სახე, როდესაც დაყოფას განიცდის კვერცხის მხოლოდ უყვითრო ანიმალური ნაწილი, ე. წ. ჩანასახოვანი დისკო. ასეთი დაყოფის შედეგად წარმოიქმნება დისკობლასტულა (იხ. *Discoblastula*). დაყოფის ეს სახე დამახასიათებელია თევზების, რეპტილიების და ფრინველების ტელოლეცითალური კვერცხებშიცხათვის.

Fissio equalis თანაბარი დაყოფა—დანაწევრების ის სახე, როდესაც ყველა წარმოქმნილი ბლასტომერი თანაბარი ზომისაა. ასეთი დანაწევრება დამახასიათებელია ალეცითალური და იზოალეცითალური კვერცხის მქონე ორგანიზმებისათვის. მაგ. ლანცეტა.

Fissio equationalis ეკვაციური გაყოფა—
სასქესო უჯრედების მომწიფების ფაზის მეორე მეიოზური გაყოფა, რომლის დროსაც ხორციელდება პირველი მეიოზური გაყოფის წინ გაორმაგებული ქრომოსომების დათიშვა, როგორც ჩვეულებრივი მიტოზის დროს. ეკვაციური გაყოფის შემდეგ სასქესო უჯრედებში ქრომოსომების ქვეშეპარტი ჰაპლოიდური რაოდენობაა. (იხ. *Meiosis*).

Fissio ex parte ნაწილობრივი დაყოფა—
დანაწევრებას განიცდის კვერცხის მხოლოდ უყვითრო ნაწილი; ასეთი დაყოფა დამახასიათებელია ყვითრით მდიდარი კვერცხისათვის. განაჩევენ ნაწილობრივ დაყოფას: დისკოიდურს და ზედაპირულს (იხ. *Fissio discoidalis*; *Fissio superficialis*).

Fissio indeterminata არადეტერმინირებული დაყოფა—დანაწევრება, რომლის დროსაც ყოველ დამოუკიდებელ ბლასტომერს შეუძლია დასაბამი მისცეს ახალ ორგანიზმს. ასეთი დაყოფა ახასიათებს ხერხემლიანებს და რიგ სხვა ცხოველებსაც.

Fissio inequalis არათანაბარი დაყოფა—
კვერცხში ყვითრის არათანაბარი განაწილების გამო დანაწევრება მიმდინარეობს ასინქრონულად. ანიმალური ნაწილი, სადაც ყვითრის შედარებით მცირე რაოდენობაა, უფრო სწრაფად ნაწევრდება, ვიდრე ვეგეტაციური. შესაბამისად, ანიმალური ნაწილის ბლასტომერები უფრო მცირე ზომისაა მაგრამ რაოდენობრივად მეტი, ვეგეტაციურის კი—პირიქით. არათანაბარი დანაწევრება დამახასიათებელია ტელოლეცითალური კვერცხისათვის.

Fissio in toto სრული ანუ ტოტალური დაყოფა—დანაწევრების ის სახე, როდესაც კვერცხი თითქმის მთლიანად ნაწევრდება. სრული დაყოფა შეიძლება იყოს თანაბარი და არათანაბარი

(იხ. *Fissio equalis*; *Fissio inequalis*). ასეთი დანაწევრება დამახასიათებელია ჰოლობლასტური ტიპის კვერცხისათვის.

Fissio radialis რ ა დ ი ა ლ უ რ ი დ ა ყ ო ფ ა — დაყოფის ღარები გაივლიან ურთიერთპერპენდიკულარულ სიბრტყეში, რის გამოც ბლასტომერები ლაგდებიან სიმეტრიულად ერთმანეთის ზემოთ. ასეთი დანაწევრება ახასიათებს უმდაბლესი ხერხემლიანების კვერცხს.

Fissio reductionalis რ ე დ უ ქ ე ი უ ლ ი გ ა ყ ო ფ ა — სასქესო უჯრედების მომწიფების ფაზის პირველი მეიოზური გაყოფა, მოიცავს მიტოზისათვის დამახასიათებელ ოთხივე ფაზას, რომელსაც წინ უსწრებს პრემეიოზური ინტერფაზა. ჩვეულებრივი მიტოზისაგან განსხვავებით, პირველი მეიოზური გაყოფის ანაფაზაში ითიშება არა გაორმაგებული ქრომოსომები, არამედ ჰომოლოგიური წყვილები, ხდება ქრომოსომათა რიცხვის შემცირება — რედუქცია. რედუქციულ გაყოფას მოსდევს მეორე მეიოზური — ეკვაციური გაყოფა (იხ. *Meiosis*).

Fissio spiralis ს პ ი რ ა ლ უ რ ი დ ა ყ ო ფ ა — დაყოფის სიბრტყე გაივლის კვერცხის ეკვატორის და მერიდიანის მიმართ 45° -იანი კუთხით, რის გამოც ბლასტომერები ლაგდებიან მონაცვლეობით, სპირალურად. კვერცხის ასეთი ტიპის დანაწევრება ახასიათებთ ბრტყელ და რგოლოვან ქიებს, რბილტანიანებს.

Fissio superficialis ზ ე დ ა პ ი რ უ ლ ი დ ა ყ ო ფ ა — დანაწევრებას განიცდის კვერცხის ცენტრში მდებარე ბირთვი, რის შედეგადაც წარმოიქმნება ბირთვის შემცველი ციტოპლაზმის „კუნძულები“ რომლებიც შემდგომში ინაცვლებენ კვერცხის ზედაპირზე, ერწყმიან ციტოპლაზმის პერიფერიულ შრეს, რომლის სეგმენტაციის შედეგად წარმოიქმნება ერთშირიანი ბლასტოდერმა. ასეთი დაყოფა ძირითადად დამახასიათებელია ცენტროლევითალური კვერცხისათვის.

Fissura, a e, მდ. ლათ. (*findere* ორად გაყოფა, გაპოვა) ნ ა პ რ ა ლ ი, ლ ა რ ი.

Fissura branchialis ს ა ლ ა ყ უ ჩ ე ნ ა პ რ ა ლ ი — ექტოდერმული ჩაღრმავება, რომელიც სალაცუჩე ღარებს ხახის ჯიბეთან აკავშირებს. შემდგომში იგი მონაწილეობს გარეთა ყურის და სასმენი ლულის (ეესტაქის) ფორმირებაში.

Fissura choroidea ს ი ს ხ ლ ძ ა რ დ ვ ო ვ ა ნ ი ნ ა პ რ ა ლ ი — დიდი ტვინის ჰემისფეროს მედიალურ ზედაპირზე წარმოქმნილი პირველი ნაპრალი, მოსაზღვრული გვერდითი პარაკუქის მედიალური კედლის ეპენდიმით. წარმოადგენს სისხლძარღვოვანი წნულით მდიდარი რბილი გარსის ინვაგინაციის ადგილს.

Fissura rhinalis ყნოსვის ნაპრალ — ყალიბდება ემბრიონული განვითარების დაახლოებით მე-4 თვეზე თავის ტვინის ქერქის საფეთქლის წილში, შემოსაზღვრავს ყნოსვის ტვინს (იხ. Rhinencephalon) მედიალურად და გამოყოფს მას ლატერალურად მდებარე ქერქის სხვა არაყნოსვითი ნაწილებისაგან.

Fistula, ae, მდ. ლათ. ფისტულა — არანორმალური, პათოლოგიური არხი, მილაკი, რომელიც აკავშირებს მეზობელ ღრუ ორგანოებს ურთიერთთან ან შინაგან და გარე გარემოსთან. იგი შეიძლება იყოს თანდაყოლილი, სპონტანური, ოპერაციის შემდგომი, ტრავმული, ექსპერიმენტული.

Fistula cervicalis კისრის ფისტულა — ხაზიდან გამოსული ეპითელიუმით ამოფენილი ვიწრო არხი, რომელიც იხსნება მკერდ-ლავიწ-დერილისებრი კუნთის მედიალური კილის სხვადასხვა დონეზე. მე-2 ან მე-3 სალავუჩე ჯიბის განვითარების დეფექტი.

Fistula rectovaginalis სწორნაწლავ-ს-შოს ფისტულა — ხერელი სწორ ნაწლავსა და საშოს შორის. განპირობებული მდებარეობითი სქესის ინდივიდებში ანალური ხერელის განვითარების დეფექტით, მისი ატრეზიით.

Fistula rectovesicularis სწორნაწლავ-შარდის ბუშტის ფისტულა — მამრობითი სქესის ინდივიდებში ხერელი სწორ ნაწლავსა და საშარდე ბუშტს შორის, განპირობებული ანალური ხერელის განვითარების დეფექტით, ატრეზიით.

Fistula tracheoesophagealis სასულეს-საყლაპავი მილის ფისტულა — ხერელი საყლაპავ მილსა და სასულეს შორის, საყლაპავი მილის განვითარების დეფექტი.

Fistula urachalis შარდსაყალის ფისტულა — განვითარების ანომალია, როდესაც ურახუსის სანათური შენარჩუნებულია მთელ სიგრძეზე, რის გამოც შარდი გამოიყოფა ჭიპიდან.

Flexura, ae, მდ. ლათ. ნადრეკი, ფლექსურა, ნაკეცი.

Flexura cephalica თავის ნადრეკი — ემბრიონის თავისკენა ბოლოს ვენტრალურად გადახრის შედეგად განვითარებული მძლავრი ნადრეკი შუა ტვინის დორსალურ ნაწილში (თალში), რის გამოც ერთის მხრივ შუამდებარე და ბოლო ტვინსა, მეორე მხრივ კი შუა ტვინს შორის წარმოიქმნება მახვილი კუთხე.

Flexura cervicalis კისრის ნადრეკი — ემბრიონული თავის ტვინის ყველაზე ადრეული ორმაგი ნადრეკი რომბისებრ და ზურგის ტვინს შორის.

Flexura pontina ხიდის ნადრეკი—განვითარებულ თავის ტვინში ღრმა ნადრეკი უკანა და დამატებით ტვინს შორის.

Flexura telencephalica ბოლო ტვინის ნადრეკი—ემბრიონული თავის ტვინის ნადრეკებს შორის ყველაზე გვიან ჩამოყალიბებული ნადრეკი წინა ტვინის მიდამოში. ამით მთავრდება თავის ტვინის ნადრეკების განვითარება.

Folliculus, i, მამრ. ლათ. (*follis* ტყავის პარკი) ფოლიკული, პარკი.

Folliculus atreticus ატრეზიული ფოლიკული—საკვერცხის უკუგანვითარებული—ატრეზიული ფოლიკული.

Folliculus primarius პირველადი ფოლიკული—საკვერცხის შემაერთებელქსოვილოვან სტრომაში განლაგებული ფოლიკულური უჯრედების ერთი შრით გარშემორტყმული ოოციტი.

Fonticulus, i, um, მამრ. ლათ. (*fons* წყარო) ყიფლიბანდი—ახალშობილებში და ჩვილებში თავის ქალას ძვლებს შორის აპკოვანი ქალას ნარჩენი.

Foramen, inis, საშ. ლათ. (*forare* გაბურღვა) ხვრელი.

Foramen analis ყითას ხვრელი—ყალიბდება კლოაკის ერთიანი ხვრელის დორსალურ მიდამოში, ურორექტალური ძვიდის განვითარების შედეგად.

Foramen cecum ბრმა ხვრელი—ხახის პირველ და მეორე ჯიბეებს შორის, ხახის ძირზე, ენის იოგსა და კენტ ბორცვს შორის რუდიმენტული ხვრელი ფარისებრი ჯირკვლის დივერტიკულის ნარჩენი.

Foramen incisivum საჭრელი ხვრელი—ხვრელი ძვლოვან სასაში, განვითარებული ემბრიონის სასის მორჩების არასრული შეზრდის შედეგად.

Foramen interatriale primum წინა გულთა შორისი პირველადი ხვრელი—დროებითი წარმონაქმნი, შემოსაზღვრული წინაგულთაშორისი პირველადი ძვიდის მზარდი კილით და ენდოკარდიული ბალიშით.

Foramen interatriale secundum წინა გულთა შორისი მეორეადი ხვრელი—ყალიბდება პირველადი ხვრელის დახშობის შემდეგ, პირველადი ძვიდის კრანიალური ნაწილის გათხელებისა და პერფორაციის შედეგად.

Foramen interventriculare პარკუჭთა შორისი ხვრელი—1. ემბრიონის გულის პარკუჭთაშორისი ხვრელი, რომელიც საბოლოოდ იხურება პარკუჭთაშორისი ძვიდის აპკოვანი და

კუნთოვანი ნაწილებით. 2. თავის ტვინის პარაკუქთაშორისი ხერელი ყალიბდება წინა სატვინე ბუშტუკების ღრუს თანდათანობითი შევიწროების შედეგად. აკავშირებს ლატერალურ პარაკუქებს მესამე პარაკუქთან.

Foramen ovale ო ვ ა ლ უ რ ი ხ ე რ ე ლ ი—წინაგულთაშორისი ძგიდეში ემბრიონული ხერელი, ყალიბდება წინაგულთაშორისი მეორადი ძგიდის ფორმირებისას, მისი სარქველი პირველადი ძგიდის დერივატია. ატარებს სისხლს მარჯვენა წინაგულიდან მარცხენაში. ოვალური ხერელი საბოლოოდ იხშობა. იშვიათ შემთხვევაში შეიძლება დარჩეს დაბადების შემდგომ, როგორც განვითარების დეფექტი.

Formae fissionis და ყ ო ფ ი ს, და ნ ა წ ე ვ რ ე ბ ი ს ფ ო რ მ ე ბ ი—კვერცხში ყვითრის შემცველობისა და ციტოპლაზმაში მისი განაწილების მიხედვით განარჩევენ სხვადასხვა ფორმას (იხ. Fissio)

Fossa, ae, მდ. ლათ. (fodere გათხრა) ფ ო ს ო, ჩ ა ღ რ მ ა ვ ე ბ ა, ო რ მ ო.

Fossa navicularis ნ ა ვ ი ს ე ბ რ ი ფ ო ს ო—მამაკაცის შარდსადენის ტერმინალური ნაწილის გაფართოება.

Fossa supratonsillar: ნ უ შ ზ ე და ფ ო ს ო—ნუშის სინუსის ზემო ჩაღრმავება სასის ნაკეცსა და სასის ნუშს შორის. ხახის მეორე ჯიბის ნარჩენი.

Fovea, ae, მდ. ლათ. დ რ მ უ ლ ი, ფ ო ს ო, ო რ მ ო.

Fovea nasalis ც ხ ე ი რ ი ს ფ ო ს ო—ვითარდება ცხვირის პლაკოდის ქვეშემდებარე ქსოვილში ინვაგინაციის შედეგად. პირის ღრუსაგან გამოყოფილია პირ-ცხვირის მემბრანით, რომლის გარღვევის შემდეგ ცხვირის ფოსოები უშუალოდ იხსნებიან პირის ღრუში ზედაყბის რკალთან.

Fovea*otica ყ უ რ ი ს ფ ო ს ო—ყალიბდება ყურის პლაკოდიდან. თანდათანობით ღრმავდება უკანა სატვინე ბუშტუკის მიმართულებით, საბოლოოდ იხშობა და დასაბამს აძლევს ყურის ბუშტუკს. (იხ. Otocystis).

Fragmentatio, onis, მდ. ლათ. (fragere გატეხვა) ფ რ ა გ მ ე ნ ტ ა ც ი ა—ფრაგმენტებად, ნაწილებად დაყოფა. უსქესო გამრავლების სახე როდესაც ადგილი აქვს დედის ორგანიზმის დაყოფას ფრაგმენტებად. თითოეული ფრაგმენტი დასაბამს აძლევს ახალ ორგანიზმს.

Funiculus umbilicalis ჭ ი პ ლ ა რ ი, ჭ ი პ ი ს ბ ა გ ი რ ა კ ი—პლაცენტას აკავშირებს ნაყოფის სხეულის ვენტრალურ კედელთან. იგი შეიცავს ჭიპის ორ არტერიას, ვენას, ალანტოისის და ყვითრის სადინარებს.

Gametae, es, მდ. ბერძნ. (gametes ქმარი; gamete ცალი: წარმ. gamein ქორწინება) გამეტა—მდედრობითი და მამრობითი სასქესო უჯრედი. კვერცხუჯრედი და სპერმატოზოიდი (იხ. Ovum, Spermatozoon).

Gametogenesis, is, მდ. ბერძნ. (gemeta+genesis) გამეტოგენეზი—გამეტების—კვერცხუჯრედის და სპერმატოზოიდის წარმოქმნა და განვითარება.

Ganglion, ii, საშ. ბერძნ. კვანძი—როტულუსიტყვებში მიუთითებს კვანძზე, კვანძისმაგვარ სტრუქტურაზე.

Ganglia spinalis სპინალური კვანძები—ყალიბდებიან ნერვული ქედის უჯრედებიდან.

Gastroschisis, is, მდ. ბერძნ. (gaster მუცელი+schisis გახლეჩა) გასტროსხიზისი—მუცლის წინა კედლის თანდაყოლილი ნაპარალი.

Gastrula, ae, მდ. ბერძნ. (gastre გამოპერილი) გასტრულა—რიგ ხერხემლიან და უხერხემლო ცხოველთა განვითარების ადრეული, ბლასტულის შემდგომი სტადია, როდესაც ვითარდება უხერხემლოებში—ორი, ხერხემლიანებში კი სამი ჩანასახოვანი ფურცელი.

Gastrulatio, onis, მდ. ლათ. გასტრულაცია—გასტრულის წარმოქმნა. ხორციელდება სხვადასხვა გზით (იხ. Invaginatio, Immigratio, Anabolia, Delaminatio).

Geminatio, onis, მდ. ლათ. (geminare ვაორებული) გემინაცია—ვაორება, ერთი ნერვიდან ორი კბილის განვითარება, რომელთაგან მხოლოდ ერთი: ნორმალური.

Geminus, i, მამრ. ლათ. ტყუპი—ერთი ორსულობის შედეგად დაბადებული ორი ან მეტი ინდივიდი. განარჩევენ ერთ ან სხვადასხვა კვერცხუჯრედიდან განვითარებულ ტყუპს. პირველ შემთხვევაში ერთი ზიგოტა, დასაბამს აძლევს ორ ან მეტ ერთი და იგივე სქესის, დამოუკიდებელ ორგანიზმს. მეორე შემთხვევაში კი ერთდროულად ნაყოფიერდება ორი ან მეტი კვერცხუჯრედი, მიღებული ინდივიდები შეიძლება იყოს ერთი და იგივე ან სხვადასხვა სქესის.

Gemini conjuncti შეერთებული ტყუპები—განვითარების ანომალია, ერთი კვერცხუჯრედიდან განვითარებული ტყუპები, ურთიერთშეზრდილი სხეულის რომელიმე ნაწილით, თავით, გულმკერდით, დუნდულებით და სხვა.

Geminus parasiticus პარაზიტული ტყუპი—განუვითარებელი ტყუპის ცალი, რომელიც არსებობს ტყუპი-პატრონის სხეულზე ან სხეულში.

Gemma, ae, მდ. ლათ. კვირტი, ნერგი, გამონახარდი—ახალი ორგანიზმის ან ორგანოს საწყისი.

Gemma dentalis კბილის ნერგი—კბილის ფიფიტის გვერდებზე ეპითელური შემსხვილებები, რომლისგანაც კბილის (ემალის) ორგანო ვითარდება.

Gemma glandulae sublingualis ენის ქვეშა ჯირკვლის ნერგი—ყალიბდება, ემბრიონული განვითარების დაახლოებით მე-8 კვირას, ქვედა ყბის და ენის ნერგებს შორის არსებული ღარის მეზენქიმაში რამდენიმე მკვრივი ეპითელური კვანძის სახით.

Gemma glandulae submandibularis ქვედა ყბის ქვეშა ჯირკვლის ნერგი—ყალიბდება ემბრიონული განვითარების დაახლოებით მე-6 კვირის ბოლოს ენის ქვეშ შუახაზის მიდამოში, წყვილი ეპითელური ღარის სახით. ღარის კაუდული ბოლოები იზრდებიან ქვედა ყბის მიმართულებით და დასაბამს აძლევენ ჯირკვლის სეკრეტორულ ნაწილს, წინა ბოლოები კი დიფერენცირდებიან გამომტან სადინარად.

Gemma neurohypophysealis ნეიროჰიპოფიზის ნერგი—ჰიპოფიზის უკანა წილის ნერგი, დასაბამს იღებს შუამდებარე ტვინის ფუძეზე არსებული ძაბრისეული მორჩიდან.

Gemma pancreatica dorsalis დორსალური პანკრეასის ნერგი—თორმეტგოჯა ნაწლავის დორსალური კედლის ენდოდერმული დიფერტიკული, დასაბამს აძლევს ჯირკვლის უმეტეს ნაწილს.

Gemma pancreatica ventralis ვენტრალური პანკრეასის ნერგი—ნაღვლის საერთო სადინარის ენდოდერმული დიფერტიკული, დასაბამს აძლევს ჯირკვლის თავს.

Gemma parotidea ყბა-ყურის ჯირკვლის ნერგი—ვითარდება ემბრიონული განვითარების დაახლოებით მე-6 კვირას. ლოყის შიგა ზედაპირის ეპითელიუმიდან ღარის სახით, რომელიც თანდათანობით ღრმავდება ქვეშემდებარე მეზენქიმაში, ტოტიანდება და დასაბამს აძლევს ჯირკვლის სეკრეტორულ ნაწილს. ეპითელური ღარის წინა ნაწილი დიფერენცირდება სადინარად.

Gemma pinealis ჯალღუზისებრი სხეულის, ეპიფიზის ნერგი—ყალიბდება ემბრიონული განვითარების დაახლოებით მე-7 კვირას, შუამდებარე ტვინის სახურავის შუა ნაწილში მცირე გამონაზარდის სახით.

Gemma pulmonaria ფილტვის ნერგი—წინა

ნაწლავის მედიო-ვენტრალური კედლის ენდოდერმული კვირტი, მეზენქიმის სისქეში. ფილტვის და ბრონქების პარენქიმულ ნაწილის ნერგი.

Gemmatio, onis, მდ. ლათ. (*gemmare* დაკვირტვა) დაკვირტვა—უსქესო გამრავლების ფორმა ზოგიერთ უმდაბლეს მცენარეებსა და ცხოველებში.

Genesis, is, მდ. ბერძნ. (*gignomai* დაბადება, წარმოშობა) გენეზი—როთელ სიტყვებში მიუთითებს წარმოშობაზე.

Genesis, is, მდ. ბერძნ. გენეზისი—რუიგე სტრუქტურის წარმოქმნა, წარმოშობა ონტო ან ფილოგენეზში.

Gestatio, onis მდ. ლათ. (*gestare* ტარება) ორსულობა (იხ. *Pregnantia*).

Gigantismus, i, მამრ. ბერძნ. (*gigas* გიგანტი) გიგანტიზმი—მთელი სხეულს ან მისი რომელიმე ნაწილის გიგანტური ძლიერი ზრდა. განპირობებული ჰიპოფიზის წინა წილის მიერ ზრდის ჰორმონის ჭარბი გამომუშავებით.

Gingiva, ae, მდ. ლათ. ღრძილი—ლორწოვანი გარსი, წარმოდგენილი ექტოდერმული წარმოშობის მრავალშრიანი ეპითელიუმით და მეზენქიმური წარმოშობის ფაშარი შემაერთებული ქსოვილით, რომელიც ფარავს ზედაყბის ალვეოლურ მორჩებს და ქვედა ყბის ალვეოლურ ნაწილს კბილბუდეთა მიდამოში. ღრძილი მოკლებულია ლორწვეშა შრეს და შეზრდილია ძვლის საზრდელასთან.

Glandula, ae, მამრ. ლათ. (ქნინ. *glans*) ჯირკვალი.

Glandula areolaris დვრილის ბაკის ჯირკვალი—ძუძუს დვრილის ირგვლივ განლაგებული ეპითელური წარმოშობის ჯირკვლები.

Glandula bulbourethralis ბოლქვშარდსადენის ჯირკვალი—წყვილი ჯირკვალი, ყალიბდება ემბრიონული განვითარების მე-3 თვეს შარდსადენის მღვიმოვანი ნაწილის კრანიალური ბოლოს ეპითელური გამონაზარდებიდან.

Glandula lacrimalis საცრემლე ჯირკვალ—ვითარდება ექტოდერმული წარმოშობის კონიუნქტივის ეპითელიუმიდან, ზედა ქუთუთოს ლატერალურ ნაწილში. გამოიმუშავებს სეკრეტს—ცრემლს, რის გამოც თვალის ზედაპირი ყოველთვის ნამიანია.

Glandula mammae სარძევე ჯირკვალი—ინერგება ემბრიონული განვითარების დაახლოებით მე-6 კვირას, სხეულის ვენტრო-ლატერალურ ზედაპირზე გულმკერდის მიდამოში, ექტოდერმული შემსხვილებების ე. წ. სარძევე ფირფიტების სახით. მე-4 თვიდან სარძევე ფირფიტებიდან ქვეშმდებარე მეზენქიმაში ჩაიზრდება მკვირივი ეპითელური ზონრები, რომელთა ზედა ნაწილები დიფერენცი-

რდებიან სარძევე სადინრად (*Ductus lactiferi*) ქვედა ბოლოების დატოტიანების შედეგად კი ყალიბდება სარძევე ჯირკვლის სეკრეტორული ნაწილი.

Glandula palpebralis ქუთუთოს ჯირკვალ — ექტოდერმული წარმოშობის ქონის ჯირკვლების კომპლექსი, განლაგებული ერთი საერთო სადინარის ირგვლივ, რომელიც ქუთუთოს კილის ზედაპირზე იხსნება. ჯირკვლების რაოდენობა თითოეულ ქუთუთოზე დაახლოებით 30 უდრის.

Glandula parathyroidea ფარისებრა ხლო ჯირკვალ — ვითარდება ხახის მე-3 და მე-4 ჯიბეების დისტალური ბოლოებიდან, წყვილი ეპითელური კვანძების სახით. ისინი შემდგომში კარგავენ კავშირს ხახის ჯიბეების ენდოდერმასთან და განლაგდებიან ფარისებრი ჯირკვლის კაფსულაში.

Glandula sebacea ქონის ჯირკვალ — ეპიდერმული წარმოშობის მარტივი ალვეოლური ჯირკვალი. ვითარდება თმის ფოლიკულის გვერდითი ნაწილიდან ეპითელური კვირტის სახით. ემბრიონებში მის მიერ გამომუშავებული სეკრეტი კაზეოზური საცხის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია, მოზრდილებში კი პოხავს კანს და თმიან საფარველს.

Glandula sudorifera ოფლის ჯირკვალ — ეპიდერმული წარმოშობის მარტივი ლულისებრი ჯირკვალი. მისი ნერგი წარმოიქმნება ემბრიონული განვითარების მე-4 თვეს ეპითელური კვირტის სახით ფეხის და ხელის გულების ზედაპირზე, მოგვიანებით კანის საფარველის ყველა მონაკვეთში. მასში სეკრეტის გამომუშავება იწყება მხოლოდ დაბადების შემდეგ.

Glandula thyroidea ფარისებრი ჯირკვალ — მისი პირველი ნერგი ფარისებრი ჯირკვლის დივერტიკულია (*Diverticulum thyroideum*), რომელიც ნაწლავის ღრუსთან დაკავშირებულია ფარ-ენის სადინარით. ემბრიონული განვითარების დაახლოებით მე-4 კვირას ფარისებრი ჯირკვლის ნერგი იძენს მკერდზე უჭრედულ აგებულებას, კარგავენ კავშირს ხახის ეპითელიუმთან, იყოფა მარჯვენა და მარცხენა წილებად და საბოლოოდ განლაგდება ტრაქეის ნერვის ორივე მხარეს.

Glandula vestibularis major საშოს კარიბჭის დიდი ჯირკვალ — ყალიბდება ემბრიონული განვითარების მე-3 თვის ბოლოს, შარდსასქესო სინუსის ამომფენი ეპითელიუმიდან. განლაგებულია საშოს კარიბჭის ახლოს, შეესატყვისება მამაკაცის ბულბოურეთრალურ ჯირკვალს.

Glandulae endometriales ენდომეტრიული ჯირკვლები—ყალიბდებიან ემბრიონული განვითარების მე-6 თვის ბოლოს საშვილოსნოს ამომფენი ეპითელიუმიდან.

Glans, dis, მდ. ლათ. რკო, ანატ. თავი.

Glans clitoridis საენებოს . თავი — სასქესო ბორცვიდან განვითარებული, საენებოს შემსხვილებული თავისუფალი ბოლო.

Glans penis მამაკაცის ასოს თავი—სასქესო ბორცვიდან განვითარებული, ღრუბლისებრი სხეულის წინა შემსხვილებული ბოლო.

Gonada, ae, მდ. ლათ. (*gone* ჩასახვა + *aden* სასქესო ჯირკვალი) გონადა—სასქესო ჯირკვალი. ორგანო, რომელშიაც გამეტები ვითარდება. დასაბამს იღებს საგონადე ბორცვიდან, რომელიც ვითარდება მეზონეფროსის ვენტრალურ კიდეზე, ცელომური ეპითელიუმისა და მეზენქიმის მცირე შემსხვილებების სახით. პირველადი ინდიფერენტული გონადის დიფერენცირება საკვერცხედ ან სათესლედ ზდება ემბრიონული განვითარების დაახლოებით მე-7 კვირას, მას შემდეგ, რაც მასში ჩასახლდებიან ყვითრის ჰარკიდან მიგრირებული პრიმორდიალური სასქესო უჯრედები.

Gonocytus, i, მამრ. ბერძნ. (*gonos* თესლი + *kytōs* უჯრედი) გონოციტი—პირველადი სასქესო უჯრედი, ლოკალიზებული ჩანასახის ყვითრის პარკის ენდოდერმაში. შემდგომში მეზენქიმის გავლით გადაინაცვლებენ გონადის ნერგში და დასაბამს აძლევენ როგორც მამრობით, ისე მდედრობით გამეტას.

Graviditas, atis, მდ. ლათ. (*gravis* დამძიმებული) ორსულობა, ფეხმძიმობა (იხ. *Pregnantia*).

Gubernaculum testis სათესლის წარმამართველი ზონარი—ჩანასახის მეზენქიმური წარმოშობის ფიბროზულ-კუნთოვანი ბაგირაკი, ზედა ბოლოთი უმაგრდება სათესლეს, ქვედა ბოლოთი კი სასქესო მორგვის კანქვეშა ქსოვილს. მდებარეობს საზარდულის არხში და განაპირობებს სათესლის დაშვებას.

Gyn, Gynae, Gynaeco, Gyno, ბერძნ. რთულ სიტყვებში მიუთითებს ქალზე, მდედრობით სქესზე.

Gynecomastia, ae, მდ. ბერძნ. (*gynaeco* + *mastos* ძუძუ) გინეკომასტია—მამაკაცებში სარძევე ჯირკვლების არანორმალური გადიდება.

Gynogenesis, is, მდ. ბერძნ. (*gyno* + *genesis*) გინოგენეზი—გამრავლების ისეთი ფორმა, როდესაც ინდივიდის განვითარება

რება ხდება მხოლოდ კვერცხუჯრედიდან, მიუხედავად იმისა, რომ ადგილი აქვს მასში სპერმატოზოიდის შექრას.

H

Haem, Haema, Haemo, ბერძ. (haima სისხლი) რთულ სიტყვებში მიუთითებს სისხლზე.

Haemangioma, atis, საშ. ბერძ. (haem+angion ქუჩქელი + oma სიმსივნე) ჰ ე მ ა ნ გ ი ო მ ა — სისხლძარღვებიდან განვითარებული კეთილთვისებიანი სიმსივნე.

Hapl, Haplo, ბერძ. რთულ სიტყვებში მიუთითებს მარტივზე.

Haploidia, ae, მდ. ბერძ. (haplo+eidos წარმოქმნა) ჰ ა პ ლ ო ი დ ი ა — ქრომოსომა ერთმაგი, დიპლოიდურზე ორჯერ მცირე კომპლექტი, სადაც ყოველი ქრომოსომა კენტია.

Hemi, ბერძ. რთულ სიტყვებში აღნიშნავს ნახევარს.

Hemiacardia, ae, მდ. ბერძ. (hemi+a+kardia გული) ჰ ე მ ი ა კ ა რ დ ი ა — თანდაყოლილი ანომალია, გულის ერთი ნახევარის უქონლობა.

Hemicephalia, ae, მდ. ბერძ. (hemi + kephale თავი) ჰ ე მ ი ც ე ფ ა ლ ი ა — დიდი ტვინის ერთ-ერთი ნახევარსფეროს უქონლობა. ცენტრალური ნერვული სისტემის განვითარების ანომალია.

Hemicrania, ae, მდ. ბერძ. (hemi+kranion ქალა) ჰ ე მ ი კ რ ა ნ ი ა — ქალას სახურავის ერთი ნახევრის განუვითარებლობა.

Hemihypertrophia, ae, მდ. ბერძ. (hemi+hypertrophia) ჰ ე მ ი ჰ ი პ ე რ ტ რ ო ფ ი ა — სხეულის ერთი ნახევრის ან მისი რომელიმე ნაწილის ჰიპერტროფია.

Hemimelia, ae, მდ. ბერძ. (hemi+melos კიდური) ჰ ე მ ი მ ე ლ ი ა — განვითარების ანომალია, ხასიათდება ერთ-ერთი კიდურის მთლიანი ან მისი რომელიმე ნაწილის უქონლობით.

Hemivertebra, ae, მდ. ბერძ. (hemi+vertebra მალა) ჰ ე მ ი ვ ე რ ტ ე ბ რ ა — მალას ერთი ლატერალური ნახევრის განუვითარებლობა. ხერხემლის განვითარების დეფექტი.

Hemocytoblastus, i, მამრ. ბერძ. (haemo + kytos უჯრედი+blastos) ჰ ე მ ო ც ი ტ ო ბ ლ ა ს ტ ი — მეზოდერმული წარმოშობის არადიფერენცირებული სისხლის პირველადი უჯრედი, რომელიც დასაბამს აძლევს სისხლის უჯრედებს.

Hermaphroditismus, i, მამრ. ბერძ. (ძველი მიოთოლოგიური არსების, ჰერმესისა და აფროდიტას ვაჟიშვილის სახელის,

Hermaphroditos მიხედვით) ჰერმაფროდიტიზმი—ორსქესიანობა, ერთსა და იმავე ინდივიდში, ორივე—მდედრობითი და მამრობითი, სქესის ნიშნების არსებობა. იშვიათია ადამიანებში, ხშირია ცხოველებში.

Hermaphroditismus falsus ცრუ ჰერმაფროდიტიზმი—ინდივიდი ხასიათდება სასქესო ორგანოების მანკიერი განვითარებით, შინაგან და გარეგან სასქესო ნიშნებსა და მეორად სასქესო ნიშნებს შორის შეუთავსებლობით. მამაკაცის შემთხვევაში სასქესო ჯირკვლები მამრობითი ტიპისაა, ხოლო დანარჩენი ორგანოები და მეორადი სასქესო ნიშნები უახლოვდება მდედრობითს, ღედაკაცში კი პირიქით.

Hermaphroditismus verus ჰემმარტი ჰერმაფროდიტიზმი—ერთსა და იმავე ინდივიდში როგორც მდედრობითი, ისე მამრობითი სასქესო ჯირკვლების არსებობა.

Hernia, ae, მდ. ლათ. (ბერძნ. ernos ტოტი, მორჩი) თიაქარი—ორგანოს ან მისი ნაწილის გამობერვა განვითარების დეფექტით გამოწვეულ ნაპრალში ან გაფართოებულ ანატომიურ ხვრელში.

Hernia diaphragmatica congenitalis დიაფრაგმის თანდაყოლილი თიაქარი—პლევროპერიტონეალური ნაოქის განვითარების დეფექტი, მუცლის ღრუს რომელიმე ორგანოს გამობერვა გულმკერდის ღრუში.

Hernia inguinalis congenitalis საზარდულის თანდაყოლილი თიაქარი—მუცლის ღრუს ორგანოთა გამობერვა საზარდულის რგოლში. განპირობებული სათესლის პარკში სათესლის ჩამოშვების შემდეგ ცელომის ღრუსა და სათესლე პარკს შორის დეფექტის არსებობით.

Hernia umbilicalis congenitalis ჰიპის თანდაყოლილი თიაქარი—მუცლის ღრუს რომელიმე ორგანოს გამობერვა ჰიპის რგოლში, განპირობებული მუცლის წინა კედლის დახურვის დეფექტით.

Heter, Hetero, ბერძნ. რთულ სიტყვებში მიუთითებს სხვაგვარზე, განსხვავებულზე.

Heterogamia, ae, მდ. ბერძნ. (hetero+gamos ცოლქმრობა) ჰეტეროგამია—სქესობრივი გამრავლების ფორმა, სხვადასხვა სიდიდისა და აგებულების გამეტთა შერწყმის პროცესი.

Heteroplasia, ae, მდ. ბერძნ. (hetero+plasis წარმოქმნა) ჰეტეროპლაზია—ერთი სახის ქსოვილის განვითარება მეორე სახის ქსოვილის ბაზაზე, ნორმალური ქსოვილის შეცვლა არანორმალურით.

Heteroploidia, ae, მდ. ბერძნ. (hetero+ploidia) ჰეტეროპლოიდია — ქრომოსომული რიცხობრივი აბერაცია, ნორმალურ ქრომოსომულ კომპლექტში ცალკეულ ქრომოსომათა რიცხვის არაჯერადი გადიდება ან შემცირება.

Heterotopia, ae, მდ. ბერძნ. (hetero+topos ადგილი) ჰეტეროტოპია — ემბრიოგენეზის პროცესში ამა თუ იმ სტრუქტურის განვითარება მისთვის უჩვეულო ადგილას.

Hiatus pleuroperitonealis პლევრო-პერიტონეალური ხვრელი — ნაყოფის პლევრისა და პერიტონეალური ღრუებს შორის დიაფრაგმაში არსებული ხვრელი. იხურება განვითარების მე-8 კვირას. რიგ შემთხვევაში რჩება დეფექტის სახით, რომელშიც შესაძლებელია განვითარდეს დიაფრაგმის თიაქარი.

Hippocampus, i, მამრ. ბერძნ. (hippocampus ზღვის ურჩხული ცხენის ტანით და თევზის კუდით, hippos ცხენი + kampto გაღუნვა) ჰიპოკამპი — ზღვის ცხენი, მორგვისებური შემადღება გვერდითი პარკუჭების ქვემო რქაში. ვითარდება ნახევარსფეროების მედიალურ კედელზე არსებული პალეოპალიუმის ნარჩენის ჩაზრდის შედეგად გვერდით პარკუჭში.

Hist, Hystio, Hysto, ბერძნ. რთულ სიტყვებში მიუთითებს ქსოვილზე.

Histogenesis, is, მდ. ბერძნ. (histo+genesis) ჰისტოგენეზი — ქსოვილთა წარმოშობა და განვითარება ონტოგენეზში.

Hol, Holo, ბერძნ. რთულ სიტყვაში მიუთითებს მთლიანზე.

Holoacardius, ii, მამრ. ბერძნ. (holo+a+kardia გული) ჰოლოაკარდიუსი — მახინჯი გულის გარეშე, პარაზიტი ტყუპისცალი, რომლის სისხლის მიმოქცევა ხორციელდება აუტოზიტის ხარჯზე.

Homunculus, i, მამრ. ლათ. (პატარა კაცი) ჰომუნკული, ლილიპუტი — ქონდრისკაცი სხეულის ნორმალური პროპორციული ნაწილებით. განვითარების ანომალია (იხ. Nanus).

Hydr, Hydro, ბერძნ. რთულ სიტყვებში მიუთითებს წყალზე, წყალბადაზე, თხევად კონსისტენციაზე.

Hydramnion, ii, საშ. ბერძნ. (hydr+amnion) ჰიდრამნიონი — ქარბწყლიანობა ჩანასახის გარსების ღრუში; ნაყოფის ახლო წყლების, ამნიონის სითხის, დიდი რაოდენობით დაგროვება.

Hydrencephalocele, es, მდ. ბერძნ. (hydro+enkephalon) ჰიდრენცეფალოცელე — თავის ტვინის თიაქარი, თიაქარის პარკი ტვინის ნივთიერებასთან ერთად შეიცავს თავ-ზურგ ტვინის სითხეს.

Hydrocele, es, მდ. ბერძნ. (hydro + kele თიაქარი) ჰიდროცელე—სათესლის წყალმანკი, სათესლის ბუდისებრ გარსში სეროზული სითხის ქარბი დაგროვება.

Hydrocephalia, ae, მდ. ბერძნ. (hydro+kephale თავი) ჰიდროცელა—თავის ტვინის წყალმანკი, თავის ტვინის პარაკუქებში და ქსელისებრი გარსის სივრცეში ცერებროსპინალური სითხის რაოდენობის მომატება, რასაც თან ახლავს ქალას შიგა წნევის მომატება.

Hymen, enis, მამრ. ბერძნ. ჰიმენისაქალწულოაპკი—ლორწოვანი გარსის ნაკეცი საშოს ღრუსა და კარიბჭეს შორის, უშუალოდ საშოს შესავალთან, რომელიც ფარავს მას. შეიძლება იყოს რგოლისებრი, ნახევარმთვარისებრი, დაკბილული და სხვა.

Hymen imperforatus უხვრელოსაქალწულოაპკი—საქალწულო აპკი, რომელიც მთლიანად ფარავს საშოს შესავალს.

Hyper, ბერძნ. რთულ სიტყვებში მიუთითებს სიქარბეზე, მომატებაზე, ზედმეტად გადიდებაზე.

Hypermastia, ae, მდ. ბერძნ. (hyper+mastos ძუძუ) ჰიპერმასტია—მრავალძუძუიანობა, ზედმეტი ძუძუს არსებობა.

Hypermerismus, i, მამრ. ბერძნ. (hyper+meros ნაწილი) ჰიპერმერიზმი—ჩანასახის სხეულის სეგმენტთა ქარბი რაოდენობა.

Hyperonychia, ae, მდ. ბერძნ. (hyper+onyx ფრჩხილი) ჰიპერონიქია—ფრჩხილების ქარბი ზრდა.

Hyperostosis, is, მდ. ბერძნ. (hyper+osteon+osis მდგომარეობა) ჰიპეროსტოზი—ძვლოვანი ქსოვილის პათოლოგიური ზრდა.

Hyperphalangia, ae, მდ. ბერძნ. (hyper+phalanx ფალანგი) ჰიპერფალანგია—განვითარებ. ს ანომალია, ფეხის ან ხელის თითების ფალანგების ქარბი რიცხვი.

Hyperplasia, ae, მდ. ბერძნ. (hyper+plasis წარმოქმნა) ჰიპერპლაზია—ორგანოს ან ქსოვილის მოცულობის გაზრდა უჯრედთა გაძლიერებული გამრავლების ხარჯზე.

Hyperploidia, ae, მდ. ბერძნ. (hyper+ploidia) ჰიპერპლოიდია—ქრომოსომული რიცხოზობრივი აბერაცია, უჯრედის ნორმალურ დიპლოიდურ ქრომოსომულ კომპლექტში ზედმეტი ქრომოსომის ან ზედმეტი ქრომოსომული კომპლექტის არსებობა.

Hypertelorismus, i, მამრ. ბერძნ. (hyper+tele შორს + orismos განცალკავება) ჰ ი პ ე რ ტ ე ლ ო რ ი ზ მ ი —წყვილ ორგანოთა შორის, უფრო ხშირად თვალებს შორის, მანძილის გაზრდა—გადიდება.

Hyperthelia, ae, მდ. ბერძნ. (hyper+thele დერილი) ჰ ი პ ე რ თ ე ლ ი ა —ძუძუს ზედმეტი დერილის არსებობა. მრავალდერილიანობა.

Hypertrichosis, is, მდ. ბერძნ. (hyper+trichos თმა + osis მდგომარეობა) ჰ ი პ ე რ ტ რ ი ქ ო ზ ე —თმოვანი საფარველის ჭარბი ზრდა, ჭარბთმიანობა.

Hypertrophia, ae, მდ. ბერძნ. (hyper+trophe კვება) ჰ ი პ ე რ ტ რ ო ფ ი ა —ქსოვილის ან ორგანოს მოცულობის ზრდა შემადგენელი ელემენტების მოცულობის გადიდების ხარჯზე.

Hyp, Hypo, ბერძნ. რთულ სიტყვებში მიუთითებს დაბალდონეზე, ხარისხზე, ფუნქციური აქტივობის დაქვეითებაზე.

Hypoblastus, i, მამრ. ბერძნ. (hypo+blastos) ჰ ი პ ო ბ ლ ა ს ტ ი —ბლასტოციტის სტადიაზე, შიგა უჯრედული მასიდან გამოსახლებულ უჯრედთა გროვა—ენდოდერმის ნერგი.

Hypodontia, ae, მდ. ბერძნ. (hypo+odus კბილი) ჰ ი პ ო დ ო ნ ტ ი ა —განვითარების ანომალია, კბილების რიცხვის სიმცირე, განპირობებული მათი ნერგების უქონლობით.

Hypognathia, ae, მდ. ბერძნ. (hypo+gnathos ყბა) ჰ ი პ ო გ ნ ა თ ი ა —განვითარების ანომალია, არანორმალურად მცირე ქვედაყბა.

Hypohidrosis, is, მდ. ბერძნ. (hypo+hidros ოფლი) ჰ ი პ ო ჰ ი დ რ ო ზ ი — ოფლის სეკრეციის დაქვეითება.

Hypomerismus, i, მამრ. ბერძნ. (hypo+meros ნაწილი) ჰ ი პ ო მ ე რ ი ზ მ ი —ჩანასახის სხეულის სეგმენტების რაოდენობის შემცირება.

Hyponychium, ii, საშ. ბერძნ. (hypo+onyx ფრჩხილი) ჰ ი პ ო ნ ი ქ ი უ მ ი —ფრჩხილქვეშა ფირფიტა, ეპიდერმული უჯრედებისაგან შემდგარი სქელი მორგვი, განლაგებული ფრჩხილის ფირფიტის დისტალურ ბოლოსთან.

Hypophalangia, ae, მდ. ბერძნ. (hypo+phalanx ფალანგი) ჰ ი პ ო ფ ა ლ ა ნ გ ი ა —განვითარების მანკი, ხელის და ფეხის თითების ფალანგების ნორმაზე ნაკლები რაოდენობა.

Hypophysis, is, მდ. ბერძნ. (hypo+physis ზრდა) ჰ ი პ ო ფ ი ზ ი —შინაგანი სეკრეციის ჭირკვალი. შედგება წინა ჭირკვლოვანი (იხ. Adenohypophysis) და უკანა ნერგული (იხ. Neurohypophysis) წილებისაგან, შესაბამისად იგი ორი ურთიერთდამოუკიდებელი ნერგი-

დან ვითარდება. კერძოდ, წინა წილი დასაბამს იღებს პირველადი პირის ღრუს—სტომოდუმის (რატკეს ჯიბე) ექტოდერმიდან, უკანა კი—შუამდებარე ტვინის ფუძის ძაბრის ნეიროექტოდერმიდან.

Hypoplasia, ae, მდ. ბერძნ. (hypo+plasis წარმოქმნა) პ ი პ ო პ ლ ა ზ ი ა—ქსოვილის, ორგანოს, სხეულის ნაწილს ან მთელი ორგანიზმის განუვითარებლობა, ემბრიოგენეზის მოშლის გამო.

Hypoploidia, ae, მდ. ბერძნ. (hypo+ploidia) პ ი პ ო პ ლ ო ი დ ი ა—ქრომოსომული რიცხობრივი აბერაცია, დიპლოიდურ ქრომოსომულ კომპლექტში ცალკეულ ქრომოსომის არარსებობა.

Hypospadias, ae, მდ. ბერძნ. (hypo+spadon ხერელი) პ ი პ ო ს პ ა დ ი ა—განვითარების დეფექტი, გამოიხატება მამაკაცებში—შარდსადენის დისტალური ბოლოს უქონლობით ან შეუზრდევლობით, რის გამოც იგი იხსნება ან ასოს ვენტრალურ ზედაპირზე, ან შორისზე; ქალებში—შარდსადენის უკანა კედლის და საშოს წინა კედლის დეფექტით, რის გამოც შარდსადენის გარეთა ხერელი იხსნება საშოს ღრუში.

Hypotrichosis, is, მდ. ბერძნ. (hypo+trichos თმა) პ ი პ ო ტ რ ი ქ ო ზ ი—თმოვანი საფარველის სუსტი განვითარება.

I

Ichthyosis, is, მდ. ბერძნ. (ichthys თევზი+osis მდგომარეობა) ი ქ ტ ი ო ზ ი—„თევზის კანი“, კანის გარქოვანების გენერალიზებული თანდაყოლილი ანომალია, ხასიათდება ეპიდერმისის რქოვანი შრის ჰიპერტროფიით, ქონისა და ოფლის სეკრეციის დაქვეითებით, კანის სიმშრალით, მასზე დიდი რაოდენობით ქერცლისა და რქოვანი ფენის განვითარებით. ვლინდება ცხოველების პირველ წლებშივე და გრძელდება სიცოცხლის ბოლომდე.

Ileum, i, საშ. ბერძნ. (eilein ტრიალი) თ ე ძ ო ს ნ ა წ ლ ა ვ ი—წვრილი ნაწლავის ქვემო მესამედი, ვითარდება: წინა ნაწილი—პირველადი შუა ნაწლავის მარყუჯის კრანიალური, ხოლო უკანა კი—კაუდალური ბოლოებიდან.

Im, იმ. *In*.

Imbecillitas, atis, მდ. ლათ. (imbecillus სუსტი, უძლური) ი მ ბ ე ც ი ლ ო ბ ა—ჭკუასუსტობის საშუალო ხარისხი, იდიოტიზმსა და დებილობას შორის.

Immigratio, onis, მდ. ლათ. (im+migratio ჩასახლება) ი მ ი გ რ ა ც ი ა—გასტრულაციის ერთ-ერთი სახე, ხორციელდება ბლასტულის კედლიდან ცალკეული უჯრედების ჩასახლებით ბლასტოცელში. განარჩევენ იმიგრაციას უნიპოლარულს, როდესაც უჯრედთა ჩასახლება ხდება ბლასტულის მხოლოდ ერთი პოლუსიდან, ბიპოლა-

რულს—ორივე პოლუსიდან და მულტიპოლარულს—მთელი ზედაპირიდან.

Implantatio, onis, მდ. ლათ. (*im+planta* ჩანერგვა, ყლორტი) ი მ პ ლ ა ნ ტ ა ც ი ა —ჩანასახის მიმაგრება, ჩანერგვა საშვილოსნოს ლორწოვან გარსში—ენდომეტრიუმში. იმპლანტაცია ნორმალურად ხდება საშვილოსნოს უკანა კედელზე. იშვიათ შემთხვევაში კი შეიძლება მოხდეს მისთვის უჩვეულო ადგილას (იხ. *Pregnantia extra-uterina*).

In, ლათ. წინდებული ში, ზე, თან, რთულ სიტყვებში კი მიუთითებს უარყოფას.

Incus, udis, მდ. ლათ. გ რ დ ე მ ლ ი —სასმენი ძვალი, ვითარდება პირველი სალახუჩე რკალის—მეკელის ხრტილის დორსალური ნაწილიდან.

Inductor, oris, მამრ. ლათ. (*inductum* შეყვანა) ი ნ დ უ ქ ტ ო რ ი —ემბრიონის ორგანო ან ქსოვილი, რომელიც განსაზღვრავს მეორე ქსოვილის ან ორგანოს დიფერენცირების ტემპს და მიმართულებას.

Infantilismus, i, მამრ. ლათ. (*infans* ბავშვი, ყრმა) ი ნ ფ ა ნ ტ ი ლ ი ზ მ ი —ორგანიზმის განვითარების შეჩერება ბავშვის ან ყრმის დონეზე, ფსიქიური და სქესობრივი განუვითარებლობა, გამოწვეული ან მემკვიდრული დაავადებით, ან დაავადებით; ბავშობის პერიოდში.

Infertilitas, atis მდ. (*in+fertilitas* ნაყოფიერება) უ შ ვ ი ლ ო ბ ა —როდესაც ჩასახვა შესაძლებელია, მაგრამ არ ხორციელდება ცოცხალი ნაყოფის დაბადება ხშირი, ნაადრევი, უნებლიე აბორტების გამო.

Inseminatio, onis, მდ. ლათ. (*inseminare* ჩანერგვა) ი ნ ს ე მ ი ნ ა ც ი ა —დათესვლა, თესლის ხელოვნური შეტანა საშოში, სქესობრივი აქტის გარეშე—ხელოვნური განაყოფიერება.

Insulae sanguinea ს ი ს ხ ლ ი ს კ უ ნ ძ უ ლ ე —ბ ი —ყვითრის პარკის ამომდენ სპლანქნომეზოდერმულ უჯრედთა გროვები, სისხლძარღვების და სისხლის პირველადი უჯრედების ნერგი.

Inter, ლათ. შორის, რთულ სიტყვებში აღნიშნავს მდებარეობას ორ სტრუქტურას შორის.

Intersexualitas, atis, მდ. ლათ. (*inter+sexualis* სქესობრივი) ი ნ ტ ე რ ს ე ქ ს უ ა ლ ო ბ ა —მდგომარეობა, რომლის დროსაც ინდივიდში, მიუხედავად იმისა, რომ ორივე სქესის ნიშნებია, არც ერთი მკვეთრად გამოხატული არ არის. ამდენად, ყალიბდება შუალედური სქესის ინდივიდი.

I n v a g i n a t i o, o n i s, მდ. ლათ. (in+vagina) ი ნ ვ ა გ ი ნ ა ც ი ა — ჩაბრუნება, ჩადრეკა, გასტრულაციის ერთ-ერთი ხერხი, ხორციელდება ბლასტულის ვეგეტაციური პოლუსის თანდათანობითი ჩადრეკით ბლასტოცელში ანიმალური პოლუსის მიმართულებით, რის შედეგად ჩანასახი იღებს ორშრიანი ფიალის ფორმას.

I n v e r s i o, o n i s, მდ. ლათ. (in+vertere გადაბრუნება) ი ნ ვ ე რ ს ი ა — ქრომოსომის სეგმენტის შემობრუნება 180°-ით, რაც განაპირობებს ინვერტირებულ სეგმენტში გენების თანმიმდევრობის უკუგანლაგებას. თუ ინვერტირებული სეგმენტი მოიცავს ცენტრომერს, ასეთ ინვერსიას პერიცენტრული ეწოდება, თუ არა — პარაცენტრული. როდესაც ქრომოსომაში ინვერტირებულია ერთი სეგმენტი — ეს მარტივი ინვერსიაა, თუ ერთზე მეტი — რთული.

I n v o l u t i o, o n i s, მდ. ლათ. (in + volvere შემოხვევა, დაკარგვა) ი ნ ვ ო ლ უ ც ი ა — ქსოვილის ან ორგანოს მორფოლოგიურ და ფიზიოლოგიურ თავისებურებათა უკუგანვითარება, გამარტივება ონტო ან ფილოგენეზში.

I r i s, i d i s, მდ. ბერძნ. (iridos ცისარტყელა) ფ ე რ ა დ ი გ ა რ ს ი, ი რ ი ს ი — ვითარდება ბროლის ბრმა ნაწილიდან და მის ირგვლივ მდებარე მეზენქიმიდან. მდებარეობს ბროლსა და რქოვანას შორის თვალის წინა და უკანა კამერებს ყოფს ურთიერთისაგან. მის ცენტრში მოთავსებულია გუგა.

I s o g a m i a, a e, მდ. ბერძნ. (iso ერთგვაროვანი + gamos ქორწინება) ი ს ო გ ა მ ი ა — მორფოლოგიურად ერთგვაროვანი გამეტების შერწყმის პროცესი.

J

J e j u n u m, i, საშ. ლათ. (jejunum ცარიელი, მშიერი) მ ლ ი ე ი ნ ა წ ლ ა ვ ი — წვრილი ნაწლავის მონაკვეთი თორმეტგოჯა ნაწლავიდან თქმის ნაწლავამდე, ვითარდება პირველადი შუე ნაწლავის მარყუჟის კრანიალური ბოლოდან.

K

K a r y o t y p u s, i, მამრ. ბერძნ. (karyon ბირთვი + typos ფორმა, ნიმუში) კ ა რ ი ო ტ ი პ ი — ამა თუ იმ ინდივიდის სომატური უჯრედის ქრომოსომული კომპლექტის მორფოლოგიურ თავისებურებათა ერთობლიობა.

K y p h o s i s, i s, მდ. ლათ. (kypos მოხრილი) კ ი ფ ო ზ ი —

ხერხემლის გამრუდება საგიტალურ სიბრტყეში, უკან გამოდრეკილი რკალით.

L

Labium, ii, საშ. ლათ. ბაგე, ტუჩი, კიდე, ნაპირი.

Labia blastopori ბლასტოპორის ბაგეებ — გარდამავალი მიდამო ექტოდერმასა და ენდოდერმას შორის, რომლითაც შემოსაზღვრულია ბლასტოპორის ხვრელი. განარჩევენ დორსალურ ანუ წინა, ვენტრალურ ანუ უკანა და ორ ლატერალურ—გვერდით ბაგეებს.

Labia majora დიდი ბაგეები—ქალის გარეთა სასქესო ორგანოების წყვილი ნაოჭი. ვითარდებიან სასქესო შემაღლებიდან, ზუსტად ბოქვენის მალლობის ქვეშ და გარს ეხვევიან ვულვის შესავალს.

Labia minora მცირე ბაგეები—ქალის გარეთა სასქესო ორგანოების წყვილი ნაოჭი, განვითარებული სასქესო ნაოჭიდან დიდი ბაგეების შიგა ზედაპირზე.

Labium cupule opticae მხედველობის თასის ბაგე, კიდე—დასაბამს აძლევს გუგის კიდეებს.

Labium rhombicum რომბულ ბაგე—უკანა ტვინის ფრთისებრი ფირფიტის დორსალური ნაწილი, ნათხემის პრიმორდიუმი.

Labyrinthus, i, მამრ. ბერძნ. ლაბირინთი—ურთიერთდაკავშირებული, გადახლართული სავალების რთული სისტემა.

Labyrinthus cartilagineus ხრტილოვანი ლაბირინთი—ვითარდება აპკოვანი ლაბირინთის ირგვლივ მდებარე მეზენქიმიდან, გარს აკრავს განვითარებად შიგნითა ყურს.

Labyrinthus membranaceus აპკოვანი ლაბირინთი—ვითარდება ყურის ბუშტუკიდან. მისი დორსალური ნაწილი დასაბამს აძლევს აპკოვანი ლაბირინთის კარიბჭის ნაწილს, ვენტრალური კი—ლოკოკინას. ლაბირინთის ეპითელიუმში ექტოდერმული წარმოშობისაა.

Labyrinthus osseus ძვლოვანი ლაბირინთი—ვითარდება აპკოვანი ლაბირინთის ირგვლივ მდებარე მეზენქიმიდან და გარს აკრავს განვითარებად შიგნითა ყურს.

Lactatio, onis, მდ. ლათ. (lactare ვწოვ, ძუძუს წოვება) ლაქტაციია—სარძევე ჯირკვლებში რძის გამომუშავებისა და გამოყოფის პროცესი მშობიარობის შემდეგ.

Lamina, ae, მდ. ლათ. ფირფიტა, თხელი შრე.

Lamina dentalis ს ა კ ბ ი ლ ე ფ ი რ ფ ი ტ ა — ე მ ბ რ ი ო ნ უ ლ ი განვითარების დაახლოებით მე-7 კვირას ზედა და ქვედა ყბის თავისუფალ ზედაპირზე განვითარებული ეპითელური შემსხვილებები, რომლებიც შემდგომ თანდათანობით ჩაიზრდებიან ქვეშემდებარე მეზენქიმაში კვირტების სახით და წარმოადგენენ კბილის ექტოდერმული კომპონენტის—მინანქრის ნერგს. მათი რაოდენობა თითოეულ ყბაზე 10-ია.

Lamina dorsolateralis დ ო რ ს ო - ლ ა ტ ე რ ა - ლ უ რ ი ფ ი რ ფ ი ტ ა — ე მ ბ რ ი ო ნ ის უკანა სატვინე ბუშტუყის მიდამოში, ნერვული ლულის გვერდითი კედლის უკანა ნაწილი, მონაწილეობს მოგრძო ტვინის ფორმირებაში.

Lamina externa cupulae opticae მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ის თ ა ს ის გ ა რ ე თ ა ფ ი რ ფ ი ტ ა — ბ ა დ უ რ ის პ ი გ მ ე ნ ტ უ რ ი შ რ ის ნ ე რ გ ი .

Lamina interna cupulae opticae მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ის თ ა ს ის შ ი გ ა ფ ი რ ფ ი ტ ა — მ ის ი უკანა ნაწილი დიფერენცირდება ბადურის მხედველობის ნაწილად (*Pars optica retinae*) წინა კი—ბადურის ბრმა ნაწილად (*Pars ceca retinae*).

Lamina neuralis ნ ე რ ვ უ ლ ი ფ ი რ ფ ი ტ ა — განვითარების ადრეულ სტადიაზე, ჩანასახის დორსალური ზედაპირის შუა ხაზის გასწვრივ მაღალი უჭრედებით წარმოდგენილი ექტოდერმის მონაკვეთი, რომელიც დასაბამს აძლევს ნერვულ ღარს.

Lamina prechordalis პ რ ე ქ ო რ დ უ ლ ი ფ ი რ ფ ი ტ ა — ექტოდერმის მონაკვეთი, რომელიც ჯერ კიდევ გასტრულაციის პროცესში განიცდის ინვაგინაციას ჩანასახის შიგნით და თავსდება ქორდის თავისუფალი ბოლოს წინ, ქმნის არქენტერონის სახურავის ნაწილს. პრექორდული ფირფიტის ლატერალური ნაწილიდან ვითარდება პირველი და მეორე მეზოდერმული სომიტი, მედიალურიდან კი—პირველადი ნაწლავის წინა ნაწილის და სასუნთქი გზების ამომფენი ეპითელიუმი.

Lamina terminalis ტ ე რ მ ი ნ ა ლ უ რ ი ფ ი რ ფ ი ტ ა — ბ ო ლ ო ტვინის წინა კედლის მედიალური ნაწილი, ყალიბდება როსტრალური ნეიროპორის ბაგეთა შერწყმის შედეგად. თავდაპირველად ნახევარსფეროები მხოლოდ ამ ფირფიტით უკავშირდებიან ურთიერთს.

Lanugo, inis, მ დ . ლ ა თ . ლ ა ნ უ გ ო , ღ ი ნ . ღ ლ ი — პ ი რ ვ ე ლ ა დ ი , ნ ა ზ ი , პ რ ო ვ ი ზ ო რ უ ლ ი თ მ ა , ფ ა რ ა ვ ს ე მ ბ რ ი ო ნ ის ს ხ ე უ ლ ს . ე მ ბ რ ი ო ნ უ ლ ი განვითარების დაახლოებით მე-7 თვის ბოლოს ღინდლი

ცევა, ერევა ქონის ჭირკვლების სეკრეტს, მონაწილეობს კაზეოზური საცხის წარმოქმნაში.

Lens, tis, მდ. ლათ. (ოსპი) ბ რ ო ლ ი—მხედველობის თასის ღრუში განლაგებული ექტოდერმული წარმოშობის ეპითელური სხეული. დასაბამს იღებს ბროლის პლაკოდიდან (იხ. *Discus lenticus*).

Leptonema, atis, საშ. ბერძნ. (*lepto* წვრილი + *nema* ძაფი) ლ ე პ ტ ო ნ ე მ ა — პირველი მეიოზური გაყოფის პროფაზის პირველი სტადია. ქრომოსომები წარმოდგენილია უწვრილესი ძაფების სახით, თითოეული მათგანი შედგება ორი შვილეული ქრომატიდისაგან, რომლებიც ურთიერთთან დაკავშირებულია ერთი საერთო ცენტრომერით. შემდგომი სტადია ზიგონემა (იხ. *Zygonema*).

Linea primitiva პ ი რ ვ ე ლ ა დ ი ზ ო ლ ი—გასტრულაციის მეორე ფაზაში, ჩანასახოვანი დისკოს უკანა კიდეზე მალა-ლი ცილინდრული უჭრედებით წარმოდგენილი შემსხვილება. მისგან ყალიბდება მეზოდერმა.

Liquor, oris, მამრ. ლათ. ს ი თ ხ ე .

Liquor amnioticum ა მ ნ ი ო ნ ი ს ს ი თ ხ ე—ამნიონის ექტოდერმულ უჭრედთა ცხოველმოქმედების პროდუქტი, ავსებს ამნიონის ღრუს. სითხეში ნაყოფი თავისუფლადაა შეწონილი. იგი იცავს მას გამოშრობისაგან, მის ნაზ ქსოვილებს სურთიერთმეზორისაგან, მოქმედებს როგორც თხევადი ბუფერი.

Liquor cerebrospinalis თ ა ვ - ზ უ ჭ რ გ ი ს ტ ვ ი ნ ი ს ს ი თ ხ ე—ცირკულირებს თავისა და ზურგის ტვინის ღრუებში. არსებობს მოსაზრება, რომ სითხე გამომუშავდება მე-3 [და მე-4 გვერდითი პარაკუქების სისხლძარღვოვან წნულში. განსხვავდება სისხლისა და ლიმფისაგან როგორც უჭრედული, ასევე ქიმიური შედგენილობით.

Liquor circumvitelinus ყ ვ ი თ რ ი ს ი რ გ ვ ლ ი ვ ი ს ი თ ხ ე—კვერცხუჭრედში ქერქული მარცვლების შიგთავსი, რომელიც ყვითრის ირგვლივ სივრცეში გროვდება.

Lordosis, is, მდ. ბერძნ. (*lordos* გაღუნული, მოხრილი) ლ ო რ დ ო ზ —ხერხემლის გამრუდება საგიტალურ სიბრტყეში, წინამოდრეკილი რკალით. კიფოზის საწინააღმდეგო.

Lymphoblastus, i, მამრ. ლათ. (*lymph* სუფთა წყალი + *blastos*) ლ ი მ ფ ო ბ ლ ა ს ტ ი—პირველადი, ნაკლებად დიფერენცირებული სისხლის უჭრედი, ლიმფოციტის წინამორბედი.

Lysinum spermaticum ს ს პ ე რ მ უ ლ ი ლ ი ზ ი ნ ი—სპერმატოზოიდის ციტოპლაზმის ზედაპირულ შრეში არსებული სპეციალური ნივთიერება, რომელიც ხსნის კვერცხუჭრედის გარსს.

Macro, ბერძნ. დიდი, გრძელი, კომბინირებული ფორმა, მიუთითებს გაფართოებაზე, გადიდებაზე.

Macroencephalia, ae, მდ. ბერძნ. (*macro*+*enkephalon*) მაკროენცეფალია—თავის ტვინის მოცულობის არანორმალური, პათოლოგიური გადიდება. თანდაყოლილი ანომალია.

Macrobrachia, ae, მდ. ბერძნ. (*macro*+*brachion* ხელი) მაკრობრაქია—ზედა კიდურების არანორმალურად დიდი ზომა.

Macrocephalia, ae, მდ. ბერძნ. (*macro*+*kephale* თავი) მაკროცეფალია—არანორმალურად დიდი თავი, განვითარების ანომალია.

Macrocheilia, ae, მდ. ბერძნ. (*macro*+*cheilos* ტუჩი) მაკროქეილია—ტუჩების არანორმალური გადიდება, განვითარების ანომალია.

Macrochiria, ae, მდ. ბერძნ. (*macro*+*cheir* ხელი) მაკროქირია—არანორმალურად დიდი ზომის ხელის მტევანი. განვითარების ანომალია.

Macroactylia, ae, მდ. ბერძნ. (*macro*+*dactylos* თითი) მაკროდაქტილია—განვითარების ანომალია, ხელის ან ფეხის არანორმალურად გრძელი თითები.

Macrodonia, ae, მდ. ბერძნ. (*macro*+*odus* კბილი) მაკროდონტია—განვითარების ანომალია, არანორმალურად დიდი ზომის კბილი.

Macroglossia, ae, მდ. ბერძნ. (*macro*+*glossa* ენა) მაკროგლოსია—ენის თანდაყოლილი ან შემდეგ შექმნილი არანორმალური გადიდება.

Macrognathia, ae, მდ. ბერძნ. (*macro*+*gnathos* ყბა) მაკროგნათია—არანორმალურად გრძელი და დიდი ქვედა ან ზედა ყბა. განვითარების ანომალია.

Macrogyria, ae, მდ. ბერძნ. (*macro*+*gyrus cerebri* თავის ტვინის ხვეული) მაკროგირია—განვითარების ანომალია, დიდი ტვინის ხვეულების ზომის არანორმალური გადიდება, მათი რიცხვის შემცირებასთან ერთად.

Macromastia, ae, მდ. ბერძნ. (*macro*+*mastos* ძუძუ) მაკრომასტია—ძუძუების არანორმალური გადიდება. განვითარების ანომალია.

Macromelia, ae, მდ. ბერძნ. (*macro*+*melos* კიდური)

შ ა კ რ ო მ ე ლ ი ა — არანორმალურად გრძელი კიდურები. განვითარების ანომალია.

Macromerus, i, მამრ. ბერძნ. (macro + meros ნაწილი) შ ა კ რ ო მ ე რ ი — ზიგოტის დანაწევრების შედეგად განვითარებული დიდი ზომის ბლასტომერი (იხ. Blastomerus).

Macrophtalmia, ae, მდ. ბერძნ. (macro + ophthalmos თვალი) შ ა კ რ ო ფ თ ა ლ მ ი ა — თვალის კაკლის არანორმალური გადიდება.

Macroplasia, ae, მდ. ბერძნ. (macro + plasein წარმოქმნა) შ ა კ რ ო პ ლ ა ზ ი ა — სხეულის, ქსოვილის ან მისი რომელიმე ნაწილის არანორმალური ზრდა.

Macropodia, ae, მდ. ბერძნ. (macro + pous ტერფი) შ ა კ რ ო პ ო დ ი ა — არანორმალურად დიდი ზომის ტერფები. განვითარების ანომალია.

Macrosomia, ae, მდ. ბერძნ. (macro + soma სხეული) შ ა კ რ ო ს ო მ ი ა — არანორმალურად დიდი ზომის სხეული (იხ. Gigantismum).

Macrostomia, ae, მდ. ბერძნ. (macro + stoma პირი) შ ა კ რ ო ს ტ ო მ ი ა — პირის არანორმალურად დიდი ნაპრალი. განვითარების ანომალია.

Macrotia, ae, მდ. ბერძნ. (macro + otus ყური) შ ა კ რ ო ტ ი ა — არანორმალურად დიდი ზომის ყურის ნიჟარა. განვითარების ანომალია.

Malleus, i, მამრ. ლათ. ჩაქუჩი — შუა ყურის ერთ-ერთი სასმენი ძვალი, ვითარდება პირველი და მეორე სალახუჩე რკალების (მეკელის და რეიხერტის) ხრტილებიდან.

Mandibula, ae, მდ. ლათ. (mandere ლეკვა) ქ ვ ე დ ა ყ ბ ა — ყალიბდება მეკელის ხრტილის და მის ირგვლივ მდებარე მეზოდერმული ქსოვილის მეორადი გაძვლების შედეგად.

Massa dorsalis დ ო რ ს ა ლ უ რ ი მ ა ს ა — განვითარებადი ჩონჩხის კიდურების მიდამოში, დორსალურად მდებარე მეზოდერმული მასა, რომელიც დასაბამს აძლევს კიდურის გამშლელ კუნთებს.

Massa ventralis ვ ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი მ ა ს ა — ემბრიონის სხეულის კიდურების მიდამოში ვენტრალურად მდებარე მეზოდერმული მასა, საიდანაც კიდურის მომხრელი კუნთები ვითარდებიან.

Maxilla, ae, მდ. ლათ. (კნინ. mala ყბა, ლოყა) ზ ე დ ა ყ ბ ა — ყალიბდება შუბლის, ცხვირის და ზედაყბის მორჩებიდან.

Meatus acusticus externus გ ა რ ე თ ა ს ა ს-
მ ე ნ ი მ ი ლ ი — ყალიბდება ყურის ბორცვებს შორის განლაგებული
პირველი გარეთა სალახუჩე ლარის ექტოდერმიდან.

Medulla oblongata მ ო გ რ ძ ო ტ ვ ე ნ ი — ვითარ-
დება დამატებითი ტვინიდან. მისი ღრუ დიფერენცირდება მე-4 პარკუჭად,
თხელი სახურავი კი სისხლძარღვებთან ერთად ჩაიზრდება პარკუჭის
ღრუში და წარმოქმნის სისხლძარღვოვან სარქველს (იხ. Tela choroidea).

Medulla spinalis ზ უ რ გ ი ს ტ ვ ე ნ ი — დასაბამს
იღებს ემბრიონული განვითარების დაახლოებით მე-4 კვირის ბოლოს,
ნერვული ლულის კაუდალური ნაწილიდან მსხვილი ზონრის სახით. ემ-
ბრიონულ პერიოდში ზურგის ტვინი გადაჭიმულია ხერხემლის არხის
უკანა ბოლომდე (კულშიც), სადაც წარმოქმნის 'ტერმინალურ პარკუჭს
(იხ. Ventriculum terminale) შემდგომში მისი ზრდა თანდათანობით
ჩამორჩება ხერხემლისას, რის გამოც იგი მოზრდილებში მხოლოდ წე-
ლის ან გავის მიდამომდე აღწევს, მის ქვემოთ კი წვრილი, ეპითელური
ძაფის (იხ. Filum terminale) სახითაა წარმოდგენილი.

Mega, Megalo, ბერძნ. მ ა რ თ ო, დ ი დ ო — კომბინირე-
ბული ფორმა — გამოიყენება ძირითადად არანორმალური გაფართოების
აღსანიშნავად.

Megacolon, i, საშ. ბერძნ. (mega+colon) მ ე გ ა კ ო-
ლ ო ნ ი — მსხვილი ნაწლავის, განსაკუთრებით სიგმოიდური კოლინჯის
და სწორი ნაწლავის გაფართოება. ხასიათდება აღნიშნულ მიდამოებში
მიენტერიკული ნერვული წნულის არარსებობით და ატონიით.

Megalocardia, ae, მდ. ბერძნ. (megalo+kardia გული)
მ ე გ ა ლ ო კ ა რ დ ი ა — გულის არანორმალური გაფართოება, ჰიპერ-
ტროფია.

Meiosis, is, მდ. ბერძნ. (meiosis შემცირება) მ ე ი ო ზ ი —
სასქესო უჯრედების მომწიფების ფაზა, მოიცავს ორ ერთმანეთის თან-
მიმდევრულ მეიოზურ გაყოფას — რედუქციულს და ეკვაიურს, ქრომო-
სომების მხოლოდ ერთჯერადი გაორმაგებით (იხ. Fissio equationalis;
Fissio reductionalis) საბოლოოდ მიღებულ სასქესო უჯრედებს გააჩ-
ნიათ არაპომოლოგიურ ქრომოსომათა პაპლოიდური რიცხვი.

Melanismus, i, მამრ. ბერძნ. (melos მუქი, შავი) მ ე ლ ა-
ნ ი ზ მ ი — ქსოვილში ან ორგანოში მელანინის ჰარბი დაგროვება.

Membranae, ae, მდ. ლათ. მ ე მ ბ რ ა ნ ა, ა პ კ ი.

Membrana analis ყ ი თ ა ს მ ე მ ბ რ ა ნ ა — კლოა-
კის მემბრანის დორსალური ნაწილი, ურორექტალური ძვილის კაუდა-
ლურად.

Membrana branchialis სალაყუჩე მემბრანა — ორშრიანი ეპითელური მემბრანა, ხახის ჯიბეებისა და გარეთა სალაყუჩე ღარების კონტაქტის ადგილას, რომლის გარეთა შრე წარმოდგენილია სალაყუჩე ღარების ექტოდერმით, შიგნითა კი — ხახის ჯიბეების ენდოდერმით.

Membrana cloacalis კლოაკის მემბრანა — თხელი ორშრიანი ენდოდერმულ-ექტოდერმული ეპითელური მემბრანა, რომელიც გამოყოფს ემბრიონულ პირველად უკანა ნაწლავს ექტოდერმული კლოაკისაგან — პროქტოდერმისაგან.

Membrana exocoelomica ეგზოცელომური მემბრანა — მეზოთელიუმის შსგავსი თხელი მემბრანა, შემოსაზღვრავს ბლასტოცისტის ეგზოცელომს, უწყვეტად უკავშირდება ექსტრაემბრიონულ მეზოდერმას და პირველად ენდოდერმას.

Membrana impregnativa განაყოფიერების მემბრანა — უშუალოდ სპერმატოზოიდისა და კვერცხუჯრედის კონტაქტის მომენტში, ყვითროვანი მემბრანის გასქელებისა და მისი ოპლაზმიდან გამოცალკეების შედეგად განვითარებული მემბრანა, რომელიც შეუძლებელს ხდის კვერცხუჯრედში კიდევ სხვა სპერმატოზოიდის შეღწევას.

Membrana oronasalis პირ-ცხვირის მემბრანა — თხელი ორშრიანი ეპითელური მემბრანა, ყნოსვის ორმოებს გამოყოფს სტომოდერმისაგან.

Membrana oropharyngealis პირ-ხახის მემბრანა — სტომოდერმსა და წინა ნაწლავის კრანიალურ ბრმა ბოლოებს შორის ირიბად განლაგებული ორშრიანი, ექტოდერმულ-ენდოდერმული, ეპითელური მემბრანა. ემბრიონული განვითარების დაახლოებით მე-4 კვირას მისი პერფორაციის შედეგად მყარდება უშუალო კონტაქტი ნაწლავის ღრუსა და გარე გარემოს შორის.

Membrana pleuropericardialis პლევროპერიკარდიული მემბრანა — განივი ძვიდის დორსალური კიდის ლატერალური ნაწილიდან განვითარებული მემბრანა, პერიკარდიუმის ღრუს გამოყოფს პლევრის ღრუსაგან.

Membrana pleuroperitonealis პლევროპერიტონეალური მემბრანა — განივი ძვიდიდან განვითარებული ემბრიონული მემბრანა, პლევრის ღრუს გამოყოფს ცელომის პერიტონეალური ნაწილიდან. მონაწილეობს დიაფრაგმის ნაწილის ფორმირებაში.

Membrana tympani დაფის აპკი — გარეთა და შუა ყურს შორის გადაჭიმული სამშრიანი მემბრანა, რომელიც სამი

სხვადასხვა ნერგიდან ვითარდება: გარეთა ექტოდერმიდან, შუა მეზენქიმიდან და შიგნითა ენდოდერმიდან.

Membrana urogenitalis შ ა რ დ-ს ა ს ქ ე ს ო მ ე მ ბ რ ა ნ ა—ყალიბდება კლოაკის მემბრანის ცენტრალური ნაწილიდან. მემბრანის გარღვევის შემდეგ პირველადი ენდოდერმული შარდსასქესო სინუსი ხერელის საშუალებით უკავშირდება გარე გარემოს.

Membrana vitelina ყ ვ ი თ რ ი ს ა ნ ყ ვ ი თ რ ო-ვ ა ნ ი მ ე მ ბ რ ა ნ ა—ყვითლის ირგვლივ, ოობლაზმის ზედაპირული შრის შესქელების შედეგად განვითარებული თხელი, მკვრივი, გამკვირვალე გარსი.

Membranae fetales ჩ ა ნ ა ს ა ხ ო ვ ა ნ ი მ ე მ ბ-რ ა ნ ე ბ ი—ამნიონი, ქორიონი და ნაწილობრივ დეციდუალური გარსი (იხ. Amnion, Chorion, Decidua).

Menarche, es, მღ. ბერძნ. (men თვე + arche საწყისი) მ ე ნ ა რ ქ ე—პირველი მენსტრუაციის დაწყების დრო. ციკლური მენსტრუალური ფუნქციის დასაწყისი.

Meninges, ium, მღ. ბერძნ. (meninx ტენის გარსი) ტ ვ ი ნ ი ს გ ა რ ს ე ბ ი—ყალიბდებიან სატენიე ბუშტუკების ირგვლივ მდებარე მეზენქიმიდან.

Meningocele, es, მღ. ბერძნ. (meninx+kele თიაქარი) მ ე ნ ი ნ გ ო ც ე ლ ე—ტენის გარსების თიაქარი, თავის ან ზურგის ტვინის გარსების გამობერვა ქალას ან ხერხემლის დეფექტში. განვითარების ანომალია.

Meningomyelocele, es, მღ. ბერძნ. (meninx+myelo+kele თიაქარი) მ ე ნ ი ნ გ ო მ ი ე ლ ო ც ე ლ ე—ხერხემლის ნაპრალში ზურგის ტვინის და მისი გარსების გამობერვა კისტის სახით.

Meninx primitiva ტ ვ ი ნ ი ს პ ი რ ვ ე ლ ა დ ი გ ა რ ს ი—ვითარდება მეზენქიმიდან, შემდგომში დიფერენცირდება ტვინის შიგნითა და გარეთა გარსებად (იხ. Endomeninx; Ectomeninx).

Menopausa, ae, მღ. ბერძნ. (men თვე + pausis შეწყვეტა, შეჩერება) მ ე ნ ო პ ა უ ზ ა—კლიმაქსის შემდგომი, მენსტრუაციის საბოლოოდ შეწყვეტის პერიოდი. ხასიათდება ენდომეტრიუმში ციკლური ცვლილებების დამთავრებით, სასქესო ორგანოების ინვოლუციით და ჰორმონების სეკრეციის შემცირებით.

Menses, ium, მამრ. ლათ. (men თვე) მ ე ნ ზ ე ს ი, თ ვ ი უ რ ი, კ ა ტ ა მ ე ნ ი ა—ქალის სქესობრივი სიმწიფის პერიოდში, მენარქედან მენოპაუზამდე, ყოველთვიური ლორწოვან-სისხლიანი გამონადენი საშვილოსნოდან. გრძელდება საშუალოდ 3—5 დღის განმავლობაში, შეორდება დაახლოებით 28 დღის ინტერვალით.

Meso, ბერძნ. წინდებული, რთულ სიტყვებში აღნიშნავს შუას, შუამდებარეს.

Mesencephalon, i, საშ. ბერძნ. (meso+enkephalon) შუა ტვინი—ყალიბდება შუა სატვინე ბუშტუკიდან, რომლის ღრუ, კედლების გასქელების გამო, თანდათანობით რედუცირდება და საბოლოოდ გარდაიქმნება ტვინის წყალსადენად (იხ. Aqueductus cerebri). ჩამოყალიბებულ შუა ტვინში, განარჩევენ — შუა ტვინის სახურავს და დიდი ტვინის ფხს.

Mesenchyma, atis, საშ. ბერძნ. (meso+enchime ჩასხმული) მეზენქიმა—ზოგადი მორფოლოგიური ტერმინი, აღნიშნავს ყველა ქსოვილს, წარმოშობის მიუხედავად, რომელიც შედგება ფაშარად განლაგებული თითისტარისმაგვარი ან ვარსკვლავისებრი უჯრედებისაგან. ჩანასახის სხეულის პირველად ღრუში აესებს შუალედებს შედარებით მკვრივი ქსოვილებისა და ორგანოების ნერგებს შორის. მეზენქიმა დასაბამს აძლევს სისხლს, ძვლოვან, საკუთრივ შემაერთებელ და გლუვ კუნთოვან ქსოვილებს.

Mesenchyma capitale თავის მეზენქიმა—ყალიბდება ძირითადად განგლიოზური ფირფიტიდან და ნერვული მილიდან მიგრირებული უჯრედების და ნაწილობრივ პრექორდული ფირფიტის ლატერალური ნაწილების გაფაშარების ხარჯზე.

Mesenchyma extraembryonale ჩანასახგარე მეზენქიმა—ჩანასახოვანი გარსების და ყვითლის პარკის შემადგენლობაში შემავალი მეზენქიმა.

Mesenterium, ii, საშ. ლათ. (meso+enteron ნაწლავი) ჯორჯალი—პერიტონეუმის დუბლიკატურა, რომლითაც ნაწლავი უმაგრდება მუცლის უკანა კედელს.

Mesenterium dorsale primitivum პირველადი დორსალური ჯორჯალი—ვენტრალური მეზოდერმის ვისცერული ფურცლიდან განვითარებული ნაკეცი, რომელიც პირველად ნაწლავს ამაგრებს ჩანასახის სხეულის დორსალურ კედელზე. დორსალური ჯორჯალიდან ყალიბდება დიდი ბადექონი, წვრილი ნაწლავის, ქია ნაწლავის და განივი კოლინჯის ჯორჯალი.

Mesenterium ductus feminini ქალის სადინარი ჯორჯალი—პერიტონეუმის წყვილი ნაკეცი, რომელზეც კიდია ქალის მეზონეფროსის სადინარი. ემბრიოგენეზის პროცესში შედის საშვილოსნოს განივი იოგის შემადგენლობაში.

Mesenterium primitivum პირველადი ჯორჯალი—სპლანქნური მეზოდერმის ორი ფურცელი, რომელიც გარს

აკრავს ემბრიონის პირველად ნაწლავს და ცელომს ყოფს მარცხენა და მარჯვენა ნახევრებად.

Mesenterium ventrale primitivum პირველადი ვენტრალური ჯორჯალი — ვენტრალური მეზოდერმის ვისცერული ფურცლის ნაკეცი, რომელიც პირველად ნაწლავს ამავრებს ჩანასახის სხეულის ვენტრალურ კედელზე. ემბრიოგენეზში იგი თითქმის მთლიანად ქრება, რჩება მხოლოდ კუჭის მიდამოში, სადაც აყალიბებს მცირე ბადექონს და ლეიძლის ნამგლისებრ იოგს.

Mesenteron, ii, საშ. ბერძნ. (*meso+enteron* ნაწლავი) მეზენტერონი, შუანაწლავი — ემბრიონის პირველადი ნაწლავის მონაკვეთი წინა და უკანა ნაწლავს შორის. ვენტრალურად იგი უშუალოდ უკავშირდება ყვითრის პარკს ვიწრო საყვითრე ყუნწის საშუალებით. შემდგომში მისგან ყალიბდება: თორმეტგოჯა ნაწლავის უმეტესი ნაწილი, მლივი, თეძოს და ბრმა ნაწლავი დანამატით — ჭია ნაწლავით, ასწერივი კოლინჯი, განივი კოლინჯის მარჯვენა და შუა მესამედი.

Mesoblastus, i, მამრ. ბერძნ. (*meso+blastos*) მეზობლასტი — პირველადი მეზოდერმა, წარმოიქმნება განვითარების ადრეულ სტადიაზე პირველადი ზოლიდან. მისი ცენტრალური ნაწილი დასაბამს აძლევს თავის მეზოდერმას და ქორდას, ლატერალური კი — ლერძულ მეზოდერმას.

Mesocardium, ii, საშ. ბერძნ. (*meso+kardia* გული) გულის ჯორჯალი — პერიკარდიუმის ნაკეცი, რომლითაც ჩანასახის განვითარებადი გული მიმაგრებულია გულმკერდის ღრუს დორსალურ კედელთან.

Mesoderma, atis, საშ. ბერძნ. (*meso+derma*) მეზოდერმა — შუა ჩანასახოვანი ფურცელი, დასაბამს იღებს პირველადი ზოლიდან. ლაგდება ენდოდერმასა და ექტოდერმას შორის ქორდის ორივე მხარეს. მასში განარჩევენ სამ ძირითად ნაწილს — პარაქსიალურს, შუამდებარეს და ლატერალურს.

Mesoderma amnioticum ამნიონის მეზოდერმა — ტროფობლასტიდან განვითარებული ჩანასახგარე მეზოდერმა, წარმოქმნის ამნიონის გარეთა შრეს.

Mesoderma extraembryonicum ჩანასახგარე მეზოდერმა — განვითარების ადრეულ სტადიაზე ტროფობლასტიდან განვითარებული ამნიონის, ქორიონის, ყვითრის პარკის და საყვითრე ყუნწის შემადგენლობაში შემავალი მეზოდერმა.

Mesoderma intermedium შუამდებარე მეზოდერმა — პარაქსიალურ და ლატერალურ მეზოდერმას შორის

მდებარე ვიწრო ზოლი. მისი წინა ბოლო დასაბამს აძლევს ადრეული ემბრიონული სტადიებისათვის დამახასიათებელ შარდგამომყოფ ორგანოებს—პრონეფროსს და მეზონეფროსს, კაუდალური ბოლო კი უფრო მოგვიანებით სტადიაზე მონაწილეობს საბოლოო თირკმლის—მეტანეფროსის წარმოქმნაში.

Mesoderma intraembryonicum ჩ ა ნ ა ს ა ხ - შ ი გ ა მ ე ზ ო დ ე რ მ ა—ვითარდება ძირითადად პირველადი ზოლიდან, გარსს აკრავს ჩანასახოვან დისკოს.

Mesoderma laterale ლ ა ტ ე რ ა ლ უ რ ი მ ე ზ ო დ ე რ მ ა—შუამდებარე მეზოდერმის ლატერალურად მდებარე მეზოდერმა, რომელიც თავის მხრე ვიყოფა გარეთა—სომატურ და შიგნითა—სპლანქნურ მეზოდერმებად.

Mesoderma parachordale პ ა რ ა ქ ო რ დ უ ლ ი მ ე ზ ო დ ე რ მ ა—ყალიბდება ემბრიონული განვითარების დაახლოებით მე-17—18 დღეს ქორდის ორივე მხარეს მცირე შემსხვილებების სახით. შემდგომში განიცდის სეგმენტაციას და წარმოქმნის სომიტებს.

Mesoderma paraxiale თ ა ნ ა დ ე რ ძ უ ლ ი მ ე ზ ო დ ე რ მ ა—მეზოდერმის ნაწილი, რომელიც დასაბამს აძლევს კანის შემაერთებელქსოვილოვან შრეს—დერმას.

Mesoderma somaticum ს ო მ ა ტ უ რ ი მ ე ზ ო დ ე რ მ ა—ლატერალური მეზოდერმის გარეთა შრე, მოსაზღვრავს ინტრაემბრიონულ ცელომს, გრძელდება ამნიონის მფარავ ჩანასახგარე მეზოდერმაში. მონაწილეობს პერიტონეუმის, პლევრის და პერიკარდიუმის პარიეტული ფირფიტის წარმოქმნაში. ექტოდერმასთან ერთად წარმოქმნის სომატოპლევრას.

Mesoderma splanchnicum ს პ ლ ა ნ ქ ნ უ რ ი მ ე ზ ო დ ე რ მ ა—ლატერალური მეზოდერმის შიგა შრე, ცელომის ფორმირების შემდეგ უკავშირდება ენდოდერმას და მასთან ერთად წარმოქმნის სპლანქნოპლევრას. სპლანქნური მეზოდერმა მონაწილეობს პლევრის, პერიკარდიუმისა და პერიტონეუმის ვისცერული ფურცლების, გულის და სისხლძარღვთა ენდოთელიუმის, შინაგან ორგანოთა შემაერთებელი და გლუვი კუნთოვანი ქსოვილების წარმოქმნაში.

Meso-esophagus, i, მამრ. ბერძნ. (*meso+oesophagus* საყლაპავი მილი) საყლაპავი მილის ქვედა ბოლოს დორსალური ჯორჯალი.

Mesogastrium dorsale კ უ ჳ ი ს დ ო რ ს ა ლ უ რ ი ჯ ო რ ჯ ა ლ ი—ჩანასახის დორსალური ჯორჯლის ნაწილი, აკავშირებს კუჭს მუცლის ღრუს დორსალურ კედელთან.

Mesogastrium ventrale კუჭის ვენტრალური ჯოჯალ — ჩანასახის ვენტრალური ჯოჯალის ნაწილი, კუჭს აკავშირებს მუცლის ღრუს ვენტრალურ კედელთან.

Mesomerus, i, მამრ. ბერძნ. (meso + meros ნაწილი) მეზომერი — ზიგოტის დანაწევრების შედეგად წარმოქმნილი საშუალო ზომის ბლასტომერი.

Mesonephros, i, მამრ. ბერძნ. (meso + nephros თირკმელი) მეზონეფროსი — ვითარდება ემბრიონული განვითარების დაახლოებით მე-4 კვირას შუამდებარე მეზოდერმის კრანიალური ბოლოდან, მაქსიმალურ განვითარებას მე-9 კვირისათვის აღწევს. მე-3 თვიდან იწყება მისი უკუგანვითარება კრანო-კაუდალური მიმართულებით, რჩება მხოლოდ მისი კაუდალური ბოლოს მცირე ნაწილი, მეზონეფროსის მილაკების სახით, რომლებიც შემდგომში მონაწილეობენ სასქესო ორგანოთა რიგი სტრუქტურების ფორმირებაში.

Mesothelium, ii, საშ. ბერძნ. (meso + thela დერილი) მეზოთელიუმი — მეზოდერმული წარმოშობის ერთშიანი ბრტყელი ეპითელიუმი, რომელიც ამოფენს პერიტონეუმის, პლევრის, პერიკარდიუმის და სხვა სეროზულ ღრუებს.

Meta, ბერძნ. რთულ სიტყვებში აღნიშნავს შემდეგ, შუაში, შორის, ერთი მდგომარეობის გადასვლას მეორეში.

Metamerismus, i, მამრ. ბერძნ. (meta + meros ნაწილი) მეტამერიზმი — ნეირულაციის ადრეულ სტადიაზე დორსალური მეზოდერმის კრანო-კაუდალური მიმართულებით წყვილ სეგმენტებად — სომიტებად დაყოფის პროცესი.

Metanephros, i, მამრ. ბერძნ. (meta + nephros თირკმელი) მეტანეფროსი — დეფინიტური, მუდმივი თირკმელი, დასაბამს იღებს ემბრიონული განვითარების მოგვიანებით სტადიაზე შუამდებარე მეზოდერმის კაუდალური ბოლოდან. კერძოდ — მისი ექსკრეტორული ნაწილი დასაბამს იღებს ნეფროგენული ჭიმის მეტანეფრული ბლასტემიდან, შემკრები მილაკები კი — მეზონეფროსის სადინარიდან.

Metaplasia, ae, მდ. ბერძნ. (meta + plasis წარმოქმნა) მეტაპლაზია — ერთი სახის ქსოვილის გარდაქმნა მორფოლოგიურად და ფუნქციურად განსხვავებულ მეორე სახის ქსოვილად.

Metencephalon, i, საშ. ბერძნ. (meta + enkephalon) უკანატვინი — ვითარდება რომბისებრი ტვინის წინა ნაწილიდან. ვრცელდება ხიდის ნაკეციდან რომბისებრი ტვინის ყელამდე. მისი დორსალური ნაწილი წარმოადგენს ნათხემის (Cerebellum), ვენტრალური კი ხიდის (Pons) ნერგს.

Metenteron, i, მამრ. ბერძნ. (meta+enteron ნაწლავი)
უკანანაწლავი—მეტენტერონი, წარმოიშვება სუბკაუდალური
ნაკეცის განვითარების შემდეგ, ემბრიონის კაუდალურ ბოლოში, ენ-
დოდერმული ჯიბის სახით. პირველადი ნაწლავის წინა ნაწილს უკავშირ-
დება უკანა კარების საშუალებით. მისგან ყალიბდება განივი კოლინჯის
მარცხენა მესამედი, დასწვრივი და სიგმოიდური კოლინჯი, სწორი ნაწ-
ლავი, ანალური არხის ზედა ნაწილი და შარდსასქესო სისტემის მნიშვნე-
ლოვანი ნაწილი.

Metestrus, i, მამრ. ბერძნ. (meta+estrus) მეტესტრ-
უსი—ესტრუსის შემდგომი, სქესობრივი ლტოლვის დაქვეითების ფა-
ზა, როდესაც აღნიშნება საშოს კედლის ინვაზია ლეიკოციტებით (იხ.
Cyclus estrosus).

Micro, ბერძნ. რთულ სიტყვებში აღნიშნავს მცირეს, პატარას.

Microencephalia, ae, მდ. ბერძნ. (micro+enkephal-
on) მიკროენცეფალია—არანორმალურად მცირე ზომის თა-
ვის ტვინი. განვითარების ანომალია.

Microbrachia, ae, მდ. ბერძნ. (micro+brachion ხელი)
მიკრობრაქია—თანდაყოლილი ანომალია, არანორმალურად
მოკლე ხელები, მხრის სახსრიდან იდაყვის სახსრამდე.

Microchiria, ae, მდ. ბერძნ. (micro+cheir ხელის მტე-
ვანი) მიკროქირია—არანორმალურად მცირე ზომის ხელის
მტევანი. განვითარების ანომალია.

Microdactylia, ae, მდ. ბერძნ. (micro+daktylos თი-
თი) მიკროდაქტილია—ხელის ან ფეხის არანორმალურად მო-
კლე ერთი ან რამდენიმე თითი. განვითარების ანომალია.

Microglossia, ae, მდ. ბერძნ. (micro+glossa ენა) მი-
კროგლოსია—არანორმალურად მცირე ზომის ენა. განვითარების
ანომალია.

Micrognathia, ae, მდ. ბერძნ. (micro+gnathos ყბა)
მიკროგნათია—არანორმალურად მცირე ზომის ყბები. განვი-
თარების ანომალია.

Microgyria, ae, მდ. ბერძნ. (micro+gyrus cerebri დი-
დი ტვინის ხეუული) მიკროგირია—თავის ტვინის განვითარების
თანდაყოლილი ანომალია, ხასიათდება მცირე ზომის, წვრილი და ხშირი
არანორმალურად განლაგებული ხეულებით.

Micromastia, ae, მდ. ბერძნ. (micro+mastos ძუძუ)
მიკრომასტია—არანორმალურად მცირე ზომის, განუვითარებუ-
ლი ძუძუები. განვითარების ანომალია.

Micromelia, ae, მდ. ბერძნ. (micro+melos კიდური) მიკრომელია — არანორმალურად მოკლე კიდურები. განვითარების ანომალია.

Micromerus, i, მამრ. ბერძნ. (micro+meros ნაწილი) მიკრომერი — ზიგოტის დანაწევრების შედეგად წარმოქმნილი მცირე ზომის ბლასტომერი.

Microphtalmia, ae, მდ. ბერძნ. (micro+ophthalmos თვალი) მიკროფთალმია — განვითარების ანომალია, რომლის დროსაც ერთი ან ორივე თვალის კაკალი არანორმალურად მცირე ზომისაა.

Micropylum, i, მამრ. ბერძნ. (micro+pyle შესავალი, ხვრელი) მიკროპილე — ზოგიერთი ცხოველის კვერცხუჯრედის გარსში არსებული სპეციალური ხვრელი, საიდანაც შეიჭრება სპერმატოზოიდი.

Microstomia, ae, მდ. ბერძნ. (micro+stoma პირი) მიკროსტომია — თანდაყოლილი ანომალია, არანორმალურად მცირე ზომის პირის ნაპრალი.

Microthelia, ae, მდ. ბერძნ. (micro+thele დვრილი) მიკროთელია — ძუძუს დვრილების თანდაყოლილი ჰიპოპლაზია.

Microtia, ae, მდ. ბერძნ. (micro+otus ყური) მიკროტიკია — თანდაყოლილი ანომალია, არანორმალურად მცირე ზომის ყურის ნიჟარები, გარეთა სასმენი მილის ატრეზიასთან ერთად.

Mongolismus, i, მამრ. მონგოლიზმი — განვითარების დეფექტი, განპირობებული ქრომოსომების რიცხობრივი აბერაციით. ინდივიდი ხასიათდება გონებრივი ჩამორჩენილობით და ტიპური გარეგნობით: ირიბად განლაგებული თვალებით, ცხიმოვანი და რბილი კანით, ღია პირით, სუსტი კუნთებით (იხ. Syndromum Downy).

Mono, ბერძნ. რთულ სიტყვებში აღნიშნავს ერთს, ერთეულს, მხოლოდობით რიცხვს.

Monoploidia, ae, მდ. ბერძნ. (mono+ploidia) მონოპლოიდია — უჯრედში ერთი ქრომოსომული კომპლექტის არსებობა, ქეშმარიტი ჰაპლოიდია.

Monosomia, ae, მდ. ბერძნ. (mono+soma სხეული) მონოსომა — ანეუპლოიდიის სახე, როდესაც დიპლოიდურ კომპლექტში ერთით ნაკლები ქრომოსომაა.

Monospermia, ae, მდ. ბერძნ. (mono+sperma თესლი) მონოსპერმია — კვერცხუჯრედის განაყოფიერება ერთი სპერმატოზოიდით.

Monstrum, i, მამრ. ლათ. (ურჩხული) მონსტრუმი — მახინჯი ინდივიდი. ემბრიოგენეზის დეფექტი.

Morphogenesis, is, მდ. ბერძნ. (morphé ფორმა, სახე + genesis) მორფოგენეზი — 1) ემბრიონული—კვერცხუჯრედში მიმდინარე პროცესების ერთობლიობა, რომელიც განაპირობებს ჩანასახის ორგანოებისა და სისტემების ჩამოყალიბებას. 2) ორგანოთა და სისტემათა წარმოქმნისა და განვითარების პროცესების ერთობლიობა (ონტო და ფილოგენეზში).

Morula, ae, მდ. ლათ. (morum თუთის ნაყოფი) მორულა — რიგ ძუძუძუმწოვართა ჩანასახის განვითარების ადრეული სტადია, ზიგოტის დანაწევრების შედეგად წარმოქმნილი თუთის მსგავსი წარმონაქმნი, შემდგარი ბლასტომერთა კომპაქტური ჯგუფისაგან.

Multipara, ae მდ. ლათ. (multi ბევრი + parere ვბადებ) მრავალჯერ ნამშობიარებობა — მდღერი, რომელმაც მრავალჯერ იმშობიარა.

Mutatio, onis, მდ. ლათ. (ცვლილება, გარდაქმნა) მუტაცია — ორგანიზმის თვისების ან ნიშნების უეცარი ცვლადობა, რომელიც შთამომავლობას გადაეცემა.

Myel, Myelo, ბერძნ რთულ. სიტყვებში მიუთითებს ტვინზე.

Myelencephalon, i, საშ. ბერძნ. (myel + encephalon) დამატებითი ტვინი — უკანა სატვინე ბუშტუკი, მოგრძო ტვინის ნერგი.

Myelocoele, es, მდ. ბერძნ. (myelo + kele თიაქარი) მიელოცელე — ზურგის ტვინის თიაქარი, რომლის პარკი შეცვლილ ზურგის ტვინს და თავ-ზურგ ტვინის სითხეს შეიცავს.

Myeloschisis, is, მდ. ბერძნ. (myelo + schisis ნაპრალი) მიელოსქიზიზი — ზურგის ტვინის ნაპრალი, განპირობებული ნერვული ლულის ნაწილობრივი დახურვით.

Myo, ბერძნ. რთულ სიტყვებში მიუთითებს კუნთზე, კუნთოვანზე.

Myoblastus, i, მამრ. ბერძნ. (myo + blastos) მიობლასტი — მიოტომის დორსო-მედიალური ნაწილიდან განვითარებული ემბრიონული უჯრედი, რომლისგანაც კუნთოვანი უჯრედი — მიოციტი ვითარდება.

Myocardium, ii, საშ. ბერძნ. (myo + kardia გული) მიოკარდიუმი — გულის კუნთოვანი გარსი, ყალიბდება ენდოკარდული ლულის ირგვლივ მდებარე სპლანქნური მეზოდერმიდან წარმოშობილი ეპიმეოკარდიუმიდან.

Myogenesis, is, მდ. ბერძნ. (myo + genesis) მიოგენეზი — კუნთოვანი ქსოვილის განვითარების პროცესი.

Myotomus, i, მამრ. ბერძნ. (myo + tomos მონაკვეთი) მიოტომი — მეზოდერმული სომიტის შუა, დორსო-ლატერალური ნაწი-

ლი, რომლის უჯრედები მიობლასტებად დიფერენცირდებიან, განვითარების დაახლოებით მე-5-6 თვეზე. ყოველი მიოტომი იყოფა სიგრძივად ღორსაღურ ეპაქსიალურ ნაწილად (იხ. Pars epaxialis)—ეპიმერად და ვენტრო-ლატერალურ ჰიპაქსიალურ ნაწილად (იხ. Pars hypaxialis)—ჰიპომერად. ეს ორი ნაწილი ურთიერთთან დაკავშირებულია მეზენქიმური ფირფიტით, ე. წ. კუნთთაშორისი ძვლით.

N

Nanismus, i, მღ. ბერძნ. (nanos ჯუჯა) ნ ა ნ ი ზ მ ი — კლინიკური სინდრომი, ინდივიდი ხასიათდება ასაკობრივ და სქესობრივ ნორმასთან შედარებით მცირე სიმაღლით. შეიძლება იყოს თანდაყოლილი—პირველადი ან განვითარდეს დაბადების შემდეგ—ინფანტილური.

Nanus, i, მამრ. ლათ. ჯუჯა, ქონდროისკაცია — განვითარების დეფექტი. გამომწვევი მიზეზები სხვადასხვაა.

Nanus achondroplasticus ა ქონდროპლასტიკური ჯუჯა — ხასიათდება ტორსის ნორმალური სიმაღლით და მოკლე კიდურებით. მემკვიდრული დაავადება (იხ. Achondroplasia).

Nanus atelioticus პიპოფიზური ჯუჯა — ხასიათდება სხეულის პროპორციული აღნაგობით, ნორმალური ინტელექტით, წვრილი ხმით. განპირობებულია ჰიპოფიზის წინა წილის უკმარისობით. ეს დეფექტი შეიძლება შერწყმული იყოს სხვა ენდოკრინული ჯირკვლების განვითარების მოშლასთან.

Nanus athyroticus ათიროიდული ჯუჯა, კრეტინი — ხასიათდება ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების მკვეთრი ჩამორჩენით. ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის უკმარისობის შედეგი.

Nasus, i, მამრ, ლათ. ცხვირი — ვითარდება ცხვირის პლაკოდიდან (იხ. Placoda nasalis).

Necrosis, is, მღ. ბერძნ. ნეკროზი — ცოცხალი ორგანიზმის შემადგენლობაში მყოფი უჯრედების ან ქსოვილების კვდომის პროცესი.

Neo, ბერძნ. რთულ სიტყვებში მიუთითებს ახალზე ან სახეცვლილებაზე.

Neopallium, ii, საშ. ბერძნ. (neo+pallium საფარი) ნეოპალიუმ — ვითარდება პალიუმიდან, მოიცავს ნახევარსფეროების ქერქის ზედაპირს, ყნოსვითი ქერქის გარდა. ფილოგენეზურად ახალი წარმონაქმნია.

Neoplasia, ae, მდ. ბერძნ. (neo+plasis წარმოქმნა) ნე-ო პ ლ ა ზ ი ა —ახალი ქსოვილის, სიმსივნის წარმოქმნა.

Neotenia, ae, მდ. ბერძნ. (neo+teinein გაჭიმვა, დაგრძელება) ნ ე ო ტ ე ნ ი ა —გამრავლების ისეთი ფორმა, როდესაც ორგანიზმს ლარვის ან მატლის სტადიაზე აქვს გამრავლების უნარი. ასეთი გამრავლება დამახასიათებელია ზოგიერთი უმდაბლესი ცხოველისათვის.

Nephroblastoma, atis, საშ. ბერძნ. (nephros თირკმელი +blastos+oma სიმსივნე) ნ ე ფ რ ო ბ ლ ა ს ტ ო მ ა —ნეფროგენულ-მეზენქიმური ან ნეიროექტოდერმული ქსოვილისაგან განვითარებული, თირკმლის ავთვისებიანი სიმსივნე ბავშვებში.

Nephron, i, საშ. ბერძნ. (nephros თირკმელი) ნ ე ფ რ ო ნ ი —თირკმლის ფუნქციური ერთეული, ყალიბდება სპლანქნოტომის დორსალური კიდის გასწვრივ, მეტამერულ მწკრივებად განლაგებული, ყრუ გამონაზარდების სახით.

Nephrostoma, atis, საშ. ბერძნ. (nephros თირკმელი +stoma ხერელი) ნ ე ფ რ ო ს ტ ო მ ა —მოციმციმე ეპითელიუმით ამოფენილი ნეფრონის გაფართოებული ბოლო, რომლითაც იგი ცელომს უკავშირდება.

Nephrotomi, us, მამრ. ბერძნ. (nephron თირკმელი +tomos მონაკვეთი) ნ ე ფ რ ო ტ ო მ ი —სომიტებისა და ლატერალური მეზოდერმის დამაკავშირებელი მეზოდერმის სეგმენტირებული ნაწილი. თირკმლის ნერვი.

Neuro, ბერძნ. კომბინირებულ სიტყვებში აღნიშნავს ნერვს, ნერვულ ქსოვილს, ნერვულ სისტემას.

Neuroectoderma, atis, საშ. ბერძნ. (neuro+ectoderma) ნ ე ი რ ო ე ქ ტ ო დ ე რ მ ა —ექტოდერმის დორსალური ნაწილი, რომელიც დასაბამს აძლევს ნერვულ ლულას.

Neuroblastus, i, მამრ. ბერძნ. (neuro+blastos) ნ ე ი რ ო ბ ლ ა ს ტ ი —პირველადი ნერვული უჯრედი, დასაბამს იღებს ნერვული ლულის პალიური ზონიდან. თავდაპირველად გამრავლების უნარის მქონე მრგვალი ან მსხლისებური ფორმის უმორჩო უჯრედი, შეზღვევში დიფერენცირდება ნეირონად.

Neuroblastoma, atis, საშ. ბერძნ. (neuro+blastos +oma სიმსივნე) ნ ე ი რ ო ბ ლ ა ს ტ ო მ ა —უმწიფარი, არადიფერენცირებული ნერვული უჯრედებით წარმოდგენილი ავთვისებიანი სიმსივნე. იზრდება სწრაფად, მეტასტაზირებს ლიმფურ კვანძებში და დედნებში. ძირითადად გვხვდება სიმპათიკურ ნერვულ სისტემაში.

Neurocoelum, i, საშ. ბერძნ. (neuro+koelia) ნ ე ვ რ ო -

ცელი—ნერვული ლულის ღრუ, რომელიც ვიწრო მილით (იხ. *Canalis neuralis*) უკავშირდება პირველადი ნაწლავის ღრუს.

Neurocranium, ii, საშ. ბერძნ. (*neuro+kranion* ქალა) ნეიროკრანიუმ—ტვინის ქალა, ვითარდება თავის სომიტების სკელეტოგენური მეზენქიმიდან. შედგება ქონდროკრანიუმის ანუ ქალას ფუძისაგან და ბრტყელი ძვლებისაგან. პირველი განიციდის ენდოქონდრალურ, მეორე კი—მემბრანულ გაძვლებას.

Neurohypophysis, is, მდ. ბერძნ. (*neuro+hypophysis*) ნეიროჰიპოფიზი—ჰიპოფიზის უკანა, ნეიროექტოდერმული წარმოშობის წილი, დასაბამს იღებს შუამდებარე ტვინის ფუძის ძაბრი-სეული მორჩიდან.

Neuroporus, i, მამრ. ბერძნ. (*neuro+poros* ხერელი) ნეიროპორი—ხერელი, რომლის საშუალებითაც ნევროცელი გარეთ იხსნება. განარჩევენ როსტრალურ და კაუდალურ ნეიროპორს. მის შემდგომ, რაც ნერვული ლულა გამოეყოფა ექტოდერმას, ნეიროპორი იხშობა.

Neurula, ae, მდ. ბერძნ. ნეირულა—ხერხემლიან ცხოველთა ჩანასახის განვითარების გასტრულის შემდგომი სტადია, ხასიათდება ნერვული ფირფიტის ფორმირებით.

Neurulation, ae, მდ. ბერძნ. ნეირულაცია—ხერხემლიან ცხოველთა განვითარების ადრეულ სტადიაზე ნერვული სისტემის განვითარებასთან დაკავშირებული მორფოგენეზური პროცესები.

Nevus, i, მამრ. ლათ. (*naevus* ხალი) ხალი—ნეიროექტოდერმული წარმოშობის პიგმენტირებული წარმონაქმნი კანზე.

Notochorda, ae, მდ. ბერძნ. (*noton ზურგი+chorda*) ნოტოქორდა—დორსალური ქორდა, ხერხემლიანთა პროვიზორული ღერძული ორგანო. ყალიბდება განვითარების ადრეულ სტადიაზე, პირველადი ზოლიდან გამოსახლებული უჯრედების ხარჯზე წარმოქმნილი ნოტოქორდული მორჩიდან, მკვრივი კიმის სახით, ნერვული ლულის ქვეშ. შემდგომში იგი ადგილს უთმობს ხრტილოვან ან ძვლოვან ხერხემალს.

Nodus primitivus პირველადი კვანძი—პირველადი ზოლის წინა ბოლოზე განლაგებულ უჯრედთა გროვა.

Notomelia, us, მდ. ბერძნ. (*noton ზურგი+melos კიდური*) ნოტომელია—მდგომარეობა, რომლის დროსაც კიდურები ინდივიდს უვითარდება ზურგზე. განვითარების ანომალია.

Nucleus, i, მამრ. ლათ. ბირთვი.

Nucleus fissionis დაყოფის ბირთვი—კვე-

რცხუჯრედში მდებრობითი და მამრობითი პრონუკლეუსების შერწყმის შემდეგ ჩამოყალიბებული ბირთვი.

Nucleus pulposus რ ბ ი ლ ი ბ ი რ თ ვ ი—მაღლაშორისი დისკოს ცენტრალური რბილი ნაწილი. ნოტოქორდის ნარჩენი.

Nucleus zygotae ზ ი გ ო ტ ი ს ბ ი რ თ ვ ი—განაყოფიერებული კვერცხუჯრედის ბირთვი, ქრომოსომათა დიპლოიდური კომპლექტით.

Nullipara, ae, მდ. ლათ. (*nullus* არავითარი + *parare* ვბადებ) ნ უ ლ ი პ ა რ ა—მდედრი, რომელსაც არ უმშობიარია.

0

Obliteratio, onis, მდ. ლათ. (*obliterare* წაშლა, შეზრდა) ო ბ ლ ი ტ ე რ ა ც ი ა—ორგანოს ღრუს, არხის, სადინარის, სისხლის ან ლიმფური ძარღვის სანათურის შეზრდა.

Oculus, i, მამრ. ლათ. თ ვ ა ლ ი—ვითარდება სხედასხვაქსოვილური წყაროებიდან. მისი პირველი ნერგი ჩნდება ემბრიონული განვითარების ადრეულ სტადიაზე, წინა სატვინე ბუშტუკის მიდამოში ე. წ. მხედველობის ველის (იხ. *Area optica*) სახით.

Odontoblastus, i, მამრ. ბერძნ. (*odontos* კბილი + *blastos*) ო დ ო ნ ტ ო ბ ლ ა ს ტ ი—კბილის პულპის პერიფერიაზე განლაგებული მეზენქიმური წარმოშობის ცილინდრული ფორმის უჯრედი, დასაბამს აძლევს კბილის დენტინს.

Oligohydramnion, i, საშ. ბერძნ. (*oligos* მცირერიცხოვანი + *hydro* + *amnion*) ო ლ ი გ ო ჰ ი დ რ ა მ ნ ი ო ნ ი—ამნიონი, რომელიც მცირე რაოდენობით შეიცავს ნაყოფის ახლო წყლებს.

Omphalocele, is, მდ. ბერძნ. (*omphalos* ჭიბის თიაქარი) ო მ ფ ა ლ ო ც ე ლ ე—ჭიბის თიაქარი (იხ. *Hernia umbilicalis*).

Ontogenesis, is, მდ. ბერძნ. (*ontos* არსება + *genesis*) ო ნ ტ ო გ ე ნ ე ზ ი—ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარება ჩასახვიდან სიკვდილამდე. მოიცავს რიგ მორფოლოგიურ, ფიზიოლოგიურ და ბიოქიმიურ გარდაქმნათა ერთობლიობას.

Onychodystrophia, ae, მდ. ბერძნ. (*onyx* ფრჩხილი + *dys* + *trophia*) ო ნ ი ქ ო დ ი ს ტ რ ო ფ ი ა—ფრჩხილის რაიმე დისტროფია. ზოგიერთი დაავადების სიმპტომი.

Oocytus, i, მამრ. ბერძნ. (*oon* კვერცხი + *kytos* უჯრედი) ო ო ც ი ტ ი—მოუმწიფებელი მდედრობითი სასქესო უჯრედი. კვერცხუჯრედი ზრდის ფაზაში.

Oocytus primarius პირველადი ოოციტი—
ყალიბდება ოოგონიუმიდან, უშუალოდ პირველი მეიოზური გაყოფის
წინ, შეიცავს ქრომოსომთა დიპლოიდურ რიცხვს.

Oocytus secundarius მეორადი ოოციტი—
ყალიბდება პირველადი ოოციტის გაყოფის შედეგად, შეიცავს ქრომო-
სომთა ჰაპლოიდურ რიცხვს.

Oogenesis, *i*, მდ. ბერძნ. (*oon* კვერცხი + *genesis*) ოოგე-
ნეზი—მდედრობითი სასქესო უჯრედის—კვერცხუჯრედის განვითარე-
ბა ოოგონიუმიდან—კვერცხუჯრედამდე.

Oogonium, *ii*, საშ. ბერძნ. (*oon* კვერცხი + *gonos* შთამომავ-
ლობა) ოოგონია—პირველადი სასქესო უჯრედი, ქრომოსომთა
დიპლოიდური კომპლექტი. საბოლოოდ მისგან კვერცხუჯრედი ვი-
თარდება.

Oolemma, *atis*, საშ. ბერძნ. (*oon* კვერცხი + *lemma* ნა-
ქუჭი) ოოლემა—ადამიანის და ძუძუმწოვრების კვერცხუჯრედის მე-
ორადი გამჭვირვალე გარსი (იხ. *Zona pellucida*). საკვერცხის ფოლი-
კულური უჯრედების ცხოველმოქმედების პროდუქტი.

Ooplasm, *atis*, საშ. ბერძნ. (*oon* კვერცხი + *plasma*)
ოოპლაზმა—კვერცხუჯრედის ციტოპლაზმა, რომლის ცენტრში
ძირითადად კონცენტრირებულია ყვითრი.

Ootidium, *i*, საშ. ბერძნ. (კინნ. *oon* კვერცხი) ოოტიდი-
უმი—კვერცხუჯრედი, ორი მეიოზური გაყოფის შემდეგ მიღებული
უჯრედი, ქრომოსომთა ჰაპლოიდური რიცხვით.

Opticoelia, *ae*, მდ. ბერძნ. (კინნ. *opticos* მხედველობა +
koelia ღრუ) მხედველობის ღრუ—დასაბამს იღებს მხედვე-
ლობის ბუშტუკის პირველადი ღრუდან. მხედველობის თასის კედლების
შერწყმის შემდეგ სავსებით ქრება.

Organogenesis, *is*, მდ. ბერძნ. (*organon* ორგანო + *ge-
nesis*) ორგანოგენეზი—ორგანოთა წარმოშობისა და განვითარე-
ბის პროცესი.

Organum, *i*, საშ. ბერძნ. (*organon* ორგანო, იარაღი) ორ-
განო—საერთო ფუნქციის, სტრუქტურული ორგანიზაციის და განვი-
თარების მქონე ევოლუციურად ჩამოყალიბებულ ქსოვილთა კომპლექსი.

Organum adamantinum მინანქრის ორგა-
ნი—საკბილე ფირფიტიდან განვითარებული ფიალის ფორმის გამონა-
ზარდები, რომელთა შიგა ზედაპირი დაფარულია ამელობლასტებით, გა-
რეთა კი—მინანქრის გარეთა ეპითელიუმით, მათ შორის მინანქრის
რეტეკულუმი. კბილის ეპითელიური ნერგი.

Organum spirale სპირალური ორგანო — ზგერითი გაღიზიანების აღმქმელი ორგანო, ვითარდება ემბრიონული განვითარების დაახლოებით მე-3 თვეს ლოკოციონის სადინარის ფუძეზე ეპითელიური შემსხვილებების სახით.

Os, Ossis, საშ. ბერძნ. (*osteon*) ძვალ — ჩონჩხის ნაწილი, ორგანო, შედგება ძირითადად მეზენქიმური წარმოშობის ძვლოვანი, ხრტილოვანი და საკუთრივ შემაერთებული ქსოვილისაგან.

Osteoblastus, *i*, მამრ. ბერძნ. (*osteon+blastos*) ოსტეობლასტი — მეზენქიმური წარმოშობის ძვლოვანი უჯრედი. ოსტეოციტის წინამორბედი.

Osteoclastus, *i*, მამრ. ბერძნ. (*osteon+klastos* გახლეჩილი) ოსტეოკლასტი — ძვლოვანი ქსოვილის მრავალბირთვიანი გიგანტური უჯრედი. ძვლის განვითარების პროცესში განაპირობებს ძვლოვანი ქსოვილის უჯრედთაშორისი ნივთიერების და გაკირული ხრტილის რეზორბციას.

Osteocranium, *ii*, საშ. ბერძნ. (*osteon+kranion* ქალა) ოსტეოკრანიუმი — ქონდროკრანიუმისაგან განვითარებული ძვლოვანი ქალა.

Osteocytus, *i*, მამრ. ბერძნ. (*osteon+kytos* უჯრედი) ოსტეოციტი — ოსტეობლასტიდან დიფერენცირებული მორჩებიანი ძვლოვანი უჯრედი. მონაწილეობს ძვლოვანი ქსოვილის უჯრედთაშორისი ნივთიერების წარმოქმნაში.

Osteogenesis, *is*, მდ. ბერძნ. (*osteon+genesis*) ოსტეოგენეზი — ძვლოვანი ქსოვილის განვითარების პროცესი.

Osteogenesis imperfecta არასრული ოსტეოგენეზი — ძვლის ფორმირებისა და კალციფიკაციის დეფექტი. მემკვიდრული დაავადება. ხასიათდება ძვლების განსაკუთრებული სიმუყფით, რაც თავის მხრივ განაპირობებს მრავლობით მოტეხილობებს. ზოგჯერ შეიძლება თან ახლდეს სკლერის სილურჯე. დაავადება შეიძლება გამოემყლავნდეს დაბადებამდე (ე. წ. პრენატალური ტიპი) ან დაბადების შემდეგ (პოსტნატალური ტიპი).

Ostium, *ii*, საშ. ლათ. ხვრელი.

Ostium bulboventriculare ბოლქვ-პარკუჭის ხვრელი — ხვრელი, რომელიც აკავშირებს ჩანასახის ლულოვანი გულის ღრუს აორტის ბოლქვის ღრუსთან.

Ostium urogenitale შარდ-სასქესო ხვრელი — ყალიბდება კლოაკის ვენტრალურ მიდამოში. კერძოდ, შარდსასქესო მემბრანაში, იხსნება შარდსასქესო სინუსში. მისი განვითარება დაკავშირებულია კლოაკაში უროგენიტალური ნაოქის გაჩენასთან.

Otocephalia, ae, მდ. ბერძნ. (otus ყური + kephale-თავი) ო ტ ო ც ე ფ ა ლ ი ა — განვითარების ანომალია. ინდივიდი ხასიათდება ქვედაყბის უქონლობით, შეერთებული ან ძალზე ახლო მდებარე ყურებით და ცუდად განვითარებული პირის ნაპრალობით.

Otocystis, a, მდ. ბერძნ. (otus ყური + kystos) ო ტ ო ც ი ს ბ უ შ ტ უ კ — ყალიბდება ყურის პლაკოდის საბოლოო ინვაგინაციის შედეგად. წარმოადგენს შიგნითა ყურის ანუ აკოვანი ლაბირინთის ნერგს.

Ovarium, ii, საშ. ლათ. ს ა კ ვ ე რ ც ხ ე — ქალის სასქესო ჯირკვლი, დასაბამს იღებს ინდიფერენტული სასქესო გონადიდან (იხ. Gonada).

Oviparitia, ae, მდ. ლათ. (ovum + parere ვბადებ) ო ვ ი პ ა რ ი ც ი ა — კვერცხის დება. შთამომავლობის მოცემა კვერცხის დებით.

Ovipositio, onis, მდ. ლათ. (ovum + positio დება) ო ვ ი პ ო ს ი ც ი ო — მდებარეობითი სქესის ინდივიდებში კვერცხის დების აქტი.

Ovotestis, is, მამრ. ლათ. (ovum + testis) ო ვ ო ტ ე ს ტ ი ს — ჰერმაფროდიტული გონადა, რომელიც შეიცავს ორივე სასქესო ჯირკვლის ქსოვილურ კომპონენტებს, ჰარბობს საკვერცხისა.

Ovoviviparitia, ae, მდ. ლათ. (ovum + vivo ცოცხალი + parere ვბადებ) ო ვ ვ ი ვ ი პ ა რ ი ც ხ ე ო ც ხ ა ლ შ ო ბ ა — შთამომავლობის მიღება, როდესაც ნაშიერის გამოჩეკვა კვერცხიდან დედისავე ორგანიზმში ხდება.

Ovulatio, onis, მდ. ლათ. (ovum) ო ვ უ ლ ა ც ი ა — მომწიფებული კვერცხუჯრედის განთავისუფლება საკვერცხის ფოლიკულიდან. საკვერცხის ციკლის ეტაპი. ადამიანსა და პრიმატებში იწყება სქესობრივი მომწიფებიდან და გრძელდება მენოპაუზამდე. წყდება ორსულობის, ლაქტაციის და ზოგიერთი პათოლოგიური მდგომარეობის დროს.

Ovulatio inducta ო ნ დ უ ც ი რ ე ბ უ ლ ი, გ ა მ ო წ ვ ე უ ლ ი ო ვ უ ლ ა ც ი ა — დაკავშირებულია უშუალოდ ესტრუსთან. ახასიათებს ზოგიერთ ძუძუმწოვრებს.

Ovulatio multiovulatoria ო ვ უ ლ ა ც ი ა — ერთდროულად ერთი ან ორივე საკვერცხის რამდენიმე ფოლიკულიდან მრავალი კვერცხუჯრედის განთავისუფლება. ახასიათებს ძუძუმწოვართა უმრავლესობას.

Ovulatio sua sponte ო ვ უ ლ ა ც ი ა — ოვულაცია, რომელიც არ არის დაკავ-

შირებული კოპულაციის პროცესთან. ახასიათებს ადამიანს და რიგ ძუძუმწოვრებს.

Ovulatio uniovulatoria ერთკვერცხიან ოვულაცია—პერიოდულად თითო კვერცხის განთავისუფლება საკვერცხის ერთი მომწიფებული ფოლიკულიდან. ახასიათებს ადამიანს, ყველა პრიმატებს და ზოგიერთ ჩლიქოსნებს.

Ovum, i, საშ. ლათ. კვერცხი, კვერცხუჯრედო—მდედრობითი სასქესო უჯრედი, ვითარდება საკვერცხეებში (იხ. Oogenesis) შეიცავს ქრომოსომათა ჰაპლოიდურ რიცხვს. გარედან დაფარულია დამცველი გარსებით. ყვითრის შემცველობისა და მისი ოოპლაზმაში განაწილების მიხედვით განარჩევენ კვერცხის რამდენიმე ფორმას.

Ovum centrolecithale ცენტროლეციტალური კვერცხი—ხასიათდება ყვითრის დიდი რაოდენობით და მისი ცენტრალური განლაგებით ოოპლაზმაში. ასეთი კვერცხი გააჩნიათ ძირითადად მწერებს.

Ovum mesolecithale მეზოლეციტალური კვერცხი—ხასიათდება ყვითრის საშუალო რაოდენობით. ასეთი კვერცხი გააჩნიათ ამფიბიებს და ზოგიერთ თევზებს.

Ovum oligolecithale ოლიგოლეციტალური კვერცხი—ხასიათდება ყვითრის მცირე შემცველობით და თანაბარი განაწილებით ოოპლაზმაში. ასეთი ტიპის კვერცხი ახასიათებს ყველა ცოცხლად მშობიარე ძუძუმწოვარს.

Ovum telolecithale ტელოლეციტალური კვერცხი—ხასიათდება ყვითრის დიდი რაოდენობის შემცველობით და მისი არათანაბარი განაწილებით ოოპლაზმაში. ძირითადად ყვითრი კონცენტრირებულია ვეგეტაციურ პოლუსზე. ასეთი კვერცხი გააჩნიათ რეპტილებს და ფრინველებს.

Oxycephalia, ae, მდ. ბერძნ. (oxys წვეტიანი + kephale თავი) ოქსიციფალია—კოშკისებრი ქალა. მდგომარეობა, როდესაც თავს აქვს კონუსისებრი ფორმა, გამოწვეული გვირგვინოვანი ან ლამბდისებრი ნაკერის ადრეული დაზოობით. განვითარების დეფექტი.

P

Pachynema, atis, საშ. ბერძნ. (pachys სხეული + nema ძაფი) პაკინემა—პირველი მეთოზური გაყოფის პროფაზის მე-3 სტადია ხასიათდება ჰომოლოგიურ ქრომოსომათა სრული კონიუგაციით, მათი დამოკლებით და გამსხვილებით. თითოეული ბივალენტი შედგება ორი ჰომოლოგიური ქრომოსომისაგან. შემდგომი სტადია დიპლონემაა.

Paleopallium, ii, საშ. ბერძნ. (palaios ძველი + pallium) პალეოპალიუმო—ვითარდება პალიუმიდან. ძუძუმწოვ-

რებში ნეოპალიუმის მძლავრი განვითარების გამო იგი მოექცევა ნახევარსფეროების მელიალურ ზედაპირზე, სადაც მთელ თავის სიგრძეზე ჩაჯცილია ე. წ. პიპოკამპის ლარად.

Pallium, ii, საშ. ლათ. (საფარი) პ ა ლ ი უ მ — დიდი ტვინის ქერქი, ყალიბდება ბოლო ტვინის გვერდითი ბუშტუკების გარეთა კედლიდან.

Palpebra, ae, მდ. ლათ. ქ უ თ უ თ ო — თვალის დამატებითი ორგანო, წარმოიქმნება ემბრიონული განვითარების დაახლოებით მე-7 კვირას რქოვანას წინ მდებარე კანის მიდამოში, წყვილი ნაოჭის სახით.

Pancreas, atis, საშ. ბერძნ. (pan ყველაფერი + creas ხორცი) პ ა ნ კ რ ე ა ს ი — ყალიბდება ორი ურთიერთდამოუკიდებელი ნერგიდან, რომლებიც განვითარების მოგვიანებით სტადიაზე ერწყმიან ურთიერთს. ე. წ. დორსალური პანკრეასის ნერგი ყალიბდება თორმეტგოჯა ნაწლავის დორსალური კედლის ენდოდერმიდან. ვენტრალური კი ღვიძლის დივერტიკულის ენდოდერმიდან.

Papilla, ae, მდ. ლათ. დ ვ რ ი ლ ი — დვრილისმაგვარი შემაღლება.

Papilla dentalis კ ბ ი ლ ის დ ვ რ ი ლ ი — ნერვული ქელიდან განვითარებული მეზენქიმურ უჯრედთა მასა მინანქრის ორგანოს შიგნით. კბილის პულპის ნერგი.

Papilla pili თ მ ის დ ვ რ ი ლ ი — ვითარდება მეზენქიმულიდან, თმის ბოლქვის ქვედა ბოლოს ჩაღრმავებაში.

Para, Par, ბერძნ. რთულ სიტყვებში აღნიშნავს: მასთან, ახლოს, გადახრას ნორმიდან, შეცვლას, გარდაქმნას.

Parachordalia, ae, მდ. ბერძნ. (para+chorda) პ ა რ ა ქ ო რ დ ა ლ ი ა — თანაქორდული ანუ პარაქორდული ხრტილების ნერგები, ყალიბდება მოგრძო ტვინის ფუძესთან, ქორდის წინა ბოლოს ორივე მხარეს, მეზენქიმის ორი ზოლის სახით. შემდგომში მათგან ქალას ფუძის ფირფიტა ყალიბდება.

Paradidymis, idis, მდ. ბერძნ. (para+didymos სათესლე) პ ა რ ა დ ი დ ი მ ის ი — სათესლის დანართის დანამატი, ვითარდება მეზონფეროსის სადინარიდან გამოცალკევებულე პარაგენიტალური მილაკებიდან.

Parasitus, i, მამრ. ბერძნ. (para+situs საყვები) პ ა რ ა ს ი ტ ი — ორგანიზმი, რომელიც ცხოვრობს მეორე ორგანიზმის — პატრონის ხარჯზე, ან სხეულის შიგნით (ენდოპარაზიტი) ან გარეთ სხეულზე (ექტოპარაზიტი). ტერატოლოგიაში ტყუპის ცალი, მახინჯი ნაყოფი, რომელიც მიმაგრებულია მეორე ნაყოფის სხეულზე.

Paroophoron, i, მამრ. ბერძნ. (para+oiphoron საკვერცხე) პ ა რ ო ო ფ ო რ ო ნ —საკვერცხის გვერდითი დანამატი. მეზონეფროსის სადინარიდან გამორცალკეებული პარაგენიტალური მილაკების კუდღალური ჯგუფის ნარჩენი, ლოკალიზებული საშვილოსნოს ფართო იოგში ან მის ახლოს; მამაკაცის პარადიდიმისის ჰომოლოგი. მოზრდილებში ჩვეულებრივ ქრება.

Pars, tis, მდ. ლათ. ნ ა წ ი ლ ი.

Pars ceca retinae ბ ა დ უ რ ი ს ბ რ მ ა ნ ა წ ი ლ ი —მხედველობის თასის შიგა ფირფიტის წინა ნაწილი, დასაბამს აძლევს ბადურის ფერად და წამწამოვან ნაწილებს.

Pars ciliaris retinae ბ ა დ უ რ ი ს წ ა მ წ ა მ ო ვ ა ნ ი ნ ა წ ი ლ ი —ვითარდება მხედველობის თასის შიგა ფირფიტის ბრმა ნაწილიდან.

Pars epaxialis myotomi მ ი ო ტ ო მ ი ს ე პ ა ქ ს ი ა ლ უ რ ი ნ ა წ ი ლ ი —ეპიმერი. კისრის, გულმკერდის, გავის და კუდღუსუნის მიოტომების დორსალური—ეპაქსიალური ნაწილები, დასაბამს აძლევენ ხერხემლის სვეტის გამზიდავ, მოკლე, ირიბ, სალმუნის, გულმკერდის უგრძესს, თეძო-ნეკნების და კისრის უკანა ზედაპირის გამშლელ კუნთებს.

Pars hypaxialis myotomi მ ი ო ტ ო მ ი ს ჰ ი პ ა ქ ს ი ა ლ უ რ ი ნ ა წ ი ლ ი —ჰიპომერი. კისრის, გულმკერდის, წელის, გავის და კუდღუსუნის მიოტომების ვენტრალური—ჰიპაქსიალური ნაწილი, დასაბამს აძლევს მუცლის განივ და ირიბ, წელის კვადრატულ, კუდღუსუნის, ყითას ამწვევ, კიბისებრ და თავის გრძელ კუნთებს.

Pars fetalis placentae პ ლ ა ც ე ნ ტ ი ს ნ ა ყ ო ფ ი ს ნ ა წ ი ლ ი —პლაცენტის ის ნაწილი, რომელიც შექმნილია ბაზალური ფირფიტიდან და ქორიონის ხაოებიდან, მასში ჩაზრდილი ნაყოფის სისხლძარღვებთან ერთად.

Pars iridica retinae ბ ა დ უ რ ი ს ფ ე რ ა დ ი გ ა რ ს ი ს ნ ა წ ი ლ ი —დასაბამს იღებს მხედველობის თასის შიგა ფირფიტის ბრმა ნაწილიდან. თვით მონაწილეობს ფერადი გარსის შიგნითა შრის განვითარებაში.

Pars materna placentae პ ლ ა ც ე ნ ტ ი ს დ ე დ ი ს ე უ ლ ი ნ ა წ ი ლ ი —პლაცენტის ის ნაწილი, რომელიც მოიცავს ენდომეტრიუმს სისხლძარღვებთან ერთად.

Pars optica retinae ბ ა დ უ რ ი ს მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი —მხედველობის თასის შიგნითა ფირფიტის უკანა უმეტესი ნაწილი. კერძოდ, მონაკვეთი ბრმა ხალიდან დაკბილულ ნაპირამდე; სპეციალიზირებული ფოტორეცეპტორად.

Parthenogenesis, is, მდ. ბერძნ. (parthenos ქალწული + genesis) პ ა რ თ ე ნ ო გ ე ნ ე ზ ი — ქალწულებრივი გამრავლება, სქესობრივი გამრავლების ისეთი ფორმა, როდესაც ჩანასახი ვითარდება გაუნაყოფიერებელი კვერცხიდან. ასეთი გამრავლება ახასიათებთ ფუტკრებს, ბუგრებს და ზოგიერთ კიბოსნაირებს.

Parthenogenesis artificiosa ხელოვნური პ ა რ თ ე ნ ო გ ე ნ ე ზ ი — ჩანასახის განვითარება კვერცხუჯრედის ხელოვნური გამლიზიანებლით (ტემპერატურა, ქიმიური, მექანიკური) სტიმულირების შედეგად. ხელოვნურ პართენოგენეზს ზოგჯერ ძუძუ-მწოვრებშიც მიმართავენ, პართენოგენეზის გზით მიღებული ინდივიდები ძირითადად მდელრობითი სქესისაა.

Parthenogenesis facultativa ფაკულტატური პ ა რ თ ე ნ ო გ ე ნ ე ზ ი — პართენოგენეზის სახე, როდესაც კვერცხი შეიძლება ან განაყოფიერდეს ან განვითარდეს განაყოფიერების გარეშე — პართენოგენეზურად. დამახასიათებელია ფუტკრებისათვის.

Parturitio, onis, მდ. ლათ. (parturire მშობიარე ვარ) მ შ ო ბ ი ა რ ო ბ ა — შობის აქტი, ნაყოფის შობის პროცესი.

Pedogenesis, is, მდ. ბერძნ. (pais ბავშვი + genesis) პ ე დ ო გ ე ნ ე ზ ი — პართენოგენეზის სახე, როდესაც გაუნაყოფიერებელი კვერცხუჯრედები მატლის სხეულში ვითარდებიან.

Penetratio spermii სპერმიუმის პენეტრაცია — კვერცხუჯრედში სპერმატოზოიდის შეღწევის აქტი. კვერცხუჯრედის გარსზე პენეტრაციის ადგილას ჩნდება ციტოპლაზმის გამობერილობა — განაყოფიერების კონუსი.

Peri, ბერძნ. რთულ სიტყვებში აღნიშნავს: ახლოს, ირგვლივ; ყოველი მხრიდან.

Periderma, atis, საშ. ბერძნ. (peri + derma) პ ე რ ი დ ე რ მ ა — ემბრიონული ეპიდერმისის დროებითი ზედაპირული შრე, წარმოდგენილი ბრტყელი უჯრედების ერთი შრით. განვითარების მოგვიანებით სტადიაზე ჩამოიფეკტენება ემბრიონის ნაზ ღინღლთან ერთად და ერევა კაზეოზურ საცხს. რიგი ავტორებისა პერიდერმას ეპიდერმისის ეპიტრიქიალურ შრესაც უწოდებს.

Phalus, i, მამრ. ბერძნ. (phallos მამაკაცის ასო) ფ ა ლ უ ს ი — სასქესო ბორცვიდან განვითარებული ინდიფერენტული ემბრიონული სტრუქტურა, რომელიც შემდგომში დიფერენცირდება მამრებში ასოდ, მდელრებში კი სავნებოდ.

Pharinx, gis, მამრ. ბერძნ. ხ ა ხ ა — ვითარდება პირველადი ენდოდერმული ნაწლავის იმ მონაკვეთიდან, რომელიც უშუალოდ

პირ-ხახის მემბრანის უკან მდებარეობს. პირველადი ხახა დორსო-ვენტრალური მიმართულებით შევიწროებულია, ლატერალურად კი ძალზედ გაფართოებული. ხახის ორივე მხარეს ყალობდება ოთხ-ოთხი ხახის ჯიბე, რომლებიც შეესატყვისებიან გარეთა სალაცუჩე ღარებს.

Phasis, is, მდ. ბერძნ. ფ ა ზ ა—რაიმე მოვლენის ან მოძრაობის განსაზღვრული შუალედი, განვითარების ხარისხი.

Phasis colostralis ხ ს ე ნ ი ს ფ ა ზ ა—ლაქტაციის პერიოდის პირველი ფაზა, როდესაც მშობიარობიდან პირველ 2—3 დღეს სარძევე ჯირკვლებში გამომუშავდება ცილებით მდიდარი მოყვითალო ფერის სითხე—ხსენი (იხ. *Colostrum*).

Phasis follicularis ფ ო ლ ი კ უ ლ უ რ ი ფ ა ზ ა—მენსტრუალური ციკლის ფაზა, დაკავშირებული საკვერცხის ციკლთან, გრძელდება ოვულაციამდე. ამ პერიოდში ადგილი აქვს ესტროგენების დაგროვებას, რაც თავის მხრივ, განაპირობებს პროლიფერაციულ პროცესებს ენდომეტრიუმში.

Phasis implantationalis ი მ პ ლ ა ნ ტ ა ც ი ი ს ფ ა ზ ა—ორსულობის ციკლის პრეიმპლანტაციის შემდგომი ფაზა, როდესაც ხდება ბლასტოციტის ჩანერგვა ენდომეტრიუმში.

Phasis involutionis cyclus mammarius ს ა რ ძ ე ვ ე ჯ ი რ კ ვ ლ ი ს ც ი კ ლ ი ს ი ნ ვ ო ლ უ ც ი ი ს ფ ა ზ ა—ლაქტაციის შემდეგ სარძევე ჯირკვალში მიმდინარე უკუგანვითარებადი პროცესების პერიოდი, რის შემდეგ იგი ორსულობამდელ მდგომარეობას უბრუნდება.

Phasis ischemica ი შ ე მ ი ი ს ფ ა ზ ა—მენსტრუალური ციკლის ფაზა, იწყება მენსტრუაციამდე რამოდენიმე საათით ადრე. გამოიხატება ენდომეტრიუმის სპირალური არტერიების თანდათანობით შევიწროებაში. რასაც თან ახლავს ამავე მიდამოებში ლორწოვანი გარსის ჩამოფცქვნა—დესკვამაცია.

Phasis lactiva რ ძ ი ს ფ ა ზ ა—სარძევე ჯირკვლებში ნამდვილი რძის სეკრეციის პერიოდი, თან მოსდევს ხსენის ფაზას. იწყება მშობიარობიდან დაახლოებით 3 დღის შემდეგ.

Phasis lutealis ყ ვ ი თ ე ლ ი ს ხ ე უ ლ ი ს ფ ა ზ ა—მენსტრუალური ციკლის ფაზა, ხასიათდება საკვერცხის ყვითელი სხეულის ჰორმონის — პროგესტერონის, მასტიმულირებელი მოქმედებით, რაც განაპირობებს ენდომეტრიუმის გასქელებას, მისი ჯირკვლების გაძლიერებულ სეკრეციას და სისხლსავესებობას.

Phasis menstrualis მ ე ნ ს ტ რ უ ა ლ უ რ ი ფ ა ზ ა—მენსტრუალური ციკლის ფაზა, როდესაც ადგილი აქვს მენსტრუაციას.

Phasis placentalis პლაცენტის ფაზა—ორსულობის ციკლის პერიოდი, როდესაც ხდება პლაცენტის ფორმირება.

Phasis postmenstrualis პოსტმენსტრუალური ფაზა—მთავრდება მენსტრუალური ციკლის მე-5 დღეს. ამ ფაზაში ძირითადად ხდება მენსტრუაციის პროცესში საშვილოსნოს ჩამოფეკნილი ეპითელიუმის აღდგენა. იგი უშუალოდ გრძელდება მომდევნო მენსტრუალური ციკლის პროლიფერაციის ფაზაში.

Phasis preimplantationalis პრეიმპლანტაციის ფაზა—ორსულობის ციკლის საშვილოსნოსეული პერიოდის ფაზა. ბლასტოციტის საშვილოსნოს ღრუში მოხვედრიდან მის იმპლანტაციამდე. ფაზის ხანგრძლივობა ადამიანში ორი-სამი დღეა.

Phasis premenstrualis პრემენსტრუალური ფაზა—იწყება მენსტრუალური ციკლის მე-14—16 დღიდან, გრძელდება 28-დღემდე. ამ ფაზაში საშვილოსნოს ლორწოვანი გარსი მზადაა განაყოფიერებული კვერცხის მისაღებად.

Phasis proliferativa cyclus mammarius სარძევე ჯირკვლის ციკლის პროლიფერაციის ფაზა—სარძევე ჯირკვლებში ლაქტაციის პროცესისათვის მოსამზადებელი პროლიფერაციული ცვლილებების ფაზა, როდესაც ხდება სადინარების სწრაფი ზრდა, მათი სანათურის გაფართოება, მრავალრიცხოვანი სეკრეტორული ბუშტუკების წარმოქმნა და, სათანადოდ, წილაკთშორისი შემაერთებელი ქსოვილის შემცირება.

Phasis proliferativa cyclus menstrualis მენსტრუალური ციკლის პროლიფერაციის ფაზა—იწყება მენსტრუალური ციკლის მე-6 დღიდან. გრძელდება დაახლოებით მე-14—16 დღემდე. ამ პერიოდში მიმდინარეობს საშვილოსნოს ლორწოვანი გარსის ფუნქციური ნაწილის აღდგენა და შესაბამისად, საკვერცხეში ფოლიკულური ფაზისათვის დამახასიათებელი ცვლილებები. პროლიფერაციის ფაზის დასასრულს იწყება ოვულაცია და საკვერცხეში ყალიბდება მენსტრუაციის ყვითელი სხეული.

Phocomelia, ae, მდ. ბერძნ. (phoco სელაპი+ melos კიდური) ფოკომელია—განვითარების მანკი, რომლის დროს არ არსებობს მხარი და წინამხარი, ან მენჯი და კანკი, ხელის მტევანი იწყება უშუალოდ მხრის, ტერფი კი—მენჯის სარტყელიდან.

Phylembryogenesis, is, ბერძნ. (phyle ტომი+embryo+genesis) ფილემბრიოგენეზი—ემბრიონული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მომხდარი ცვლილებები, რომლებიც აისახებიან მოზრდილი ადამიანის ორგანიზმში, განაპირობებენ ევოლუციურ ცვლილებებს და აქვთ ფილოგენეზური მნიშვნელობა.

Phylogenesis, is, მდ. ბერძნ. (phyle ტომი+genesis) ფილოგენეზი — სახეობის ისტორიული განვითარების პროცესი.

Pia mater craniospinalis კრანოსპინალური რბილი გარსი — მეზენქიმურ-ექტოდერმული ნაზო-ქოვანი შრე, დასაბამს იღებს ენდომენინქსიდან (იხ. Endomeninx) მჭიდროდ ეკვრის თავის და ზურგის ტვინის გარე ზედაპირს და მდიდარია სისხლძარღვებით.

Pilus, i, მამრ. ლათ. თმა — კანის წარმონაქმნი. მისი პირველი ნერვია თმოვანი ფოლიკული, განვითარებული ეპიდერმისის ჩანასახოვანი შრიდან.

Placenta, ae, მდ. ლათ. (ბერძნ. plakus ნამცხვარი) პლაცენტა ანუ მომყოლი — ორგანო, რომელიც ვითარდება ორსულობის პერიოდში ქორიონიდან და საშვილოსნოს ბაზალური მოსაგარდნი გარსიდან. მისი საშუალებით ხორციელდება ნივთიერებათა ცვლა დედის ორგანიზმსა და ჩანასახს შორის.

Placenta accessoria დამატებითი პლაცენტა — განვითარების მანკი, როდესაც მთავარ პლაცენტასთან ერთად ვითარდება, მასთან სისხლძარღვებით დაკავშირებულია ერთი ან რამდენიმე პლაცენტა.

Placenta accreta შეზრდილი პლაცენტა — პლაცენტის შეზრდის ისეთი ფორმა, როდესაც ქორიონის ზოგები ჩაზრდილია მიომეტრიუმში, მისი სტრუქტურის დაზიანების გარეშე. მშობიარობის დროს ასეთი პლაცენტის ნორმალური მოვარდნა შეუძლებელია.

Placenta bidiscoidea ორდისკოიანი პლაცენტა — დისკოიდური პლაცენტის ერთ-ერთი სახე, როდესაც ქორიონის ზოგები საშვილოსნოს ზედაპირზე განლაგებულია ორ ურთიერთდამოუკიდებელ უბანზე. ასეთი პლაცენტა გააჩნიათ მაიმუნებს.

Placenta biloba ორწილიანი პლაცენტა — პლაცენტის აგებულების ანომალია, როდესაც იგი შედგება ორი, ურთიერთისაგან მემბრანებით გამოყოფილი წილისაგან. მათი სისხლის ძარღვები ერთდებიან უშუალოდ ქიპის ბაგირაკში შესვლის წინ.

Placenta bipartita ორნაწილიანი პლაცენტა — ორი მცირე ზომის ურთიერთდამოუკიდებელი ნაწილისაგან შემდგარი პლაცენტა. აგებულების დეფექტი.

Placenta chorionallantoica ქორიონალანტოისური პლაცენტა — პლაცენტის ისეთი ტიპი, როდესაც კავშირი ნაყოფსა და დედის ორგანიზმს შორის ხორციელდება ალანტოისის სისხლძარღვების საშუალებით.

Placenta choriovitelina ქორიონ-ყვით-
რის პლაცენტა—ჩანთოსან ძუძუმწოვართა პლაცენტის სახეობა,
როდესაც კაეშირი ხორციელდება საშვილოსნოს კედელსა და ქორი-
ონის იმ ნაწილს შორის, რომელიც დაფარულია ყვითრის პარკის სისხლ-
ძარღვოვანი ბალით.

Placenta circumvallata შემოსაზღვრუ-
ლი (მორგვით) პლაცენტა—შესქელებული კილით შემოსაზღვ-
რული პლაცენტა.

Placenta desmochorialis დესმოქორი-
ული პლაცენტა—ასეთი ტიპის პლაცენტის ქორიონის თავისუ-
ფალ ზედაპირზე ხაოები წარმოიქმნება განსაზღვრულ მიდამოებში, ცალ-
კეული კოტილედონების სახით. კონტაქტი პლაცენტასა და ნაყოფს შო-
რის სწორედ ამ მიდამოებში მყარდება. კონტაქტის ადგილას ირღვევა
პლაცენტის ეპითელიუმში და წარმოიქმნება ღრუები ე. წ. კარუნკუ-
ლები. ყოველი ასეთი კარუნკულა მასში ჩაზრდილი კოტილედონით წარ-
მოადგენს სემიპლაცენტას. მშობიარობის დროს პლაცენტის მოვარდნის
შემდეგ ენდომეტრიუმში რჩება დიდი დეფექტი, რომელიც სწრაფად
აღდგება. პლაცენტის ეს ტიპი გააჩნია მცოხნავეებს.

Placenta diffusa დიფუზური პლაცენტა—
პლაცენტის ფორმა, როდესაც ქორიონის დატოტვილი ხაოები საშვილოს-
ნოს მთელ ზედაპირზე მეტ-ნაკლებად თანაბრად არიან განაწილებული,
შედიან ენდომეტრიუმის ნაოჭებს შორის და უშუალოდ ეხებიან მის ეპი-
თელიუმს, რის გამოც მას ეპითელიოქორიულ პლაცენტასაც უწოდებენ.
ასეთი პლაცენტა გააჩნიათ ლემურებს, ღორს და ცხენს.

Placenta discoidalis დისკოიდური პლ-
აცენტა—პლაცენტის სახე, როდესაც ქორიონის ხაოები საშვი-
ლოსნოს თავისუფალ ზედაპირზე განლაგებულია ერთ უბანზე, დისკოს
სახით.

Placenta endotheliochorialis ენდოთე-
ლიოქორიული პლაცენტა—პლაცენტის სახე, როდესაც
ქორიონის ეპითელიუმში უშუალო კონტაქტშია საშვილოსნოს ლორწოვა-
ნი გარსის სისხლის ძარღვების ენდოთელიუმთან. ამ ტიპის პლაცენტა
გააჩნია ძალს და კატას.

Placenta fenestrata სარკმლოვანი პლ-
აცენტა—განვითარების ანომალია, რომლის დროსაც პლაცენტაში აღი-
ნიშნება მცირე ზომის გათხელებული, განლეული, აპკოვანი მიდამოები.

Placenta haemochorialis ჰემოქორიული
პლაცენტა—პლაცენტის ყველაზე რთული და კარგად განვითარე-

ბული სახე. ქორიონის ხაოები იმდენად მჭიდრო კონტაქტს ამყარებენ საშვილოსნოსთან, რომ ირღვევა არა მარტო ლორწოვანი გარსის ეპითელიუმი, არამედ სისხლის ძარღვების ენდოთელიუმიც, რის გამოც სისხლი პირდაპირ იღვრება ხაოთაშორის სივრცეებში, ქორიონის ხაოები „ცურავენ“ დედის სისხლში. ეს კი თავის მხრივ განაპირობებს ნივთიერებათა და გაზთა გაძლიერებულ ცვლას. ჰემოქორიული პლაცენტა გააჩნია ადამიანს.

Placenta haemochorialis olliformis ჰემოქორიული ქვაბისებრი პლაცენტა—ხასიათდება ხაოთაშორისი სივრცეების განსაკუთრებული სიდიდით. პლაცენტას ქვაბის ფორმა აქვს, რომლის ბაზალურ და კილურ ნაწილებს წარმოქმნის პლაცენტის დედის ნაწილი, სახურავს კი ნაყოფის ნაწილი. ასეთი პლაცენტა ახასიათებს პრიმატებს, სრულყოფილი ფორმით კი—ადამიანს.

Placenta labyrinthica ლაბირინთოვანი პლაცენტა—ჰემოქორიული პლაცენტის სახე; ქორიონის ხაოთაშორისი სივრცეები, რომელშიც დედის სისხლი მოძრაობს, წარმოადგენენ ვიწრო ურთიერთგადახლართულ არხთა ლაბირინთს. ასეთი პლაცენტა ახასიათებთ მღრღნელებს, მწერიჭამიებს და ლამურებს.

Placenta marginata კიდეური პლაცენტა—პლაცენტის აგებულების ანომალია, რომლის დროსაც ამნიონი და ქორიონი პლაცენტას გამოეყოფა არა კილიდან, არამედ მისგან 1—2 სანტიმეტრით უფრო შიგნით.

Placenta multilobata მრავალწილოვანი პლაცენტა—პლაცენტის აგებულების ანომალია, რომლის დროსაც იგი შედგება ურთიერთისაგან გამოცალკეებული რამოდენიმე წილისაგან.

Placenta percreta ჩაზრდილი პლაცენტა—პლაცენტის შეზრდის ისეთი ფორმა, როდესაც ქორიონის ხაოები მიომეტრიუმის გავლით ჩაზრდილია პერიმეტრიუმში ზოგჯერ თვით პერიტონეუმამდე.

Placenta praevia წინამდებარე პლაცენტა—პლაცენტის მიმაგრების ანომალია, რომლის დროსაც იგი მიმაგრებულია საშვილოსნოს ქვემო სეგმენტთან და მთლიანად ან ნაწილობრივ ფარავს საშვილოსნოს შესავალს. მოსცილდება ნაყოფის დაბადებამდე, ამიტომ შეიძლება ნაყოფი დაიღუპოს მშობიარობის პროცესში.

Placenta zonaria სარტყლისებრი პლაცენტა—პლაცენტა, რომელიც საშვილოსნოს შიგა ზედაპირზე სარტყელივითაა გადაჭიმული. ასეთი პლაცენტა ახასიათებს მტაცებლებს.

Placentalia, ae, მდ. ლათ. (placenta) პლაცენტალია—ძუძუმწოვრები რომელთაც ორსულობის ან მამკეობის დროს პლაცენტა უვითარდებათ.

Placentoma, atis, საშ. ლათ. (placenta+ბერძნ. oma სიმსივნე) პლაცენტომა—პლაცენტის დარჩენილი ნაწილიდან განვითარებული სიმსივნე.

Placoda, ae, მდ. ბერძნ. (plax ფირფიტა +eidos მსგავსი) პლაკოდა—წყვილი ფირფიტისმსგავარი ექტოდერმული შემსხვილება, რომელიმე ორგანოს ან მისი ნაწილის ნერგი.

Placodalentis ბროლის პლაკოდა—იხ. *Discus lentiscus*.

Placodanasalis ცხვირის პლაკოდა—ცხვირის პირველადი ნერგი, ექტოდერმის წყვილი შემსხვილება, ემბრიონის თავის ფრონტალურ მხარეზე სტომოდუმის ზემოთ, რომლის ინვაგინაციის შემდეგ ცხვირის ორმო ვითარდება.

Placoda olfactoria ყნოსვითი პლაკოდა—ნერვული ფირფიტის წინ განლაგებული ექტოდერმული შემსხვილება, ყნოსვითი ეპითელიუმის ნერგი.

Placoda otica ყურის პლაკოდა—შიგნითა ყურის ნერგი. პირველი გარეთა სალახუჩე ნაპრალეების ლატერალურად მდებარე ზედაპირული ექტოდერმის გამსხვილება. დასაბამს აძლევს ყურის ფოსოს.

Placodae dorsolaterales დორსო-ლატერალური პლაკოდები—ექტოდერმული შემსხვილებები ეპიბრანქიალური პლაკოდების ზემოთ და ნერვული ფირფიტის გვერდით. დასაბამს აძლევს ყურის პლაკოდას—აპკოვანი ლაბირინთის ნერგს.

Placodae epibranchiales ეპიბრანქიალური პლაკოდები—ექტოდერმული გამსხვილებები სალახუჩე ნაპრალეების დორსალურად. განგლიონალურ ფირფიტასთან ერთად ქმნიან გემოვნების ორგანოს ნერვებისა და განგლიების ნერგებს.

Placodae neurales ნერვული პლაკოდები—ექტოდერმული შემსხვილებები განგლიონალური ფირფიტის ახლოს, სენსორულ ორგანოთა ნერგები.

Plagiocephalia, ae, მდ. ბერძნ. (plagios ირიბი+kephale თავი) პლაგიოცეფალია—ირიბი თავი, ქალას ერთი ნახევრის ძლიერი განვითარება, განპირობებული გვირგვინოვანი ნაკერების არაერთდროული გაძვლებით.

Planum fissionis დანაწევრების სიბრტყე—

სიბრტყე, რომელიც ზიგოტას ყოფს ბლასტომერებად. მიმართულების მიხედვით განარჩევენ ეკვატორულს — (Planum equatoriale) გაივლის ზიგოტის ეკვატორზე; განედურს — (Planum latitudinale) გაივლის ეკვატორის პარალელურად, შეესატყვისება დედამიწის სფეროს განედურ გრადუსებს; მერიდიანულს — (Planum meridionale) გაივლის ზიგოტის ანიმალური პოლუსიდან ეგვეტაციურისაკენ.

Plasma germinale ჩანასახოვანი პლაზმა — გონოციტების ერთობლიობა, რომელიც უმაღლეს ძეძუმწოვრებში და ადამიანში წარმოიქმნება ყვითრის პარკში, ჩანასახოვანი ფურცლების განვითარებამდე.

Plica, მდ. ლათ. ნაოჭი.

Plica gubernacularis წარმართველი ზონრის ნაოჭი — მეზენქიმური წარმოშობის ნაოჭი, რომლის პროქსიმალური ბოლო ქმნის საზარდულის არხის მეზენქიმურ ნაწილს დორსალური კი გრძელდება სასქესო ბორცვების მეზენქიმაში.

Plica palpebralis ქუთუთოს ნაოჭი — ემბრიონული განვითარების დაახლოებით მე-7 კვირას რქოვანას წინ კანის მიდამოში განვითარებული ორმაგი ნაოჭი, რომლის თავისუფალი ბოლოები დროებით შეზრდილია ურთიერთთან ეპითელური ნაკერით.

Plica pleuropericardialis პლევრო-პერიკარდიული ნაოჭი — პერიკარდიუმის და ცელომის ღრუების ურთიერთისაგან გამყოფი წყვილი ნაოჭი, გადაჭიმული ჩანასახის სხეულის დორსალური კედლიდან კრანियो-კაუდალური მიმართულებით.

Plica pleuroperitonealis პლევრო-პერიტონეალური ნაოჭი — პლევრის და პერიტონეუმის ღრუების გამყოფი წყვილი ნაოჭი, გადაჭიმული ჩანასახის სხეულის დორსო-ლატერალური კედლიდან კრანიალური მიმართულებით.

Plica urogenitalis შარდ-სასქესო ნაოჭი — სასქესო ბორცვის კაუდალურ ზედაპირზე, პროქტოდეუმის მიმართულებით გადაჭიმული წყვილი ნაოჭი. ქალებში მცირე სასქესო ბაგეების ნერგი. მამაკაცებში კი ნაოჭების შეზრდის შედეგად ყალიბდება ასოს უკანა ნაწილი.

Plica urorectalis სწორნაწლავ-სარდე ნაოჭი — ნახევარმთვარისებრი ფორმის ეპითელიო-მეზენქიმური ნაოჭი. ჩაიზრდება კლოაკის კრანიალურ ნაწილში და წარმოქმნის მკვრივ ძგიდეს (იხ. *Septum urorectalis*).

Plicae neurales ნერვული ნაოჭები — ნერვული ფირფიტის კიდეები, რომლებიც მას კანის ექტოდერმიდან გამოყოფენ. დასაბამს აძლევენ ნერვულ ქედს (იხ. *Crista neuralis*).

Ploidia, ae, მდ. ბერძნ. (ploos ჩაწყობა+eidos მსგავსი) პლოიდია — ქრომოსომული კომპლექტი დიპლოიდური, ტრიპლოიდური და ა. შ.

Polocytus, i, მამრ. ლათ. (polus პოლუსი+ბერძნ. kytos უჯრედი) პოლოციტი — უჯრედები, რომლებიც წარმოიქმნებიან კვერცხუჯრედის მომწიფების ფაზაში.

Polocytus primus პირველი პოლოციტი — ოოგენეზში; პირველი მეიოზური გაყოფის დროს წარმოქმნილი უჯრედი, რომლის გამოყოფის შემდეგ პირველი რიგის ოოციტი გარდაიქმნება მეორე რიგის ოოციტად.

Polocytus secundus მეორე პოლოციტი — ოოგენეზში, მეორე მეიოზური გაყოფის დროს წარმოქმნილი უჯრედი, რომლის გამოყოფის შემდეგ მეორე რიგის ოოციტი გარდაიქმნება მომწიფებულ კვერცხუჯრედად.

Poly, ბერძნ. რთულ სიტყვებში აღნიშნავს მრავალს.

Polycoria, ae, მდ. ბერძნ. (poly + kore გუგა) პოლიკორია — ფერად გარსში ერთზე მეტი გუგის არსებობა. განვითარების ანომალია.

Polydactilia, ae, მდ. ბერძნ. (poly+dactylos თითი) პოლიდაქტილია — მრავალთითიანობა. განვითარების ანომალია. ფეხზე ან ხელზე ხუთზე მეტი თითის არსებობა.

Polyembryonia, ae, მდ. ბერძნ. (poly + embryon) პოლიემბრიონია — ერთი ზიგოტიდან ერთზე მეტი ჩანასახის განვითარება. ახსიათებს რიგ ცხოველებს. ადამიანში პოლიემბრიონიის შემთხვევაა ერთკვერცხიანი ტყუპი — თითოეულ ემბრიონს გააჩნია საკუთარი ამნიონი და საერთო პლაცენტა.

Poly mastia, ae, მდ. ბერძნ. (poly+mastos ძუძუ) პოლიმასტია — ადამიანში ორზე მეტი ძუძუს არსებობა, განვითარების ანომალია.

Polymelia, ae, მდ. ბერძნ. (poly+melos კილური) პოლიმელია — გამოიხატება ზედმეტი კილურის არსებობაში, განვითარების ანომალია.

Polymerismus, i, მამრ. ბერძნ. (poly+meros ნაწილი) პოლიმერისმ — მრავალსეგმენტეანობა, ნორმალურ რიცხვზე მეტი სეგმენტის, ნაწილის არსებობა.

Polyodontia, ae, მდ. ბერძნ. (poly+odontos კბილი) პოლიოდონტია — ზედმეტი კბილების არსებობა, შეიძლება იყოს ქეშმარიტი, განპირობებული კბილების ზედმეტობით ან ცრუ — განპირობებული სარძევე კბილების მოცვლის შეფერხებით.

Polyorchismus, i, მამრ. ბერძნ. (poly+orchis სათეს-
ლე) პოლიორქიზმი—ორზე მეტი სათესლის არსებობა. განვი-
თარების ანომალია.

Polyotia, ae, მდ. ბერძნ. (poly+otus ყური) პოლიო-
ტია—თანდაყოლილი დეფექტი, თავის ერთ ან ორივე მხარეს ერთზე
მეტი მახინჯი ყურის ნიჟარის არსებობა.

Polyovaris mus, i, მამრ. ბერძნ. (poly+ovarium) პო-
ლიოვარიზმი—ორზე მეტი საკვერცხის არსებობა. განვითარების
ანომალია.

Polyploidia, ae, მდ. ბერძნ. (poly+ploidia) პოლიპ-
ლოიდია—უჩრედებში ქრომოსომთა რიცხვის ჯერადი გადიდება.

Polysomia, ae, მდ. ბერძნ. (poly+soma სხეული) პოლისო-
მია—1. ანეუპლოიდიის სახე, როდესაც გამეტაში არის ერთი ან მეტი
გაორმაგებული, ჰომოლოგიური ქრომოსომა, მეიოზის დროს მათი და-
უთიშველობის გამო. იმის მიხედვით თუ პოლისომური ორგანიზმის
ქრომოსომულ კომპლექტში რამდენით მეტი ქრომოსომაა, განარჩე-
ვენ ტრისომებს, ტეტრასომებს და ორმაგ ტრისომებს; 2. განვი-
თარების მანკი, გამოიხატება ნაყოფის სხეულის გაორებასა ან გა-
სამებაში.

Polyspermia, ae, მდ. ბერძნ. (poly+sperma თესლი)
პოლისპერმია—1. სპერმის ქარბი რაოდენობით გამოყოფა; 2.
ერთზე მეტი სპერმატოზოიდის შექრა კვერცხუჯრედში, რომელთაგან
მხოლოდ ერთი შეერწყმის კვერცხუჯრედის ბირთვის, დანარჩენები კი
ილუპებიან.

Polythelia, ae, მდ. ბერძნ. (poly+thela დერილი) პო-
ლითელია (იხ. Hyperthelia).

Post, ლათ. რთულ სიტყვებში აღნიშნავს: შემდგომ, უკან, რაღა-
ცის შემდეგ. შეეფარდება ბერძნ. Meta-ს.

Postnatalis, e, ლათ. (post+natus დაბადება) პოსტ-
ნატალური—დაბადების შემდგომი, დაბადების შემდეგ წარმოქმ-
ნილი და განვითარებული.

Pre, Prae, ლათ. წინდ. აღნიშნავს: წინ, წინა, წინიდან.

Praecartilago, inis, მამრ. ლათ. (prae+cartilago
ხრტილი) პრეკარტილაგი—კომპაქტური უჯრედული
შემაერთებელი ქსოვილი, ვიდრე იგი ხრტილად დიფერენცირდებოდეს.

Praenatalis, e, ლათ. (prae+natus დაბადება) პრე-
ნატალური—დაბადების წინა პერიოდი. ის, რასაც ადგილი აქვს და-
ბადებამდე.

Pre dentinum, i, საშ. ლათ. (pre+dens კბილი) პ რ ე დ ე ნ ტ ი ნ ი—კბილის დენტინის წინამორბედი. ვითარდება ოდონტობლასტებიდან, მის შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი გაიჟღინთებიან კალციუმის მარილებით და სხვა არაორგანული ნივთიერებებით. პრედენტინი გარდაიქმნება დეფინიტურ დენტინად.

Pregnantia, atis, მდ. ლათ. ო რ ს უ ლ ო ბ ა—მდედრი ორგანიზმის ფიზიოლოგიური მდგომარეობა ნაყოფის ჩასახვიდან მშობიარობამდე. ადამიანში გრძელდება 280 დღე.

Pregnantia abdominalis ა ბ დ ო მ ი ნ ა ლ უ რ ი, მ უ ტ ლ ი ს ო რ ს უ ლ ო ბ ა—ექტოპიური ორსულობის იშვიათი ფორმა, როდესაც განაყოფიერებული კვერცხუჯრედი არ მოხვდება საშვილოსნოს ლულაში, არამედ რჩება მუცლის ღრუში და ემაგრება რომელიმე ორგანოს (ნაწლავს, ბადექონს).

Pregnantia extrauterina ს ა შ ვ ე ლ ო ს ნ ო ს გ ა რ ე ო რ ს უ ლ ო ბ ა—ექტოპიური ორსულობა, როდესაც განაყოფიერებული კვერცხუჯრედის იმპლანტაცია ხდება არა საშვილოსნოში, არამედ საკვერცხეში, მუცლის ღრუში და ა. შ.

Pregnantia ovariana ს ა კ ვ ე რ ც ხ ი ს ო რ ს უ ლ ო ბ ა—ექტოპიური ორსულობის შედარებით იშვიათი ფორმა. განაყოფიერებული კვერცხუჯრედის განვითარება ხდება თვით საკვერცხეში, ვინაიდან ოვულაციის დროს არ მოხდა მისი ამოვარდნა ფოლიკულის ღრუდან.

Pregnantia tubalis ლ უ ლ ი ს ო რ ს უ ლ ო ბ ა—ექტოპიური ორსულობის შედარებით ხშირი ფორმა. კვერცხსავეალში მოხვედრილი განაყოფიერებული კვერცხუჯრედი რჩება ლულაში და ჩაინერგება მის ლორწოვან გარსში.

Pregnantia interstitialis ი ნ ტ ე რ ს ტ ი ც ი უ რ ი ო რ ს უ ლ ო ბ ა—ექტოპიური ორსულობის ფორმა, როდესაც ბლასტოციტის იმპლანტაცია ხდება კვერცხსავეალის საშვილოსნოს სეულ ნაწილში.

Preleptonema, atis, საშ. ბერძნ. (pre+leptonema) პ რ ე ლ ე პ ტ ო ნ ე მ ა — პირველი მეოთხური გაყოფის პროფაზის პირველი სტადია. შეესაბამება მიტოზის ადრეულ პროფაზას. ქრომოსომები ძალზე წვრილია და ძნელად გასარჩევი, მათ შორის კომპაქტური პეტეროპიკნოზური სხეულაკების სახით გამოირჩევა სასქესო ქრომოსომები.

Primipara, ae, მდ. ლათ. (primus პირველი + parere ვებადებ) პ ი რ ვ ე ლ მ შ ო ბ ი ა რ ე—მდედრი, რომელიც პირველად მშობიარობს.

Primordialis, e, ლათ. (primordium) პ რ ი მ ო რ დ ი ა ლ უ რ ი — პირველადი, პირველად ფორმირებული, საწყისი.

Primordium, ii, საშ. ლათ. პ რ ი მ ო რ დ ი უ მ ი — ნასახი, ნერგი, ჩანასახის სხეულის შემადგენლობაში შემაველი არადიფერენცირებულ ემბრიონალურ უჯრედთა გროვა, რომელიც დასაბამს აძლევს რომელიმე ქსოვილს ან ორგანოს.

Primordium myoepicardiale მიოეპიკარდიუმის პ რ ი მ ო რ დ ი უ მ ი — ადამიანის და ხერხემლიან ცხოველთა ჩანასახის სპლანქნოტომის ვისცერული ფურცლის წყვილი შესქელებული უბანი. მიოკარდიუმის და ეპიკარდიუმის ნერგი.

Pro, ბერძნ. წინდებული, აღნიშნავს: წინიდან, რალაცას წინ, წინა.

Proamnion, ii, საშ. ბერძნ. (pro+amnion) პ რ ო ა მ ნ ი ო ნ ი — ამნიონის მონაკვეთი, ემბრიონის თავის წინ და გვერდებზე, რომელიც საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მოკლებულია მეზოდერმას.

Processus, us, მამრ. ლათ. (procedere წინ გამოსვლა, წაწევა) მ ო რ ჩ ი, გ ა მ ო ნ ა ზ ა რ დ ი.

Processus frontalis შ უ ბ ლ ის მ ო რ ჩ ი — 4—6 კვირის ჩანასახის თავის გამონადრეკი, რომელიც მოსაზღვრავს პირველადი პირის ხერელის ზედა კიდეს.

Processus frontonasalis შ უ ბ ლ ც ხ ვ ი რ ის მ ო რ ჩ ი — ყალიბდება ცხვირის ორმოების ირგვლივ, მეზენქიმური შემსხვილებების სახით. შემდგომში დასაბამს აძლევს ცხვირის წყვილ მედიალურ და ლატერალურ მორჩებს.

Processus mandibularis ქ ვ ე დ ა ყ ბ ის მ ო რ ჩ ი — ჩანასახის პირველი სალაყუჩე რკალის ნაწილი, რომლისგანაც ქვედაყბა ვითარდება..

Processus maxilaris ზ ე დ ა ყ ბ ის მ ო რ ჩ ი — ქვედაყბის რკალის დორსალური ნაწილის ემბრიონალური გამონაზარდი, რომლისგანაც შემდგომში ვითარდება: ზედა ტუჩის ლატერალური ნაწილი, ლოყის ზედა მიდამო და ზედაყბის გვერდითი ნაწილები Premaxila -ას გარდა. ზედაყბის მორჩისა და ქვედაყბის რკალის შერწყმის შედეგად კი ყალიბდება პირის კუთხე.

Processus nasalis lateralis ც ხ ვ ი რ ის ლ ა ტ ე რ ა ლ უ რ ი მ ო რ ჩ ი — წყვილი მორჩი, ყალიბდება შუბლ-ცხვირის მორჩიდან, ცხვირის ორმოების ლატერალურად, აყალიბებენ ცხვირის ფრთებს.

Processus nasalis medialis ც ხ ვ ი რ ის მ ე დ ი ა ლ უ რ ი მ ო რ ჩ ი — წყვილი მორჩი, დასაბამს იღებს შუბლ-

ცხვირის მორჩიდან, მოსაზღვრავს ცხვირის ორმოს, შემდგომში ერწყმის ურთიერთს და აყალიბებენ ზედა ტუჩის ცენტრალურ ნაწილს და ცხვირის ძგიდეს.

Proctodeum, i, საშ. ბერძნ. (proktos უკანა გასავალი + daio გამოცალკავება) პროქტოდეუმი — ორმოსმაგვარი ექტოდერმული ჩაღრმავება, ჩანასახის კულის ფუძესთან, კლოაკის მემბრანის ანალური ნაწილის ირგვლივ. მოგვიანებით სტადიაზე მისი გახლეჩით ფორმირდება ანალური არხის ქვედა ექტოდერმული ნაწილი.

Proenteron, i, საშ. ბერძნ. (pro + enteron) წინანაწლავი, პროენტერონი — პირველადი ნაწლავის მონაკვეთი ემბრიონის თავის მიდამოში, ჩამოყალიბებული სუბკრანიალური ნაკეცის განვითარების შედეგად. მისი კრანიალური ბრმა ბოლო ქმნის პირ-ხახის მემბრანის ენდოდერმულ შრეს, კუდალური კი წინა კარების საშუალებით უკავშირდება პირველადი ნაწლავის უკანა ნაწილს. შემდგომში მისგან ყალიბდება: ხახის ჯიბეები და მისგან წარმოებულ სტრუქტურები, სასუნთქი ორგანოების ნერგები, კუჭი, ღვიძლი და პანკრეასი.

Proestrus, i, მამრ. ბერძნ. (pro + oestrus) პროესტრუსი — ესტრუსის წინა პერიოდი, ძუძუმწოვრებში სასქესო ციკლის ფაზა, გამრავლებისათვის მზადყოფნის, მოსამზადებელი ცვლილებების აქტიური პერიოდი, ხასიათდება ენდომეტრიუმის, საშოს ლორწოვანო გარსის განსაკუთრებული ზრდით და საკვერცხეებში ფოლიკულების განვითარებით.

Pronephros, i, მამრ. ბერძნ. (pro + nephros თირკმელი) პრონეფროსი — პირველადი თირკმელი, ვითარდება შუამდებარე მეზოდერმის, ნეფროგენული ჰიმის კრანიალური ბოლოდან. ვხვდებით მხოლოდ ემბრიონული განვითარების ადრეულ სტადიაზე. წარმოდგენილია მცირერიცხოვანი მილაკებით, რომელთა ერთობლიობა აყალიბებს პრონეფროსის სადინარს. მეზონეფროსის განვითარების შემდეგ განიცდის უკუგანვითარებას.

Pronucleus, i, მამრ. ბერძნ. (pro + nucleus ბირთვი) პრონუკლეუსი — განაყოფიერებულ კვერცხში. მღედრობითი (Pronucleus femininus) ან მამრობითი (Pronucleus masculinus) ბირთვი მათ ურთიერთ შერწყმამდე და დაყოფის ბირთვის (Nucleus fissionis) ჩამოყალიბებამდე.

Prosencephalon, i, საშ. ბერძნ. (pro + encephalon) წინატვინი ანუ წინა სატვინე ბუშტუკი — დასაბამს აძლევს ბოლო და შუამდებარე ტვინს (იხ. Telencephalon; Diencephalon).

Prosocoelae, es, მდ. ბერძნ. (pro + koelia) წინატვინი-

ნის ღრუ—ანუ წინა სატვინე ბუშტუკის ღრუ; დასაბამს აძლევს გვერდით და მე-3 პარკუჭებს.

Pseudograviditas, atis, მდ. ბერძნ. (pseudo ცრუ, ყალბი+*graviditas*) ც რ უ ო რ ს უ ლ ო ბ ა — მოჩვენებითი ორსულობა. ორსულობის სუბიექტური სიმპტომების არსებობა, ორსულობის არარსებობის შემთხვევაში. ისტერიული მდგომარეობა.

Puerperium, ii, საშ. ლათ. (puer ბავშვი+*parere* ვბადებ) მ ე ლ ო გ ი ნ ე ო ბ ა — მშობიარობის შემდგომი, მელოგინეობის პერიოდი. გრძელდება დაახლოებით 6—8 კვირა, მომყოლის დაბადებიდან, ორსულობის პერიოდში ქალის ორგანიზმში მომხდარი ცვლილებების სრულ აღდგენამდე.

Pulpa dentalis კ ბ ი ლ ის პ უ ლ პ ა — კბილის ღრუს ამომკვები სირბილე, ვითარდება კბილის დვრილიდან. მის პერიფერიაზე განლაგებული ცილინდრული უჯრედები დასაბამს აძლევენ ოდონტობლასტებს.

R

Rachi, Rachio, ბერძნ. რთულ სიტყვებში მიუთითებს ხერხემალზე.

Rachischisis, is, მდ. ბერძნ. (*rachio*+*schisis* გაყოფა) რ ა ხ ის ქ ი ზ ის ი — განვითარების მანკი, ხერხემლის თანდაყოლილი ნაპრალი (იხ. *Spina bifida*).

Rachitis, idis, მდ. ბერძნ. (*rachi*+*itis* ავადმყოფური მდგომარეობა) რ ა ქ ი ტ ი — ზოგადი დაავადება, გამოწვეული D-ვიტამინის ნაკლებობით. გამოიხატება ორგანიზმში ფოსფორის და კალციუმის მარილების ცვლის მოშლით, რაც თავის მხრივ, იწვევს ძვლების არასაკმარის მინერალიზაციას და შესაბამისად მათ ღეფორმაციას. რაქიტით ავადდებიან ბავშვები ძირითადად 1—3 წლამდე.

Rachitis fetalis ნ ა ყ ო ფ ის რ ა ქ ი ტ ი — რაქიტით დაწყებული ემბრიონულ პერიოდში, განაპირობებს გრძელი ძვლების ზრდის შეჩერებას. ასეთი ინდივიდი ხასიათდება ჯუჯა სიმაღლით, დიდი თავით, არაპროპორციულად მოკლე კიდურებით, ამავე დროს ნორმალური ინტელექტით.

Re, ლათ. წინდებული, აღნიშნავს: კვლავ, უკან, ხელახლა, სამაგიეროდ, წინააღმდეგ.

Recapitulatio, onis მდ. ლათ. (*re*+*capitulum* თავი წიგნის) რ ე კ ა პ ი ტ უ ლ ა ც ი ა — ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარების პროცესში აღრეულ წინაპართა ნიშანთვისებების გამეორება.

Recessus, us, მამრ. ლათ. (recedere უკან დახევა) ჩ ა ლ რ მ ა ვ ე ბ ა, ო რ მ ო, ჯ ი ბ ე.

Recessus opticus მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ი ს ო რ მ ო—ემბრიონული განვითარების დაახლოებით მე-4 კვირის ბოლოს, წინა სატვინე ბუშტუკის ლატერალურ კედელზე მხედველობის ველის თანდათანობითი ჩაღრმავების—ინვაგინაციის შედეგად წარმოქმნილ ორმო. დასაბამს აძლევს მხედველობის ბუშტუკს.

Recessus pulmoentericus ფ ი ლ ტ ვ ნ ა წ ლ ა ვ ი ს ჯ ი ბ ე—პერიტონეუმის ჯიბე მარცხენა ფილტვის კვირტსა და საყლაპავ მილს შორის.

Recessus tubotympanicus ლ უ ლ ა-დ ა ფ ი ს ჯ ი ბ ე—პირველი და ნაწილობრივ მეორე სალავუჩე ჯიბის დორსალური ფრთა, მონაწილეობს დაფის ღრუს და სასმენი მილის ფორმირებაში.

Rectum, i, საშ. ლათ. (rectus სწორი) ს წ ო რ ი ნ ა წ ლ ა ვ ი—ყალიბდება პირველადი უკანა ნაწლავიდან.

Ren, is, მამრ. ლათ. თ ი რ კ მ ე ლ ი (იხ. Metanephros).

Ren embryonalis ე მ ბ რ ი ო ნ უ ლ ი თ ი რ კ მ ე ლ ი—ნაყოფისათვის დამახასიათებელი წილაკოვანი აგებულების თირკმელი. ნორმის ვარიანტი ადრეულ ბავშვობაში. ზრდასრულ ინდივიდებში კი განიხილება როგორც განვითარების ანომალია.

Ren pelvicus მ ე ნ ჯ ი ს თ ი რ კ მ ე ლ ი—მცირე მენჯის ღრუში დისტოპირებული თირკმელი.

Ren polycysticus პ ო ლ ი ც ი ს ტ უ რ ი თ ი რ კ მ ე ლ ი—თირკმელში მრავლობითი თხელკედლიანი კისტების არსებობა. განვითარების ანომალია.

Ren sigmoideus ს ი გ მ ო ი დ უ რ ი თ ი რ კ მ ე ლ ი—ერთი თირკმლის ზედა პოლუსის შეზრდა მეორე თირკმლს ქვედა პოლუსთან, სათანადოდ თითოეული თირკმლის კარი საწინააღმდეგო მხარესა მიმართული. განვითარების ანომალია.

Renunguliformis ნ ა ლ ი ს ე ბ რ ი თ ი რ კ მ ე ლ ი—განვითარების მანკი, რომლის დროსაც ორივე თირკმელი ურთ ერთთან შეზრდილია ქვედა ან ზედა ბოლოებით.

Reproductio, onis, მდ. ლათ. (re+producere წარმოშობა) რ ე პ რ ო დ უ ქ ც ი ა, გ ა მ რ ა ვ ლ ე ბ ა—ცოცხალ ორგანიზმთა მიერ თავისივე მსგავსის წარმოქმნის უნარი.

Reproductio asexualis უ ს ქ ე ს ო (არაგამეტური) გ ა მ რ ა ვ ლ ე ბ ა—გამრავლების ფორმა სასქესო უჯრედების—

გამეტების მონაწილეობის გარეშე: დაკვირვებით, ფრაგმენტაციით, პირ-დაპირი გაყოფით და სხვა.

Reproductio sexualis სქესობრივი (გამეტური) გამრავლება—გამრავლების ფორმა, რომელშიც მონაწილეობენ მამრობითი და მდედრობითი, სპეციალური სასქესო უჯრედები—გამეტები.

Reticulum adamantinum მინანქრის რეტიკულუმი—ვარსკვლავისებრი ეპითელიური უჯრედებით წარმოდგენილი ემალის ორგანოს ცენტრალური ნაწილი.

Rhinencephalon, i, საშ. ბერძნ. (rhinos ცხვირი + encephalon) ყნოსვითი ტვინი—თავის ტვინის ფილოგენეზურად ყველაზე ძველი ნაწილი. ყალიბდება ბოლო ტვინის ბაზალური მიდამოდან, ზოლიანი სხეულის მედიალურად. ლოკალიზებულია საფეთქლის წილში. მაქსიმალურ განვითარებას აღწევს უმდაბლესებში, უმაღლესებში კი—ნეოპალიუმის განვითარების გამო ცუდად შესამჩნევია.

Rhomencephalon, i, საშ. ბერძნ. (rhombus რომბი + encephalon) რომბისებრი ტვინი—უკანა სატვინე ბუშტუკი, რომელიც საბოლოოდ დიფერენცირდება უკანა (Metencephalon) და დამატებით (Myelencephalon) ტვინად.

Rhommerus, i, მამრ. ბერძნ. (rhombos რომბი + meros ნაწილი) რომბომერი—მოგრძო ტვინის ფუძეზე რომბისებრი ფოსოს უკანა ნაწილში სეგმენტურად განლაგებული მორგვისებრი შემსხვილებები, სადაც თავის ტვინის ბირთვები ყალიბდებიან.

S

Sacculus, i, მამრ. ლათ. (კნინ. saccus პარკუჭი) პარკი—შიგნითა ყურის აპკოვან ლაბირინთში მომრგვალო პარკი, ვითარდება ყურის ბუშტუკის კარიბჭის ნაწილის ვენტრალური მიდამოდან.

Sacculus iliacus თეძოს პარკი—წრბოლის ცისტერნის კაუდალური გაგრძელება, რეტროპერიტონეალური პარკის დორსალურად. წყვილი წარმონაქმნი. წარმოქმნის გაგანიერებებს: ერთს თირკმლის დონეზე—თეძო-წელის და მეორეს დაახლოებით აორტის ბიფურკაციის დონეზე—თეძო-საზარდულის.

Sacculus jugularis საუღლე პარკი—მარჯვენა და მარცხენა საუღლე ლიმფური პარკები. წარმოიქმნებიან ბრმა პარკების სახით ემბრიონული განვითარების მე-6 კვირას, კისრის მიდამოში, წინა კარდინალური ვენების სისხლძარღვოვანი წნულის მცირე ზომის ძარღვებიდან. შემდგომში ხელახლა უკავშირდებიან წინა კარდინალურ ვენებს.

Sacculus pharyngealis ხახის პარკი—ვითარდება პირველადი ნაწლავის ხახის ნაწილიდან 4 წყვილი ენდოდერმული ჯიბის სახით. ხახის მე-5 ჯიბის არსებობა სავარაუდოა. ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ იგი ვითარდება ხახის მე-4 ჯიბიდან რუდიმენტის სახით. ხახის თითოეული ჯიბე შეესაბამება გარეთა სალაცუჩე ღარებს.

Sacculus retroperitonealis რეტროპერიტონეალური პარკი—ვითარდება წრბოლის ცისტერნის ვენტრალურად და მჭიდრო კავშირშია მასთან. ამ პარკიდან ჯორჯლისავე წარიზრდებიან წვრილი მილაკები, რომლებიც განაპირობებენ ლიმფის გამოტანას კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან. სწორი ნაწლავის გამოკლებით.

Sacculus subclavius ლავიწქვეშა პარკი—ლიმფური პარკი, რომელიც ვითარდება ილღის მიდამოში, ემბრიონის სხეულის დორსალური კედლის გასწვრივ, კენტი ვენისა და ქვემო ღრუ ვენის განვითარებასთან დაკავშირებით, საუღლე პარკების ჩამოყალიბების შემდეგ.

Sacculus dentalis კბილის პარკი—განვითარებული კბილის ირგვლივ მდებარე მეზენქიმური გარსი. კბილების ამოჭრისას პარკის ზემო ნაწილი, რომელიც გვირგვინის მიდამოს ფარავს, იშლება, ხოლო ქვედა კი დიფერენცირდება შემაერთებელ ქსოვილად, დენტინის ირგვლივ.

Sacculus vitellinus საყვითრე პარკი—ძუძუმწოვარ ცხოველთა ემბრიონების პროვიზორული ორგანო. წარმოიქმნება ემბრიონული განვითარების ადრეულ სტადიაზე, როგორც პირველადი ნაწლავის ჩანასახგარე ნაწილი. მისი კედელი წარმოდგენილია ენდოდერმით და ვისცერული მეზოდერმით. არის პირველადი სისხლმზადი ორგანო და გონოციტების პირველადი ლოკალიზაციის ადგილი. ალანტოისის ჩამოყალიბების შემდეგ კარგავს თავის ფუნქციას, თანდათანობით მცირდება მოცულობაში და შექმუხნილი პარკის სახით რჩება ჭიპის ბაგირაკში.

Scaphocephalia, ae, მდ. ბერძნ. (scaphe ნავი + kephale თავი) სკაფოცეფალია—ნავისმაგვარი თავი, განვითარების ანომალია. ხსიათდება თავის ქალას წინა და უკანა დიამეტრის დაგრძელებით, საგიტალური ნაკერის ადრე დახურვის გამო.

Schisto, ბერძნ. რთულ სიტყვებში მიუთითებს გახლეჩაზე, ნაპრალზე.

Schistocephalia, ae, მდ. ბერძნ. (schisto+kephale თავი) ს ქ ი ს ტ ო ც ე ფ ა ლ ი ა—თავის ქალას თანდაყოლილი ნაპრალი.

Schistochilia, ae, მდ. ბერძნ. (schisto+cheilos ტუჩი) ს ქ ი ს ტ ო ქ ი ლ ი ა—გახლეჩილი ტუჩი, „კურდღლის ტუჩი“. განვითარების მანკი.

Schistochiria, ae, მდ. ბერძნ. (schisto+cheir ხელის მტევანი) ს ქ ი ს ტ ო ქ ი რ ი ა—გახლეჩილი ხელის მტევანი. განვითარების მანკი.

Schistocoelia, ae მდ. ბერძნ. (schisto+koelia) ს ქ ი ს ტ ო ც ე ლ ი ა—მუცლის ღრუს თანდაყოლილი ნაპრალი.

Schistoglossia, ae, მდ. ბერძნ. (schisto+glossa ენა) ს ქ ი ს ტ ო გ ლ ო ს ი ა—გახლეჩილი ენა. თანდაყოლილი ანომალია.

Schistognathia, ae, მდ. ბერძნ. (schisto+gnathos ყბა) ს ქ ი ს ტ ო გ ნ ა თ ი ა—გახლეჩილი ქვედაყბა. განვითარების მანკი.

Schistomelia, ae, მდ. ბერძნ. (schisto+melos კიდური) ს ქ ი ს ტ ო მ ე ლ ი ა—თანდაყოლილი გახლეჩილი კიდური.

Schistomyelia, ae, მდ. ბერძნ. (schisto+myelo) ს ქ ი ს ტ ო მ ი ე ლ ი ა — გახლეჩილი ზურგის ტვინი. განვითარების ანომალია.

Schistoprosopia, ae, მდ. ბერძნ. (schisto+prosopon სახე) ს ქ ი ს ტ ო პ რ ო ს ო პ ი ა—სახის რამდენიმე თანდაყოლილი ნაპრალი.

Schistosternia, ae, მდ. ბერძნ. (schisto+sternum მკერდის ძვალი) ს ქ ი ს ტ ო ს ტ ე რ ნ ი ა—მკერდის ძვლის თანდაყოლილი ნაპრალი.

Sclera, ae, მდ. ბერძნ. (scleros მკვრივი) თ ვ ა ლ ი ს თ ე თ რ ი გ ა რ ს ი—სკლერა. თვალის კაკლის ირგვლივ მდებარე, მეზენქიმური წარმოშობის შემაერთებელქსოვილოვანი გარსი, განაპირობებს თვალის კაკლის ფორმას, მისი მეშვეობით თვალის კაკალს უკავშირდება კუნთები. სკლერა მხედველობის ნერვის საშუალებით გრძელდება თავის ტვინის მაგარ გარსში.

Sclerotomus, i, მამრ. ბერძნ. (scleros+tomos ნაწილი) ს კ ლ ე რ ო ტ ო მ ი—მეზოდერმული სომიტის მედიო-ვენტრალური ნაწილი. შედგება ფაშარად განლაგებული მეზენქიმური უჭრედებისაგან, რომლებიც გამოსახლდებიან სომიტიდან, განლაგდებიან ქორდის და ნერვული ლულის ვენტრალური ნაწილის ირგვლივ და დასაბამს აძლევენ მალეებს, ნეკენებს და ბეჭის ძვალს.

Scoliosis, is, მდ. ბერძნ. (*scolios* მრუდე) ს ქ ო ლ ი-
ო ზ ი — ხერხემლის ლატერალური გამრუდება.

Scrotum, i, საშ. ლათ. ს ა თ ე ს ლ ე პ ა რ კ ი — სასქესო.
ბორცვიდან განვითარებული კან-კუნთოვანი წარმონაქმნი მამაკაცის შო-
რისის წინა ნაწილში. შეიცავს სათესლეს დანამატიო და სათესლე ბაგი-
რაკების დისტალურ ბოლოებს.

Semen, inis, საშ. ლათ. (*serere* თესვა, დარგვა) ს ა თ ე-
ლ ე ს ი თ ხ ე — მამაკაცის სათესლეებში, წინამდებარე ჯირკვალსა და
სათესლე ბუშტუკებში გამომუშავებული სითხე, რომელიც ძირითადად
სასქესო უჯრედებს — სპერმატოზოიდებს შეიცავს.

Septum, i, საშ. ლათ. ძ გ ი დ ე, ტ ი ხ ა რ ი.

Septum aorticopulmonale ა ო რ ტ ა ფ ი ლ-
ტ ვ ის ძ გ ი დ ე — წარმოიქმნება წყვილი ბულბარული ენდოკარდუ-
ლი ქედიდან. გულის ბოლქვს ყოფს სპირალურად აორტად და ფილტ-
ვის ღეროდ.

Septum atriorum წ ი ნ ა გ უ ლ თ ა შ ო რ ის ი ძ გ ი-
დ ე — ყალიბდება პირველადი და მეორადი ძგიდეების შეერთების შე-
დეგად, წინაგულს ყოფს მარჯვენა და მარცხენა ნაწილებად.

Septum interventriculare პ ა რ კ უ ქ თ ა-
შ ო რ ის ი ძ გ ი დ ე — საგიტალური ძგიდე, წარმოიქმნება ემბრიონ-
ული განვითარების დაახლოებით მე-4 კვირის ბოლოს, პარაკუქის საერ-
თო ღრუს ბაზალური ნაწილიდან (გულის მწვერვალი), მიემართება ატ-
რიოვენტრიკულური არხისაკენ და უერთდება წყვილ ენდოკარდულ
ბალიშს. იგი პარაკუქის პირველად ღრუს ყოფს მარჯვენა და მარცხენა
ნაწილად — პარაკუქებად.

Septum nasi ც ხ ვ ი რ ის ძ გ ი დ ე — ცხვირის წყვილი
მედიალური მორჩებიდან განვითარებული ძვალ-ხრტილოვან-აკოვანი
ვერტიკალური ძგიდე, ცხვირის ღრუს ყოფს მარჯვენა და მარცხენა ნა-
ხევრებად.

Septum primum პ ი რ ვ ე ლ ა დ ი ძ გ ი დ ე — ემბრი-
ონებში პირველი არასრული წინაგულთშორისი ძგიდე, წარმოიქმნება
პირველადი წინაგულის შუა ხაზზე, დორსალური კედლიდან. იზრდება
ატრიო-ვენტრიკულური არხის მიმართულებით და საბოლოოდ პირ-
ველად წინაგულს ყოფს მარჯვენა და მარცხენა ნაწილებად. ძგიდეში
ყალიბდება პირველადი და მეორადი ხვრელები (იხ. *Foramen primum*
et secundum).

Septum secundum მ ე ო რ ა დ ი ძ გ ი დ ე — ემბრი-
ონებში მეორე არასრული წინაგულთაშორისი ძგიდე, ყალიბდება მარჯ-

ვენა პირველადი წინაგულის ვენტრალური კედლიდან, უშუალოდ პირველადი ძგიდის მარჯვნივ. მასში წარმოიქმნება ოვალური ხვრელი (იხ. Foramen ovale).

Septum spurium ც რ უ ძ გ ი დ ე—ემბრიონული მარჯვენა წინაგულის წინა დორსალური კედლის ნაკეცი, ყალიბდება ვენური სინუსის მარჯვენა და მარცხენა სარქველს ბოლოების შერწყმის შედეგად.

Septum transversum გა ნ ი ვ ი ძ გ ი დ ე—მეზოდერმული წარმოშობის ემბრიონული ძგიდე გულსა და ღვიძლს შორის. იგი ინტრაემბრიონული ცელომის ღრუს ყოფს პერიკარდიუმის და პერიტონეუმის ნაწილებად. წარმოადგენს დიაფრაგმის ვენტრალური ნაწილის ნერგს, მონაწილეობს აგრეთვე ღვიძლის კაფსულის და მცირე ბაღეჭონის ფორმირებაში.

Septum urorectale ს წ ო რ ნ ა წ ლ ა ვ -ს ა შ ა რ დ ე ძ გ ი დ ე—კლოაკის ღრუში, მის კრანიალურ ბოლოსთან განვითარებული ნახევარმთვარისებრი, ეპითელურ-მეზენქიმური წარმოშობის ჰორიზონტალური ძგიდე, რომელიც კლოაკას ყოფს ორ ნაწილად: დორსალურ—სწორ ნაწლავად და ვენტრალურ—შარდსასქესო სინუსად. ამასთან ერთად ირღვევა კლოაკის მემბრანა, რის შედეგად ყალიბდება ყითას და შარდსასქესო ხვრელები.

Sinus, us, მამრ. ლათ. ს ი ნ უ ს ი, წ ი ა დ ი.

Sinus cervicalis კ ი ს რ ი ს ს ი ნ უ ს ი — ემბრიონის კისრის მიდამოში მესამე და მეოთხე სალახუჩე ნაპრალებს შორის ღრმა სამკუთხოვანი ჩაღრმავება.

Sinus coronarius გ ვ ი რ გ ვ ი ნ ო ვ ა ნ ი ს ი ნ უ ს ი — ვითარდება ემბრიონული ვენური სინუსის მარცხენა რქის პროქსიმალური ნაწილიდან, იხსნება მარჯვენა წინაგულში.

Sinus urogenitalis შ ა რ დ ს ა ს ქ ე ს ო ს ი ნ უ ს ი — კლოაკის ვენტრალური ნაწილი, ურორექტალური ძგიდის განვითარების შემდეგ. მისგან ყალიბდება ან საშოს კარბიჭე, ან მამაკაცის შარდსადენის ნაწილი—სათესლე ბორცვის ქვემოთ.

Sinus venosus ვ ე ნ უ რ ი ს ი ნ უ ს ი — პირველადი ლულისებრი გულის კაუდალური ბოლო, ჩანასახის პროვიზორული ორგანო. მასში განარჩევენ განივ ნაწილს, მარცხენა და მარჯვენა რქებს. რქებში იხსნებიან ყვითრის, ჭიპის და კარდინალური ვენები. განვითარების მოგვიანებით სტადიაზე ვენური სინუსის მარცხენა რქის დისტალური ნაწილი დასაბამს აძლევს მარცხენა წინაგულს ირიბ ვენას, დარჩენილი პროქსიმალური ნაწილი კი გარდაიქმნება გვირგვინოვან სინუსად. მარჯვენა რქა ფართოვდება და ინერგება მარჯვენა წინაგულში.

Sirenomelia, ae, მდ. ბერძნ. (seiren ქალ-თევზა + melos კიღური) ს ი რ ე ნ ო მ ე ლ ი ა — განვითარების ანომალია, ქვემო კიდურების ნერვების ურთიერთშეზრდის გამო სხეულის კაუდალური ბოლო თევზის მავგარ ფორმას იღებს.

Somatoplasma, atis, საშ. ბერძნ. (soma სხეული + plasma) ს ო მ ა ტ ო პ ლ ა ზ მ ა — სომატურ უჯრედთა ერთობლიობა.

Somatopleura, ae, მდ. ბერძნ. (soma სხეული + pleura გვერდი) ს ო მ ა ტ ო პ ლ ე ე რ ა — ექტოდერმისა და მეზოდერმისაგან შემდგარი ორმაგი ფურცელი (იხ. Mesoderma somaticum).

Somite, i, საშ. ბერძნ. (soma სხეული) ს ო მ ი ტ ი — ქორდის და ნერვული ლულის ორივე მხარეს მეტამერულად განლაგებული პარაქსიალური მეზოდერმის სეგმენტები. ადამიანის ემბრიონში პირველი სომიტი ჩნდება დაახლოებით მე-16 დღეს. თითოეულ სომიტში განარჩევენ სამ ძირითად მიდამოს: დორსო-მედიალურს — მიოტომი, ვენტრო-ლატერალურს — დერმატომი, ვენტრო-მედიალურს — სკლეროტომი.

Spatium, ii, საშ. ლათ. ს ი ვ რ ც ე, შ უ ა ლ ე დ ი — ადგილი, შემოსაზღვრული ნაწილი.

Spatium circumvitellinum ყ ვ ი თ რ ი ს ი რ გ ვ ლ ი ვ ი ს ი ვ რ ც ე — სივრცე კვერცხუჯრედის გამჭვირვალე გარსსა და მის ციტოპლაზმას შორის.

Spatium intervillosum ხ ა ო თ ა შ ო რ ი ს ი ს ი ვ რ ც ე — ყალობდება პლაცენტაში ხაოთაშორისი ლაკუნების ურთიერთშერწყმის და საშვილოსნოს ვენების გაფართოებების შედეგად. წარმოადგენს პლაცენტალური სისხლის მიმოქცევის ერთ-ერთ რგოლს.

Spatium subphrenicum დ ი ა ფ რ ა გ მ ი ს ქ ე შ ა ს ი ვ რ ც ე — სივრცე დიაფრაგმასა და ღვიძლის დიაფრაგმულ ზედაპირს შორის, ნამგლისებრი იოგის მარჯვნივ ან მარცხნივ.

Sperm, Sperm, Spermato, ბერძნ. რთულ სიტყვებში აღნიშნავს სპერმას.

Spermatidium, i, საშ. ბერძნ. (sperma + idium) ს პ ე რ მ ა ტ ი დ ი უ მ ი — სპერმატოგენეზის დროს ორი მეიოზური გაყოფის შედეგად მიღებული უჯრედი, ქრომოსომთა ჰაპლოიდური რიცხვით. სპერმატიდიუმი საბოლოოდ ფორმირდება სპერმატოზოიდად.

Spermatocytus, i, მამრ. ბერძნ. (sperma + kytos უჯრედი) ს პ ე რ მ ა ტ ო ც ი ტ ი — დასაბამს იღებს სპერმატოგონიუმიდან. განარჩევენ პირველი რიგის სპერმატოციტს (Spermatocytus primarius) — უჯრედი უშუალოდ პირველი მეიოზურ. გაყოფის წინ და მეორად სპერმატოციტს (Spermatocytus secundarius) — პირველი რიგის

სპერმატოციტი მეორე მეიოზური გაყოფის წინ. მისგან ყალიბდება სპერმატიდი.

Spermatogenesis, is, მდ. ბერძნ. (sperma+genesis) სპერმატოგენეზი — პირველადი სასქესო უჯრედების ზრდასრულ სპერმატოზოიდებად ფორმირების პროცესი. მოიცავს სამ ძირითად სტადიას: პირველად სასქესო უჯრედთა გამრავლება მიტოზის გზით, მეიოზი და სპერმიოგენეზი.

Spermatogonium, ii, საშ. ბერძნ. (sperma + gone შთამომავალი) სპერმატოგონიუმი — სათესლე მილაკების ბაზალურ ფირფიტასთან ახლოს განლაგებული კამბიალური, მიტოზურად აქტიური უჯრედები, ქრომოსომთა დიპლოიდური რიცხვით. განარჩევენ ორ ძირითად პოპულაციას A და B. A ტიპის სპერმატოგონიუმი წარმოადგენს ღერძულ უჯრედთა პოპულაციას, შეიცავს მუქი ფერის არაგამრავლებად უჯრედებს, B-ტიპის სპერმატოგონიუმი კი ის უჯრედებია რომლებიც გამოდიან მიტოზური ციკლიდან, აგრძელებენ სპერმატოგენეზს და დასაბამს აძლევენ სპერმატოციტებს.

Spermatozoon, i, საშ. ბერძნ. (sperma+zoon ცოცხალი არსება, ცხოველი) სპერმატოზონიდი — მომწიფებული მამრობითი სასქესო უჯრედი, ქრომოსომთა ჰაპლოიდური რიცხვით, აქვს აქტიური მოძრაობის უნარი, შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: თავი, ყელი და კუდი.

Spermiogenesis, is, მდ. ბერძნ. (sperma+genesis) სპერმიოგენეზი — სპერმატოგენეზის მესამე სტადია, სპერმატიდიუმის სპერმატოზოიდად ტრანსფორმირების პროცესი.

Spina bifida ხერხემლის ნაპრალ — თანდაყოლილი ანომალია, ხასიათდება ხერხემლის არხის არასრული დახურვით, ნაპრალში ზურგის ტვინის გარსების გამობერვით. თიაქრის პარკი შეიცავს ზურგის ტვინის სითხეს, ზოგჯერ ნერვულ ქსოვილსაც. ძირითადად გვხვდება წელ-გავის მიდამოში. ნაპრალე შეიძლება იყოს ღია (*Spina bifida aperta*) ან დაფარული თხელი კანით.

Spina bifida occulta ხერხემლის ფარული ნაპრალ — თანდაყოლილი ანომალია, ხერხემლის ნაპრალი ზურგის ტვინის თიაქრის გარეშე. შედეგია მალის რკალის განუვითარებლობისა. შედგება რენტგენოლოგიურად.

Splanchnopleura, ae, მდ. ბერძნ. (splanchna შიგნეულობა + *pleura*) სპლანქნოპლევრა — ენდოდერმისა და მეზოდერმისაგან შემდგარი ორმაგი ფურცელი (იხ. *Mesoderma splanchnicum*).

Spongioblastus, *i*, მამრ. ბერძნ. (*spongia* ღრუბელა + *blastos*) სპონგიობლასტი — ნეიროექტოლდერმული წარმოშობის შუალედური ტერის უჯრედები, რომლებიც შემდგომში დასაბამს აძლევენ ნეიროგლიას—ასტროციტებსა და ოლიგოდენდროციტებს.

Stapes, dis, მამრ. ლათ. (*stare* დგომა + *pes* ფეხი) უზანგო—სასმენი ძვალი, ვითარდება მეორე სალახუჩე რკალის ხრტილის (რეიხერტის) დორსალური ბოლოდან.

Sterilitas, atis, მდ. ლათ. (*sterilis* სტერა, ლური) სტერილობა, უნაყოფობა—ზრდასრული ორგანიზმის მიერ შთამომავლობის მოცემის უუნარობა.

Sternebra, ae, მდ. ბერძნ. მკერდის სეგმენტი—გულმკერდის ძვლის სხეულის ემბრიონული სეგმენტი. მათი რაოდენობა ჩვეულებრივ ოთხია, რომელთაგან ქვემო ორი ან სამი წარმოიქმნება წყვილი გაძვლების ცენტრიდან.

Sterroblastula, ae, მდ. ბერძნ. (*steros* მკვრივი + *blastos*) სტერობლასტულა—მკვრივი ბლასტულა, რომელიც მოკლებულია ღრუს. განასხვავებენ ორ ქვეტიპს: თანაბარს—შემდგარს ერთნაირი ზომისა და ფორმის უჯრედებისაგან, არათანაბარს—შემდგარს არათანაბარი ფორმისა და ზომის უჯრედებისაგან.

Stomodeum, i, საშ. ბერძნ. (*stoma* პირი + *hodos* გზაზე) სტომოდეუმო—ექტოდერმული ჩაღრმავება ემბრიონის თავის ვენტრალურ მიდამოში, შუბლისა და ზედაყბის მორჩებს შორის, რომელიც ესაზღვრება პირველადი ნაწლავის წინა ბრმა ბოლოს და წარმოქმნის პირ-ხახის მემბრანის ექტოდერმულ ნაწილს. შემდგომში სტომოდეუმო დასაბამს აძლევს დეფინიტურ პირს, ცხვირის ღრუს და ადენოჰიპოფიზს.

Stratum, i, საშ. ლათ. (მრავ. *strata*) ფენა, შრე.

Strata germinalia ჩანასახოვანი შრეები—ემბრიონული განვითარების ადრეულ სტადიაზე ჩამოყალიბებული სამი ჩანასახოვანი შრე: შიგა—ენდოდერმა, შუა—მეზოდერმა და გარეთა—ექტოდერმა.

Stratum ependimale ეპენდიმური შრე—ნერვული ლულის ამომფენი ნეიროეპითელიუმის შიგა შრე, შეიცავს მიტოზურად მამრავლ უჯრედებს. მისგან ყალიბდება ეპენდიმა—ცენტრალური ნერვული სისტემის ცენტრალური არხის და პარაკუქების ღრუების ამომფენი ცილინდრული ეპითელიუმი.

Stratum marginale კიდეური შრე—ნერვული ლულის ამომფენი ნეიროეპითელიუმის გარეთა პერიფერიული ზონა. შეიცავს ძირითადად ნერვულ უჯრედთა მორჩებს, უჯრედთა მინიმალურ

რაოდენობას. შემდგომში იგი აყალიბებს ცენტრალური ნერვული სისტემის თეთრ ნივთიერებას. კიდური შრე გარეთ მდებარე მეზენქიმისაგან გამოყოფილია სასაზღვრე მემბრანით.

Stratum palliale პ ა ლ ი უ რ ი შ რ ე — ნერვული ლულის კედლის შუა შრე, შეადგენს კედლის ძირითად მასას, შედგება მკიდროდ განლაგებული უჯრედებისაგან, დასაბამს აძლევს თავის და ზურგის ტვინის რუხ ნივთიერებას.

Strobilatio. onis, მდ. ბერძნ. (*strobilos* გადაგრეხილი) ს ტ რ ო ბ ი ლ ა ც ი ა — უსქესო გამრავლების სახე; სხეულის დაყოფა ზოილებად — ნაწლავლრუიანებში ან პროგლოტილებად — ბრტყელ ქიებში.

Sub, ლათ. წინდ. აღნიშნავს ქვეშ, ქვემოდან.

Substantia, ae, მდ. ლათ. ს უ ბ ს ტ ა ნ ც ი ა , ნ ი ვ თ ი ე რ ე ბ ა .

Substantia alba medulla spinalis ზ უ რ გის ტ ვ ი ნ ის თ ე თ რ ი ნ ი ვ თ ი ე რ ე ბ ა — დასაბამს იღებს ნერვული ლულის კიდური შრიდან. წარმოდგენილია ძირითადად ნერვული უჯრედების მორჩებით, რომლებიც წარმოქმნიან გამტარ გზებს ზურგის ტვინის სხვადასხვა უბანსა და თავის ტვინს შორის. ბოჭკოთა ძირითადი ჯგუფები ურთიერთისაგან გამოყოფილია რუხი ნივთიერების რქებოთ და იწოდებიან თეთრ სვეტებად.

Substantia grisea medulla spinalis ზ უ რ გის ტ ვ ი ნ ის რ უ ხ ი ნ ი ვ თ ი ე რ ე ბ ა — დასაბამს იღებს ნერვული ლულის პალიური შრის უჯრედებიდან. მასში განარჩევენ წინა — მამოძრავებელ, უკანა — მგრძნობიარე და გვერდით რქებს. წინა და უკანა რქები აღინიშნება რუხი ნივთიერების მთელ სიგრძეზე, გვერდითი კი მხოლოდ მკერდის და წელს პირველ სამ სეგმენტში. გვერდითი რქები შედგებიან უჯრედებისაგან, რომლებიც წარმოქმნიან ორ ნეირონიან რეფლექსურ რკალს და ანერვებენ გლუვ კუნთებსა და ჭირკვლებს.

Sulcus, i, მამრ. ლათ. ღ ა რ ი .

Sulcus branchialis ს ა ლ ა ყ უ ჩ ე ღ ა რ ი — ოთხი წყვილი ექტოდერმული ჩაღრმავება ხახის ორივე მხარეს, შეესატყვისება ხახის ენდოდერმულ ჯიბეებს. ადამიანში მონაწილეობენ სასის ნუშების, შუა ყურის ღრუს და ზოგიერთი სხვა ორგანოს წარმოქმნაში.

Sulcus bulboventricularis ბ ო ლ ქ ე - პ ა რ - კ უ ქ ი ს ღ ა რ ი — პირველადი ლულოვანი გულის მარჯულის განვითარების შედეგად პერიკარდიუმის ღრუში წარმოქმნილი ღარი, გულის ბოლქვსა და პარკუჭს შორის, რომლის შესატყვის მიდამოდან პარკუჭის ღრუში მოგვიანებით ყალიბდება პარკუჭთა შორისი ძგიდე.

Sulcus coronarius გვირგვინოვანი ღარი— პირველადი გულის წინაგულის ნაწილს გამოყოფს პარკუჭის ნერგისგან. შემდგომში ეს ღარი შეიცავს გვირგვინოვანი არტერიების ტოტებს.

Sulcus interatrialis წინაგულთაშორისი ღარი—ზედაპირული ღარი ემბრიონულ წინაგულებს შორის.

Sulcus labiogingivalis ტუჩ-ღრძილის ღარი—რკალისებრი ღარი, რომელიც ქვედაყბის მორჩის თავისუფალი ბოლოს ზედაპირულ ნაწილს გამოყოფს დანარჩენი ნაწილისაგან.

Sulcus laryngotrachealis ხორხ-სასულეს ღარი—ღარი, რომელიც ჩნდება ჩანასახის ხორხის უკანა მიდამოში და ვრცელდება პირველადი ნაწლავის ვენტრალურ ნაწილზე. საბოლოოდ იგი თითქმის მთლანად კარგავს კავშირს პირველად ნაწლავთან, კრანიალური ნაწილის გარდა, საიდანაც ყალიბდება დივერტიკული—ტრაქეის და ფილტვის ნერგი.

Sulcus limitans სასაზღვრე ღარი—წყვილი-სიგრძივი ჩაღრმავება ნერვული ლულის გვერდითი კედლის შიგა ზედაპირზე, რომელიც მას დორსო-ლატერალურ და ვენტრო-ლატერალურ ნაწილებად ყოფს.

Sulcus linguogingivalis ენა-ღრძილის ღარი—ტუჩ-ღრძილის ღარის პარალელური ღრმა ღარი, რომელიც ენის ქვედაყბის ნაწილს გამოყოფს ქვედაყბის მორჩის ნაწილისაგან.

Sulcus neuralis ნერვული ღარი—ყალიბდება ნერვული ფირფიტის თანდათანობით ჩაღრმავების შედეგად.

Sulcus opticus მხედველობის ღარი—ჩაღრმავება წინა სატვინე ბუშტუკების გვერდებზე, რომლის მიდამოში შემდგომში ვითარდება მხედველობის ბუშტუკი.

Sulcus terminalis lingualis ენის ტერმინალური ღარი—ენის ძირთან განლაგებული V-ს მაგვარი ფორმის ღარი, რომელიც ენის ექტოდერმულ და ენდოდერმულ ნაწილებს ყოფს ურთიერთისაგან.

Super, ლათ. წინდ. ზე, ჰარბი, მეტი.

Superfecundatio, onis, მდ. ლათ. (*super+fecundus* ნაყოფიერი) სუპერფეკუნდაცია, ზეგანაყოფიერება—ცხოველებში ერთი და იგივე ოვულატორულ პერიოდის ორი ან მეტი კვერცხუჯრედის თანმიმდევრული განაყოფიერება მოკლე ინტერვალთ, ერთიდაიგივე ან სხვადასხვა სქესობრივი აქტის შედეგად.

Superfetatio, onis, მდ. ლათ. (*super+fetus*) სუპერფეტაცია, ზენაყოფიერება, ჰარბნაყოფიერება—ორი სხვადასხვა ოვულატორული პერიოდის კვერცხუჯრედის განა-

ყოფიერება მოკლე ინტერვალით: მეორე ჩანასახის წარმოქმნა და განვითარება მაშინ, როდესაც ერთი უკვე არის საშვილოსნოში.

Superovulatio, onis, მდ. ლათ. (super+ovulatio) ს უ პ ე რ ო ვ უ ლ ა ც ი ა, ზ ე ქ ა რ ბ ი ო ვ უ ლ ა ც ი ა — ოვეულაციის სიხშირის გაზრდა.

Syn, Sym, ბერძნ. წინდ. აღნიშნავს ერთად, რაიმესთან დაკავშირებულს.

Symmelia, ae, მდ. ბერძნ. (sym+melos კიდური) ს ი მ ე ლ ი ა — წვივებით შეზრდილი ქვემო კიდურები. განვითარების ანომალია.

Synchilia, ae, მდ. ბერძნ. (syn+cheilos ტუჩი) ს ი ნ ქ ი ლ ი ა — შეზრდილი ტუჩები. განვითარების ანომალია.

Syncytiotrophoblastus, i, მამრ. ბერძნ. (syn+kytos უჯრედი+trophe კვება+blastos) ს ი ნ ც ი ტ ი ო ტ რ ო ფ ო ბ ლ ა ს ტ ი — დაამიანის ჩანასახის ციტოტროფობლასტის ვარჯეთა გიგანტურბირთვიან უჯრედთა უწყვეტი შრე—სიმპლასტი. განაპირობებს საკვები ნივთიერების შეწოვას დედის სისხლიდან. გამოიმუშავებს ფერმენტებს, რომლებიც ხელს უწყობენ ქორიონის ხაოების ჩანერგვას საშვილოსნოს კედელში.

Syndactylia, ae, მდ. ბერძნ. (syn+dactilos თითი) ს ი ნ დ ა ქ ტ ი ლ ი ა — ხელის ან ფეხის თითების შეზრდა. თანდაყოლილი ანომალია.

Syndromum, i, საშ. ბერძნ. (syndrome დაჯგუფება, შერწყმა) ს ი ნ დ რ ო მ — სიმპტომების კომპლექსი; განსაზღვრული კლინიკური სურათის გამომხატველი პათოლოგიური პროცესების ერთობლიობა.

Syndromum adrenogenitale ა დ რ ე ნ ო გ ე ნ ი ტ ა ლ უ რ ი ს ი ნ დ რ ო მ — ხასიათდება თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის პათოლოგიურად გაძლიერებული აქტივობით, გამოვლინდება მეორადი სასქესო ნიშნების ადრეულ განვითარებაში, ინფანტილური სასქესო ჯირკვლების ფონზე. გოგონებში — მასკულინიზაციით, ვაჟებში — ფემინიზაციით.

Syndromum Arnold-Chiarii ა რ ნ ო ლ დ-კ ი ა რ ი ს ს ი ნ დ რ ო მ — ცენტრალური ნერვული სისტემის თანდაყოლილი ანომალია, ხასიათდება ატაქსიის, ნისტაგმის, თავის ტვინის ნერვების დამბლის, ჰიდროცეფალიის, ტეტანოიდურ ან ეპილეპტოიდურ კრუნჩხვათა ერთობლიობით. განპირობებულია თავის ტვინის ღეროს კაუდალური გადაადგილებით და მისი ჩაქედვით კეფის ხვრელში. ხშირად ამ სინდრომს თან ერთვის კლიპერ-ფაილის სინდრომიც. (იხ.)

Syndromum Downii დაუნის სინდრომი— გამოწვეულია ქრომოსომათა დეფექტით, რომელიც განპირობებულია აუტოსომური ქრომოსომების რიცხობრივი აბერაციით, კერძოდ, ქრომოსომათა 21-ე წყვილში ერთით ზედმეტი ქრომოსომაა. სინდრომისათვის დამახასიათებელია: შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების, განსაკუთრებით ფარისებრი ჯირკვლის, უკმარისობა, გონებრივი და ფიზიკური განვითარების ჩამორჩენილობა, თავისებური გარეგნობა: თვალის ირიბი ნაპრალი, ბრტყელი სახე, ნახევრად ღია პირი, მოკლე თითები. დაუნის სინდრომის სიხშირე მატულობს დედის ასაკის მატებასთან ერთად.

Syndromum Eisenmengeri აიზენმენგერის სინდრომი— გულის თანდაყოლილი ანომალია, ხასიათდება დეფექტით პარკუჭთაშორის ძგიდეში, აორტის მარჯვნივ მდებარეობით, მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტროფიით და რიგ შემთხვევაში ფილტვის არტერიის გაფართოებით.

Syndromum Fallotti ფალოს სინდრომი— (ტეტრალოგია, ფალოს ტეტრადა) გულის თანდაყოლილ ანომალიათა კომპლექსი: 1. აორტის მარჯვნივ მდებარეობა 2. ფილტვის არტერიის სტენოზი ან ატრეზია; 3. პარკუჭთაშორის ძგიდის დეფექტი; 4. მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტროფია. კლინიკურად გამოიხატება: დაბადებიდანვე მწვავე ციანოზით, „დოლისმაგვარი“ თითებით და ჩამორჩენით ზრდაში.

Syndromum Klinefelterii კლაინფელტერის სინდრომი— გამოწვეულია ალოსომური ქრომოსომების რიცხობრივი აბერაციით, კერძოდ ის შემთხვევა, როდესაც კვერცხუჯრედი 2X-ქრომოსომით, მეიოზის დროს მათი დაუთიშველობის გამო, ნაყოფიერდება Y ქრომოსომის შემცველი სპერმატოზოიდით. სინდრომი ვლინდება მამაკაცებში, ხასიათდება სტერილურობით, გინეკომასტიით, ენუქჰოიდიზმით, სათესლეების ატროფიით, სათესლე მილაკების ჰიალინიზაციით, სუსტად გამოხატული გონებრივი ჩამორჩენილობით.

Syndromum Klipper-Feilii კლიპერ-ფაილის სინდრომი— მეზოდერმის განვითარების დეფექტი. ხასიათდება: კისრის ორი ან მეტი მალის სხეულების ურთიერთშეზრდით, თავის მოძრაობის შეზღუდვით, კისრის დამოკლებით, ე. წ. „ბაყაყის კისერი“, თავის თმის სიშვალის გაგრძელებით თითქმის კისრამდე, კისრისებრი ფორმის გულმკერდით, მხრის სარტყელის ნორმაზე ზემოთ მდებარეობით.

Syndromum Marfanii მარფანის სინდრომი— შემეართებელი, განსაკუთრებით ელასტიური ქსოვილის განვითარების დეფექტი. ხასიათდება: დაგრძელებული პირ-სახითა და კიდურე-

ბით, უჩვეულო სიმაღლით, ამოწეული გულმკერდით, არაქნოდაქტილით, ბროლის ორმხრივი ექტოპიით, კუნთოვანი სისტემის სუსტი განვითარებით.

Syndromum Turnerii ტერნერის სინდრომით — გამოწვეული ალოსომურ ქრომოსომათა რიცხობრივი აბერაციით. ვხვდებით ძირითადად ქალებში, ქრომოსომულ კომპლექტში მხოლოდ ერთი X-ქრომოსომაა. მონოსომიის შემთხვევა. ხასიათდება: სექსუალური ინფანტილიზმით, საკვერცხეების განუვითარებლობით, არანორმალურად დაბალი ტანით, ზემო კიდურების დეფორმაციით იდაყვის სახსარში, წვრილი კისრით, მოხუცის სახით, მაღალი სასით, ქვემოთ განლაგებული ყურის ნიჟარებით და აორტის კოარქტაციით.

Syndromum vagitus feilii „კატის კნავილის“ სინდრომით — გამოწვეული ქრომოსომული აბერაციით. დელეციის შემთხვევა. მე-5 ქრომოსომის მოკლე მხრის უკმარისობა. ხასიათდება: პირ-სახის სხვადასხვა დეფორმაციით, მიკროცეფალიით, სივლმით, გულის თანდაყოლილი მანკით, უზმირესად პარკუჭთაშორისი ძგიდის დეფექტით, ახალშობილის კატის კნავილის მსგავსი ტირილით, რაც განაპირობებს სინდრომის სახელწოდებას.

Synotia, ae, მდ. ბერძნ. (syn+otus ყური) სინოტიო — თანდაყოლილი ანომალია. ქვედაყბის განუვითარებლობა, რაც იწვევს ყურების მდებარეობის შეცვლას და მათ ზრდას კისერსა და ზედაყბას შორის.

T

Talipes, edis, მამრ. ლათ. (talus ქუსლი + pes ტერფი) ტალიპედი, ფეხმრუდობა — ტერფის მუდმივი არანორმალური მდებარეობა, დამახინჯებული ტერფი.

Talipomanus, us, მდ. ლათ. (talipes+manus ხელის მტევანი) ტალიპომანუსი, ხელმრუდობა — სხივ-მაჯის სახსრის განვითარების დეფექტი. ხელის მტევნის გამრუდება. ხშირად შეიძლება თან ახლდეს სხივის ძვლის განუვითარებლობა. ხელის მტევანი გადახრილია ან სხივის ან იდაყვის ძვლისკენ.

Tela choroidea სისხლძარღვოვანი სარქველი — წარმოიქმნება მე-3 და მე-4 პარკუჭის თხელი აპკისებრი სახურავის რბილი გარსისა და სისხლძარღვების ინვაგინაციით პარკუჭის ღრუში. სისხლძარღვოვანი სარქველის მფარავი ეპენდიმური უჯრედები გამოიმუშავენ თავ-ზურგ-ტვინის სითხეს.

Telencephalon, i, საშ. ლათ. (telos ბოლო + enkephalon) ბოლო ტვინი — ყალიბდება წინა სატვინე ბუშტუკის ვენტ-

რო-ლატერალური მიდამოდან, ანუ ნერვეული ლულის წინა ნაწილის წყვილი დორსო-ლატერალური გამონაზარდებიდან. თავდაპირველად ბოლო ტვინის გვერდითი ბუშტუკები ურთიერთთან დაკავშირებულა ფართო ხვრელით, შემდგომში იგი თანდათანობით ვიწროვდება და საბოლოოდ ყალიბდება წყვილი პარაკუქთაშორისი ხვრელი. ბოლო ტვინის გვერდითი ბუშტუკები დასაბამს აძლევენ დიდი ტვინის ნახევარსფეროებს.

Tempus, oris, მამ. ლათ. პ ე რ ი ო დ ი, დ რ ო.

Tempus embryonicum ე მ ბ რ ი ო ნ უ ლ ი პ ე რ ი ო დ ი—გრძელდება განაყოფიერებიდან დაბადებამდე ან გამოჩეკვამდე-მეანობაში—პერიოდი ჩასახვიდან ორსულობის მე-8 კვირის ბოლომდე.

Tempus fetalis ნ ა ყ ო ფ ი ს პ ე რ ი ო დ ი—ადამიანში მოიცავს დროს ორსულობის მე-8 კვირის ბოლოდან დაბადებამდე.

Tempus perinatale პ ე რ ი ნ ა ტ ა ლ უ რ ი პ ე რ ი ო დ ი—დრო ორსულობის 28-ე კვირიდან დაბადების. შემდგომ მე-7 დღემდე.

Tempus postnatale პ ო ს ტ ნ ა ტ ა ლ უ რ ი პ ე რ ი ო დ ი—უშუალოდ დაბადების შემდგომი პერიოდი.

Tempus tubale ლ უ ლ ი ს ე უ ლ ი პ ე რ ი ო დ ი—ორსულობის ციკლის პერიოდი, როდესაც საშვილოსნოს ლულაში მოხვედრილი კვერცხუჯრედი განიცდის განაყოფიერებას, დანაწევრებას და ყალიბდება ბლასტოცისტი.

Tempus uterinum ს ა შ ვ ი ლ ო ს ნ ო ს პ ე რ ი ო დ ი—ორსულობის ციკლის პერიოდი, საშვილოსნოს ღრუში ბლასტოცისტის მოხვედრიდან მშობიარობამდე.

Teratologia, ae, მდ. ბერძნ. (teros ურჩხული + logos სწავლება) ტ ე რ ა ტ ო ლ ო გ ი ა—მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ემბრიონიული განვითარების ანომალიებს და დეფექტებს, ემბრიოლოგიის ნაწილი.

Teratoma, atis, საშ. ბერძნ. (teros ურჩხული, მახინჯი + oma სიმსივნე) ტ ე რ ა ტ ო მ ა—ემბრიონული განვითარების დარღვევით გამოწვეული შერეული ხასიათის სიმსივნე, რომელიც სამივე ჩანასახოვანი ფურცლიდან ჩამოყალიბებული ორგანოსმაგვარი ნაწილეებისაგან შედგება.

Testis, is, მამრ. ლათ. (testis მოწმე) ს ა თ ე ს ლ ე—მამაკაცის სასქესო ჯირკვალი. ვითარდება ინდიფერენტული გონადიდან ემბრიონული განვითარების დაახლოებით მე-6—8 კვირას.

Tetraploidia, ae, მდ. ბერძნ. (tetra ოთხი + ploidia)

ტ ე ტ რ ა ჰ ლ ო ი დ ი ა — უჯრედში ქრომოსომათა ოთხმაგი ჰაპლოიდური კომპლექტის არსებობა.

Thymus, i, მამრ. ბერძნ. (*thymos* სული) მ კ ე რ უ კ ა ნ ა ჯ ი რ კ ვ ა ლ ი, თ ი მ უ ს ი — ინერგება ემბრიონული განვითარების დაახლოებით მე-6 კვირას, ხახის მესამე წყვილი ჯიბეების ვენტრალური გამონაზარდების სახით. მარჯვენა და მარცხენა ნერვების დისტალური ბოლოები უახლოვდებიან ურთიერთს, ერწყმიან ზედაპირულად და აყალიბებენ საერთო ნერვს.

Tonsilla palatina ს ა ს ი ს ნ უ შ ი — ვითარდება მე-3 თვის ბოლოს ხახის მეორე წყვილი ჯიბის ვენტრალური ნაკეციდან. იგივე მიდამოდან ვითარდებიან ენის (*Tonsilla lingualis*) და ხახის (*Tonsilla pharyngea*) ნუშებიც.

Translocatio chromosomal ქ რ ო მ ო ს ო მ უ ლ ი ტ რ ა ნ ს ლ ო კ ა ც ი ა — ქრომოსომა მორფოლოგიური აბერაცია. გამოიხატება ქრომოსომებს შორის სეგმენტების გაცვლაში. განარჩევენ რეციპროკულ ტრანსლოკაციას — სეგმენტთა გაცვლა არაპომოლოგიურ ქრომოსომებს შორის და მარტივ ტრანსლოკაციას — სეგმენტთა გადაადგილებას ანუ ჩართვას ერთი და იმავე ქრომოსომის სხვა მონაკვეთში ან მეორე პომოლოგიურ ქრომოსომაში.

Tri, ლათ. რთულ სიტყვებში აღნიშნავს სამს.

Tribrachia, ae, მდ. ბერძნ. (*tri+brachion* ხელი) ტ რ ი ბ რ ა ჯ ი ა — სამი ზედა კიდურის არსებობა.

Tricephalus, i, მდ. ბერძნ. (*tri+kephale* თავი) ტ რ ი ც ე ფ ა ლ ი — მახინჯი სამი თავით.

Triploidia, ae, მდ. ბერძნ. (*tri+ploidia*) ტ რ ი პ ლ ო ი დ ი ა — უჯრედში ქრომოსომათა სამი ჰაპლოიდური კომპლექტის არსებობა.

Trisomia, ae, მდ. ბერძნ. (*tri+soma* სხეული) ტ რ ი ს ო მ ი ა — ანეუპლოიდიის სახე, როდესაც უჯრედის ქრომოსომულ დიპლოიდურ კომპლექტში ერთით ზედმეტი ქრომოსომაა, რომელიც პომოლოგიურია დიპლოიდური კომპლექტის შესაბამისი წყვილისა. ტრისომია შეიძლება იყოს ალოსომური ან აუტოსომური. უფრო ხშირად დამატებითი ქრომოსომა აღინიშნება 21-წყვილში — ტრისომია 21, ასეთი სახის აბერაცია იწვევს დაუნის სინდრომს. უფრო იშვიათია — 17 — 18; 13 — 15 წყვილებში.

Trisomia 13—15 ტ რ ი ს ო მ ი ა 13—15 — ასეთი ქრომოსომული აბერაციის დროს აღინიშნება: გონებრივი ჩამორჩენილობა, გახლეჩილი ტუჩი („კურდღლის ტუჩი“) და სასა („მგლის ხახა“), თვალის რიგი დეფექტები: მიკროფთალმია, ანოფთალმია, კოლობომა.

Trisomia 17—18 ტ რ ი ს ო მ ი ა 17—18—ასეთი ქრომოსომული აბერაციის დროს აღინიშნება: გონებრივი ჩამორჩენილობა, გულის რიგი დეფექტები, სინდაქტილია, ყურის ნიჟარების არანორმალური მდებარეობა, მიკროგნათია, ჩონჩხის განუვითარებლობა.

Trispermia, ae, მდ. ბერძნ. (tri+sperma) ტ რ ი ს პ ე რ მ ი ა—კვერცხუჯრედში სამი სპერმატოზოიდის შეღწევა.

Trophoblastus, i, მამრ. ბერძნ. (trephein კვება+blastos) ტ რ ო ფ ო ბ ლ ა ს ტ ი — ბლასტოციტის გარე უჯრედული შრე, რომლის საშუალებით ხორციელდება მისი უშუალო კონტაქტი საშვილოსნოს ლორწოვან გარსთან, იმპლანტაციის დროს. ტროფობლასტის უჯრედები სწრაფად მრავლდებიან, იზრდებიან და საბოლოოდ აყალიბებენ ორ შრეს: შიგა შრე, რომელიც ინარჩუნებს უჯრედულ აგებულებას—ციტოტროფობლასტი და გარე, თვით ციტოტროფობლასტიდან უჯრედთა შერწყმის შედეგად განვითარებული სინციტიალური შრე—სინციტიოტროფობლასტი. ტროფობლასტი მონაწილეობს დამცველი და ტროფიკული გარსების შექმნაში, რომლებიც თავის მხრივ ჩანასახოვან ნაწილებს წარმოადგენენ.

Trophospongium, ii, საშ. ბერძნ. (trephein კვება + spongia ღრუბელა) ტ რ ო ფ ო ს პ ო ნ გ ი უ მ ი —ტროფობლასტური ზონა, რომელიც მხოლოდ დედის სისხლძარღვებს შეიცავს; სისხლძარღვოვანი ენდომეტრიუმი წარმოქმნის პლაცენტის გარეთა დედისეულ შრეს.

Truncus arteriosus ა რ ტ ე რ ი უ ლ ი დ ე რ ო—პირველადი ლულისებრი გულის წინა კრანიალური ნაწილი, დასაბამს აძლევს აორტის და ფილტვის არტერიების ფესვებს.

Tuba, ae, მდ. ლათ. მილი, ლულა, მილაკი.

Tuba auditiva ს ა ს მ ე ნ ი ლ უ ლ ა—ვითარდება ხახის პირველი წყვილი პარკის პროქსიმალური ნაწილიდან.

Tuba uterina ს ა შ ვ ი ლ ო ს ნ ო ს ლ უ ლ ა—ყალიბდება პარამეზონეფრული (მიულერის) არხის იმ ვიწრო მონაკვეთიდან, რომელიც განლაგებულია საშვილოსნოსა და საკვერცხეს შორის. იგი საკვერცხეს აკავშირებს საშვილოსნოსთან.

Tuberculum, i, საშ. ლათ. კვანძი, მცირე შემაღლება, ბორცვი.

Tuberculum genitale ს ა ს ქ ე ს ო, გ ე ნ ი ტ ა ლ უ რ ი კ ვ ა ნ ძ ი—მეზოდერმული კონუსისმაგვარი შემაღლება ჭიპის ქორდის მიმაგრებასა და კლოაკის მემბრანას შორის, მამაკაცის ასოს და ქალის საგნებოს თავების ნერგი.

Tuberculum impar კენტობორცვი—ენის ლატერალურ ბორცვებს შორის, ქვედაყბის რკალის ვენტრალურ ნაწილში, მეზოდერმითა და ექტოდერმული ეპითელიუმით წარმოდგენილი კენტი შემადგება. იგი დასაბამს აძლევს ენის წინა ნაწილს.

Tuberculum linguale laterale ენის ლატერალური ბორცვი—ქვედაყბის რკალის შიგა ზედაპირზე ექტოდერმული ეპითელიუმისა და მეზოდერმის წყვილი შემსხვილება. ენის წინა ნაწილის ნერვი.

Tubuli mesonephrici მეზონეფროსის მილაკები—წარმოქმნილიან ემბრიონული განვითარების მე-14 კვირას შუამდებარე მეზოდერმიდან, მეზონეფროსის სადინართან ახლოს პრიმორდიული უჯრედული გროვების სახით. შემდგომში უკავშირდებიან მეზონეფროსის სადინარს. მეზონეფროსის რეგრესის შემდეგ რჩება მხოლოდ კაუდალური ბოლოს მილაკები, რომლებიც მონაწილეობენ რიგ სრუქტურათა წარმოქმნაში.

Tubuli pronephrici პრონეფროსის მილაკები—ყალიბდებიან ემბრიონული განვითარების ადრეულ სტადიაზე შუამდებარე მეზოდერმიდან, 7—10 რუდიმენტული მილაკის სახით. მათი ერთობლიობა წარმოქმნის პრონეფროსის სადინარს, რომელიც შემდგომში დასაბამს აძლევს მეზონეფროსის სადინარს. მილაკები ძუძუმწოვრებში არ ფუნქციონირებენ და ძალიან ადრე განიცდიან რეგრესს.

Tubus neuralis ნერვული ლულა—ყალიბდება ნერვული ფირფიტიდან, მისი გვერდითი მორგეების შეზრდის შედეგად. ნერვული ლულის დახშობა იწყება ზურგის ტვინის მიდამოდან და ვრცელდება თავის მიმართულებით. დიდი ხნის განმავლობაში რჩება დაუზრეველი ნერვული ლულის მცირე მონაკვეთი წინა და უკანა ნევროპორის სახელწოდებით, საბოლოოდ ორივე ნევროპორი იხშევა და ქრება. ნერვული ლულის წინა ნაწილი დასაბამს აძლევს თავის ტვინს, უკანა კი ზურგის ტვინს.

Tumor, oris, მამრ. ლათ. (tumere გასიებული, გაბერილი) სიმსივნე—ახალი წარმონაქმნი, პათოლოგიური ქსოვილური წარმონაქმნი, შემდგარი თვისობრივად შეცვლილი, დიფერენცირებისა და ზრდის მიხედვით ატიპიური უჯრედებისაგან, რომლებიც გამრავლების პროცესშიც ინარჩუნებენ ახლადშექმნილ თვისებებს.

Tunica, ae, მდ. ლათ. გარსი, საფარველი, აკკი—ამომფენი ან მფარავი ქსოვილოვანი შრე.

Tunica albuginea თეთრი გარსი—სათესლის და საკვერცხის მეზენქიმური წარმოშობის თეთრი ფიბროზული გარსი.

Tunica vascularis lentis ბ რ ო ლ ი ს ს ი ს ხ ლ -
ქ ა რ ღ ვ ო ვ ა ნ ი გ ა რ ს ი—დროებითი გარსი, ყალიბდება ბროლის
ჩანთის ირგვლივ მდებარე მეზენქიმაში, მინისებრი არტერიის და ფერა-
დი გარსის სისხლძარღვების დატოტიანების ხარჯზე. ნორმალურად ემბ-
რიონული განვითარების მე-8—10 დღეს ქრება.

Typus, i, მამრ. ბერძნ. ტ ი პ ი — ნიმუში, სახე, შემდგ-
არი განსაზღვრული დამახასიათებელი ნიშნებისაგან.

Typus monestrosus მ ო ნ ე ს ტ რ უ ლ ი ტ ი პ ი —
მდედრის გენიტალური ციკლის სახე, დამახასიათებელი იმ ძუძუმწო-
ვრებისათვის, რომელთაც წლის განმავლობაში გამრავლების მხოლოდ
ერთი პერიოდი აქვთ.

Typus polyestrosus პ ო ლ ი ე ს ტ რ უ ლ ი ტ ი -
პ ი — მდედრის გენიტალური ციკლის სახე, დამახასიათებელი ძუძუმწო-
ვართათვის, რომელთაც წელიწადში რამდენიმე გამრავლების პერიოდი
აქვთ.

U

Unguis, is, მამრ. ლათ. ფ რ ჩ ხ ი ლ ი — კანის წარმონაქმნი.
მისი ნერგი ყალიბდება ემბრიონული განვითარების დაახლოებით მე-7
კვირას, ზედაპირული ექტოდერმული საფარველიდან.

Urachus, i, მამრ. ბერძნ. (uron შარდი+cheo დასხმა) უ რ ა -
ხ უ ს ი — ნაყოფის პირველადი საშარდე სადინარი, ეპითელური მილი,
საშარდე ბუშტის მწვერვალს აერთებს ჭიპთან. დასაბამს იღებს ალანტ-
ოისიდან. განვითარების პროცესში განიცდის ობლიტერაციას და გარ-
დაიქმნება ჭიპის შუა იოგად. იშვიათ შემთხვევაში შეიძლება დარჩეს და
განაპირობოს ბუშტ-ჭიპის ფისტულის განვითარება.

Uranoschisis, is, მდ. ბერძნ. (ouranos თალი+schisis
ნაპრალი) უ რ ა ნ ო ს ქ ი ზ ი ს ი — მაგარი სასის და ალვეოლური მორ-
ჩის თანდაყოლილი ნაპრალი.

Ureteron, i, საშ. ბერძნ. (uron შარდი+enteron ნაწლავი)
კ უ დ ი ს ნ ა წ ლ ა ვ ი — უკანა ნაწლავის ის მონაკვეთი, რომელიც ექ-
სკვირიან ემბრიონებში კლოაკის ხვრელის უკან მდებარეობს.

Ureter, eris, მამრ. ბერძნ. (uron შარდი+tereo შეჩერება,
შეკავება) შ ა რ დ ს ა წ ვ ე თ ი — ვითარდება მეზონეფრული დივერ-
ტიკულის იმ მიდამოდან, რომელიც მდებარეობს მეზონეფროსის სადი-
ნარის ახლოს. თირკმლის მენჯს აკავშირებს შარდის ბუშტთან.

Urethra, ae, მდ. ბერძნ. შ ა რ დ ს ა დ ე ნ ი — ვითარდება
შარდსადენის სინუსიდან. იწყება შარდის ბუშტთან და მთავრდება შარდ-
სადენის გარეთა ხვრელით.

Uterus, i, მამრ. ლათ. საშვილოსნო—ქალის ღრუ კუნთოვანი ორგანო, რომელშიც ვითარდება განაყოფიერებული კვერცხუჯრედი. ყალიბდება ემბრიონული განვითარების ადრეულ სტადიაზე პარამეზონეფრული (მიულერის) სადინარების ურთიერთშეზრდის შედეგად.

Uterus bicornis ო რ რ ქ ი ა ნ ი ს ა შ ვ ი ლ ო ს ნ ო—ადამიანში განვითარების ანომალია, რომლის დროსაც არ ხდება მიულერის ორივე არხის სრული შეზრდა, რის შედეგად ყალიბდება ორად გაყოფილი საშვილოსნო, ერთი ან ორი ყელით, საშოს გაყოფის გარეშე.

Uterus duplex ო რ მ ა გ ი ს ა შ ვ ი ლ ო ს ნ ო—განვითარების ანომალია, როდესაც არ ხდება პარამეზონეფრული სადინარების შეზრდა მთელ სიგრძეზე, რის გამოც ყალიბდება ორი დამოუკიდებელი თითო რქიანი საშვილოსნო, დაკავშირებული ასევე გაორებულ საშოსთან.

Uterus infantilis გ ა ნ უ ვ ი თ ა რ ე ბ ე ლ ი, ი ნ ფ ა ნ ტ რ ლ უ რ ი ს ა შ ვ ი ლ ო ს ნ ო—მკვეთრად წინ გადმოხრილი, ნორმალურზე მცირე ზომის საშვილოსნო, კონუსისმაგვარად წაგრძელებული ყელით.

Uterus septus duplex ო რ ნ ა წ ი ლ ი ა ნ ი ს ა შ ვ ი ლ ო ს ნ ო—განვითარების ანომალია, საშვილოსნო, რომლის ღრუ ძვილით მეტნაკლებად სრულადაა გაყოფილი ორ ნახევრად.

